

ჰერბ სტოველი

**რისკისთვის მზადყოფნა:
მსოფლიო კულტურული
მემკვიდრეობის მენეჯმენტის
სახელმძღვანელო**

Herb Stovel

**RISK PREPAREDNESS:
A MANAGEMENT MANUAL
FOR WORLD CULTURAL HERITAGE**

თბილისი 2007 Tbilisi

**რისკისთვის გზადყოფნა:
მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო**

**RISK PREPAREDNESS:
A MANAGEMENT MANUAL FOR WORLD CULTURAL HERITAGE**

რედაქტორი: დ. თუმანიშვილი
Editor: D. Tumanishvili

ქართული ტექსტი მოამზადა ს. სახანბერიძემ
Georgian text prepared by S. Sakhanberidze

© Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, 2007

Authorized translation of the second English edition © 1998 ICCROM. This translation is published by permission of ICCROM, the owner of all rights to publish and sell the same.

© საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო, 2007

მეორე ინგლისურენოვანი გამოცემის © 1998 ICCROM
ავტორიზებული თარგმანი.

თარგმანი გამოცემულია ICCROM-ის ნებართვით, რომელიც
წარმოადგენს წიგნის გამოცემისა და გაყიდვის სრული საავტორო
უფლების მფლობელს.



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო

Ministry of Culture, Monuments Protection and
Sport of Georgia

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა
State Programme for Cultural Heritage Preservation for the Year 2007

გამომცემლობა „ნეკერი“, 2007

ISBN: 978-99940-987-2-9

სარჩევი

ტერმინების და შემოკლებების განმარტებები	11
ICCROM-ის წინასიტყვაობა	14
ICOMOS-ის წინასიტყვაობა	16
სამადლობელი	18
I. კონტექსტი	19
თავი I. შესავალი	19
1.1 რატომ გახდა აუცილებელი შექმნილიყო სახელმძღვანელო რისკის მზადყოფნაზე კულტურული მემკვიდრეობის დარგში?	19
1.2 რისკისთვის მზადყოფნა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის კონტექსტში	22
1.2.1. კონვენციის უპირატესობანი	22
1.2.2 კონვენციის მოქმედება	23
1.2.3 რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობა – კონვენციასთან მიმართებაში	27
1.3 სახელმძღვანელოს შემუშავების შესახებ	30
1.4 სახელმძღვანელოს მომხმარებელთათვის	35

თავი 2. რისკისთვის მზადყოფნის მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობისთვის	37
2.1 მიდგომისმიერი დაბრკოლებები: არგუმენტები და კონტრ-არგუმენტები	37
2.2 რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩო	42
თავი 3. კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის პრინციპები	44
3.1 შესავალი	44
3.2 პრინციპები	45
თავი 4. რისკის მზადყოფნისადმი ჯანსაღი მიდგომის განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში	53
4.1 რისკისთვის მზადყოფნის დაგეგმვის ზოგადი ჩარჩო	53
4.2 რისკისთვის მზადყოფნა კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ფორმისათვის	57
4.2.1 კულტურული მემკვიდრეობა	59
4.2.2 უძრავი ძეგლები	61
4.2.3 არქეოლოგიური ტერიტორიები	62
4.2.4 ისტორიული დასახლებები	63
4.2.5 კულტურული ლანდშაფტები	64

II. კვლზე ორიენტირებული სპეციფიკური სტრატეგიის შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რისკისათვის გზადყოფნის გასაუმჯობესებლად	76
თავი 5. ხანძარი	76
5.1 ძეგლისთვის მიყენებული ზიანი	76
5.1.1 შენობებისა და მათში არსებული ნივთებისთვის მიყენებული ზიანი	76
5.1.2 ისტორიული უბნების დაზიანება	77
5.1.3 კულტურული ლანდშაფტებისა და არქეოლოგიური ტერიტორიებისთვის მიყენებული ზიანი	77
5.2 ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციის სტრატეგიის შემუშავება	77
5.2.1 სტრატეგიის შემუშავების პასუხისმგებლობა	78
5.2.2 სტრატეგიის ელემენტები	78
5.3 რისკის შემცირება	78
5.3.1 ცეცხლგამძლეობის გაძლიერება	79
5.3.2 ხანძრის აღმოჩენა და მონიტორინგი	80
5.4 ხანძარზე რეაგირების გეგმის შემუშავება	80
5.5 სტრატეგიის ჩამოყალიბება: ტექნიკური და გეგმარებითი ზომები	82
5.5.1 რისკის მინიმიზაცია	82
5.5.2 ხანძრის გავრცელების შეფერხება და მემკვიდრეობის ობიექტის დაცვა	84
5.5.3 ხანძრის აღმოჩენისა და განგაშის სისტემები	86
5.5.4 რეაგირების გეგმის შემუშავება	87

5.6 რეაგირება	88
5.6.1 ხანძარ – უსაფრთხოების მენეჯერისა და გუნდისთვის	89
5.6.2 მობინადრეთათვის	89
5.6.3 ადგილობრივი მებანძრეებისთვის	89
5.7 აღდგენა	90
5.7.1 შენობა უნდა იქნეს სტაბილიზებული	91
5.7.2 მოსაშორებელია ხანძრისა და მასთან ბრძოლის მეთოდების ნეგატიური შედეგი	91
5.7.3 უნდა განხორციელდეს ხანძრის მიერ დაზიანებული შენობის დეტალური შეფასება	92
5.7.4 მოხდეს გადარჩენილი ობიექტების აღწერა და მიღებულ იქნას დაზიანებული ობიექტების, ელემენტების საკონსერვაციო ზომები	92
5.7.5 ყველა განგაშის სისტემის და ხანძართან ბრძოლის ხელსაწყო აღდგენა	92
5.7.6 მომზადდეს სარემონტო და სარეკონსტრუქციო გეგმები	92
თავი 6. მიწისძვრები და მათთან დაკავშირებული კატასტროფები	93
6.1 ძეგლზე მიყენებული ზიანი	93
6.2 მიწისძვრისათვის მზადყოფნის სტრატეგიის შემუშავება	95
6.2.1 სტრატეგიის შემუშავების პასუხისმგებლობა	95
6.2.2 სტრატეგიის ელემენტები	96
6.3 სტრატეგიის ჩამოყალიბება: დაგეგმვა და ტექნიკური ზომები	100

6.3.1 რისკის შემცირება	100
6.3.2 სეისმომდეგობის გაზრდა	101
6.3.3 მინისძვრის პროგნოზირების და სეისმოდეტექციის სისტემები	103
6.3.4 რეაგირების გეგმის შემუშავება	104
6.4 რეაგირება	106
6.5 აღდგენა	107
თავი 7. წყალდიდობა	113
7.1 ძეგლისთვის ზიანის მიყენება	113
7.2 წყალდიდობისთვის მზადყოფნის სტრატეგიის ჩამოყალიბება	115
7.2.1 სტრატეგიის განვითარების პასუხისმგებლობა	116
7.2.2 სტრატეგიის ელემენტები	117
7.2.3 რისკის შემცირება	117
7.2.4 წყალდიდობისას ნაგებობის გამძლეობის გაზრდა	118
7.2.5 წყალდიდობის აღმოჩენა და მონიტორინგი	119
7.2.6 წყალდიდობაზე რეაგირების დაგეგმვა	119
7.3 სტრატეგიის ჩამოყალიბება: დაგეგმვა და ტექნიკური ზომები	121
7.3.1 რისკის შემცირება	121
7.3.2 წყალმოვარდნის სანინალმდეგო მდგრადობის გაუმჯობესება	123
7.3.3 წყალდიდობის პროგნოზირების და დეტექციის სისტემები	124
7.3.4 რეაგირების გეგმის შემუშავება	124

7.4 რეაგირება	125
7.5 აღდგენა	127
თავი 8. შეიარაღებული კონფლიქტები	129
8.1 ძეგლების დაზიანება	129
8.2 შეიარაღებული კონფლიქტებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია	130
8.3 შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შემუშავება	137
თავი 9. სხვა სახის საფრთხეები	141
9.1 ცუნამი	141
9.2 მეწყერები, ზვავები და ღვარცოფები	142
9.3 ქარები ან ტროპიკული გრიგალები (ქარიშხლები, ტაიფუნები და ა.შ.)	143
9.4 ადამიანისმიერი საშიშროებანი	144
9.5 არაადეკვატური მოვლა	144
9.6 ინდუსტრიული დაბინძურება და კატასტროფები	144
III. ავამოქმედოთ ჩისკისათვის მზაობა	146
თავი 10. ცალკეული ძეგლისთვის განკუთვნილი მზადყოფნის გეგმის შემუშავების ძირითადი პრინციპები	146
10.1 ღირექტივები წინასწარი დაგეგმვისთვის	146

10.2 კატასტროფისა და კონფლიქტის დროს რეაგირების ძირითადი პრინციპები	149
10.3 საშიშროებებისა და კონფლიქტების შემდგომი ქმედების ძირითადი პრინციპები	150
10.4 ზიანის შეფასების მიახლოებითი კითხვარი	151
თავი 11. კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესება ეროვნულ დონეზე	154
11.1 შესავალი	154
11.2 რისკისთვის გაუმჯობესებული მზადყოფნის ელემენტები	155
11.3 კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების პროცესის მოდელი	157
დანართი 1. კვებეკის დეკლარაცია	164
დანართი 2. კობე/ტოკიოს დეკლარაცია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ	169
დანართი 3. „ბლუ შილდის“ მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად	183
დანართი 4. ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების აღრიცხვის პრინციპები	187
დანართი 5. ასიზის დეკლარაცია	196

ტერმინების და შემოკლებების განმარტებები

კონსერვაცია – სპეციფიკური ზომები, რომლებიც უზანდრძლივებს სიცოცხლეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს და ამავდროულად აძლიერებს მის მნიშვნელოვნებას და ღირებულებას.

კულტურული მემკვიდრეობა – გამოყენებულია ტექსტში ისე, როგორც ეს მითითებულია მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციაში, სახელდობრ, „ნაგებობები, ნაგებობათა ჯგუფები და ღირსშესანიშნავე ადგილები“.

კატასტროფა – მოვლენა, რომლის ზემოქმედებაც აჭარბებს ობიექტის ან მისი მომვლელი პერსონალის ნორმალურ შესაძლებლობას გააკონტროლოს ამ მოვლენის მიერ გამოწვეული შედეგები.

საგანგაშო მდგომარეობა – მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დანაკარგები (და თუ კი მას სათანადო ყურადღება არ მიექცა, შესაძლოა გადაიზარდოს კატასტროფაში).

საშიშროება – კონკრეტული საფრთხე ან დაზიანების პოტენციური წყარო (გამოწვეული ხანძრისგან, წყალდიდობისგან, მიწისძვრისგან და სხვა).

შერბილება – ღონისძიებები, რომელნიც გვეხმარება მოსალოდნელი კატასტროფების თავიდან აცილებასა თუ მათი ნეგატიური ზეგავლენის შემცირებაში.

მზადყოფნა – წინასწარ დაგეგმილი ძალისხმევა რისკის შესამცირებლად მოიცავს რეაგირების და აღდგენითი სამუშაოების გეგმების მომზადებას.

აღდგენა – ის ღონისძიებები რაც დაგვეხმარება შევავსოთ კატასტროფის შედეგად გამოწვეული ფიზიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი თუ კულტურული დანაკარგები და რითაც შეიძლება შევამციროთ მომავალში მათი აღბათობა.

რისკი – საშიშროება X ობიექტის დაზიანებისადმი მიდრეკილ აღბათობაზე.

ნაკლები მდგრადობა – ამა თუ იმ შესაძლო ხიფათის ზემოქმედებით, ობიექტის შესაძლო დანაკარგის ხარისხის შეფასება.

CRATerre – International Centre for Conservation of Earthen Architecture
აღიზის/ მიწის არქიტექტურის საერთაშორისო კონსერვაციის ცენტრი

DOCOMOMO – Documentation and Conservation of the Modern Movement
თანამედროვე ძეგლების დოკუმენტაცია და კონსერვაცია

FEMA – Federal Emergency Management Agency, USA
ფედერალური სასწრაფო მენეჯმენტის სააგენტო, აშშ

GCI – Getty Conservation Institute გეტის კონსერვაციის ინსტიტუტი

IATF – Inter-Agency Task Force (for improving risk-preparedness for cultural heritage) საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც შეიქმნა რისკისათვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად კულტურული მემკვიდრეობის დარგში

ICA – International Council for Archives არქივების საერთაშორისო საბჭო

ICBS – International Committee of the Blue Shield ბლუ შილდის საერთაშორისო კომიტეტი

ICCROM – International Centre for the Study of the Preservation and Restoration of Cultural Property კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენისა და დაცვის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი

ICOM – International Council of Museums
მუზეუმების საერთაშორისო საბჭო

ICOMOS – International Council of Monuments and Sites
ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო

ICR – Istituto Centrale per il Restauro (Central Restoration Institute), Italy
რესტავრაციის ცენტრალური ინსტიტუტი, იტალია

ICRC – International Committee of the Red Cross
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

IDNDR – International Decade for Natural Disaster Reduction
ბუნებრივი კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დეკადა

IFLA – International Federation of Library Associations and Institutions
ბიბლიოთეკათა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია

IUCN – World Conservation Union მსოფლიო კონსერვაციის კავშირი

NIC – National Institute for the Conservation of Cultural Property, USA
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის ეროვნული ინსტიტუტი, აშშ

SAARC – South Asian Association for Regional Cooperation
სამხრეთ აზიის რეგიონალური თანამშრომლობის ასოციაცია

TICCIH – The International Committee for Conservation of the Industrial Heritage ინდუსტრიული მემკვიდრეობის კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტი

UNESCO – United Nations Educational, Scientific and Cultural Organization გაერთიანებული ერების სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია

WHC – World Heritage Center მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი

ICCROM-ის წინასიტყვაობა

რისკისთვის მზადყოფნის: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო-ს პუბლიკაცია ICCROM- UNESCO-ს მიერ აგრძელებს 1983 წელს დაწყებულ პროცესს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში პირველი ძეგლის შეტანიდან ხუთიოდ წლის შემდეგ. იმ ხანად დიდი საჭიროება იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების სათანადო მენეჯმენტის. შესაბამისად, UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის განყოფილებამ მიანიჭა ICCROM-ს და ICCROM-ს მანდატი მენეჯმენტის დირექტივების შემუშავებისათვის.

სერ ბერნარ ფილდენს, ICCROM-ის ყოფილ დირექტორს ეთხოვა შეედგინა დოკუმენტი. ფართო განხილვებისა და ICCROM-ის თანამშრომლის იუკა იოილეტოს მონაწილეობით 1993 წელს გამოიცა: მართვის სახელმძღვანელო პრინციპები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის.

დღეისათვის სახელმძღვანელო ათობით ენაზეა უკვე ნათარგმნი. თუმცა, ამ პოპულარულმა სახელმძღვანელომ გააღვივა ინტერესი სხვა მსგავსი მენეჯმენტის სახელმძღვანელოების მომზადების მიმართულებითაც, სადაც უფრო ღრმად იქნებოდა განხილული ფეილდენისა და იოილეტოს მიერ წარმოდგენილი კომპონენტები.

ჰერბ სტოველს, რისკისთვის მზადყოფნის სახელმძღვანელოს ავტორს, ეკუთვნის აგრეთვე მენეჯმენტის სახელმძღვანელო მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქებზე, რომელიც მომზადდა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ასოციაციის პირველი შეხვედრისთვის, 1991 წელს და მალევე გამოქვეყნდა განმეორებით ICCROM- UNESCO-ს მიერ. 1993 წელს რობერტსონ კოლინსმა ნაწილობრივ აშშ- ICCROM-ის და „ამერიქენ ექსპრესის“ სახელით მოამზადა ტურისტული მენეჯმენტის სახელმძღვანელო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის. ამავე დროს გრძელდება მსგავსი სახელმძღვანელოების მომზადება სხვა, მსგავს საკითხებზე, როგორებიცაა: აღწერა, დოკუმენ-

ტაცია და ინფორმაციის მართვა, კულტურული ლანდშაფტების მენეჯმენტი და სხვა.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის რისკისთვის მზადყოფნის მენეჯმენტის სახელმძღვანელო ეხება არა მხოლოდ მართვის მნიშვნელობას, არამედ იმ პასუხისმგებლობას რომელიც მიმართულია ძეგლების კონსერვაციისათვის პრევენციული ზომების მიღებაზე. ICCROM ამაყობს იმ წვლილით, რომელიც შეაქვს მენეჯმენტის პრაქტიკის განვითარებაში (კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისთვის), მისი აქტიური მონაწილეობით სახელმძღვანელოების შედგენისა და პუბლიკაციის მეშვეობით. ამკარაა, რომ ეს სახელმძღვანელო ღირსეულად აგრძელებს აქამდე განეულ მცდელობას და მალე გახდება ძირითადი ინსტრუმენტი მენეჯერთათვის, რათა მაქსიმალურად გაუმჯობესდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რისკისთვის მზადყოფნა.

მარკ ლოენენი
გენერალური დირექტორი

ICOMOS-ის წინასიტყვაობა

იმ ღონისძიებების შედეგად, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ კონსერვაციის განვითარებისთვის მდგრადობის მისანიჭებლად, ევოლუციის პირობებში მყოფ გლობალურ საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის საყოველთაო ადგილის დამკვიდრებისას, ჩვენი პროფესიონალური მიდგომები, რა თქმა უნდა, გაფართოვდა. ICOMOS-მა აიღო ვალდებულება მიმდინარე სამი წლის (1996-1999) მანძილზე „მემკვიდრეობის გონივრული მოხმარების“ კონცეფციის, როგორც მოძრაობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნებისკენ გადანაცვლების შემადგენლის ხელშეწყობისა.

რისკისთვის მზადყოფნა მნიშვნელოვანი ნაწილია კულტურული გარემოს უფრო გონივრული მოხმარებისა. რისკის ანალიზი და მისი ზემოქმედების შერბილება უზრუნველყოფს მწირი რესურსების უკეთეს გამოყენებას და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ოპტიმალურ პირობებს. რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩო სამუშაოს სთავაზობს მათ, ვინც ნაგები გარემოს კონსერვაციაშია ჩართული, იგი სთავაზობს შანსს ისტორიაში პირველად მთლიანად დააფუძნონ მათი ქმედებები პრევენციულ ზომებზე.

რადგან ეს მიზნები არ არის ახალი კონსერვაციისთვის, ახლანდელი მცდელობა გაერთიანდეს მოსაზრებები და პრაქტიკული ქმედებები წარმართებოდა ყოფილი ICOMOS-ის გენერალური მდივნის, ჰერბ სტოველის მიერ, რომელმაც დაწერა ეს სახელმძღვანელო. იგი თავმჯდომარეობდა პირველი მრგვალი მაგიდის შეხვედრას 1990 წელს და თავი მოუყარა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას იმ მიზნით, რომ განხილულ ყოფილიყო თანამშრომლობის ტიპები. ICOMOS-ის რისკისთვის მზადყოფნის კოორდინატორმა ლეო ვან ნისპენმა, რომელიც უძღვებოდა საუნწყებათაშორისო კომისიას რისკისათვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად კულტურული მემკვიდრეობის დარგში (სადაც შედიოდნენ UNESCO, ICCROM, ICOMOS, ICOM, ICA, IFLA, ევრო

საბჭო და მრავალი სხვა). გასული ხუთი წლის განმავლობაში არაერთი კოლექტიური ღონისძიება და ქმედება განხორციელდა. ეს სახელმძღვანელო ხელშესახები დემონსტრირებაა საერთაშორისო თანამშრომლობისადმი ახლებური ინტერესისა.

ამ სახელმძღვანელოს პუბლიკაცია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის დაფინანსებით მოხდა, რასაც წინ უძღოდა მის შემაჯგენლობასა თუ შინაარსზე მრავალმხრივი კონსულტაციები. ამ მხარდაჭერით კომიტეტმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მნიშვნელოვანი როლი, როგორც ძლიერი ინსტრუმენტისა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მსოფლიოს ძეგლებისათვის – და რომლის შემწყობით ეს სახელმძღვანელო (მის მიერ გამოწვეული მსჯელობითურთ) ხელმისაწვდომი გახდეს მენეჯერებისთვის, რომლებიც ჩართული არიან ძეგლების მოვლა-პარტონობის სფეროში ყველა დონეზე.

სახელმძღვანელო ეფუძნება ძეგლების მენეჯერებისთვის რისკისთვის მზადყოფნის დირექტივებისა თუ სახელმძღვანელოების მომზადების გამოცდილებას. მისი მიზანია მკითხველს დაეხმაროს სტანდარტული, უკვე აღწერილი მოდელების და მითითებების მიხედვით თავისი საკუთარი დირექტივები გამოიმუშაოს. სახელმძღვანელოზე მუშაობა დაიწყო წინასწარული კონსულტაციებით საუნწყებნათაშორისო კომისიასა (IATF) და მის წევრებთან, შემდგომ კი განხილული იქნა ICCROM და ICOMO-ის ექსპერტების მიერ, თუმცა ეს მაინც მხოლოდ დასაწყისია. იმედია, რომ მსოფლიოში ყველა მიმართულებით არსებული მრავალი „საუკეთესო პრაქტიკული“ მაგალითი მომავალში უფრო გაამდიდრებს არსებულ მონაცემებს. თუ თქვენ გაქვთ გამოცდილება, რომლის გაზიარებასაც ისურვებდით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და დამოგვცეთ თქვენი ინფორმაცია.

ჟან-ლუი ლუკსენი

ICOMOS-ს გენერალური მდივანი

სამადლობელი

ამ სახელმძღვანელოს შექმნა შესაძლებელი გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით და ICCROM, ICOMOS და UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის პერსონალის მხრიდან დაუშურვებელი თანადგომით.

ავტორს განსაკუთრებულად სურს აღნიშნოს ლეო ვან ნისპენის, ICOMOS ბლუ შილდის კოორდინატორის თაოსნობა, რომელმაც წამოიწყო აღნიშნული პროექტი, კონსტრუქციული კრიტიკა, რომელიც გამოითქვა საუნეებათაშორისო კომისიის (IATF) მრგვალი მაგიდის გარშემო (აღსანიშნავია აგრეთვე UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მრგვალი მაგიდის შეხვედრები) და დოკუმენტის პროექტის ძირითადი შემსწორებლების: ლეო ვან ნისპენის, ანა ვებსტერ სმიტის და ჰენრი ქლეერის (ICOMOS-დან), იუკა იოკილეტოს, ჯოზეფ კინგის და ანდრეა ურლანდის (ICCROM-დან), ეტიენ კლემენტის, ჰერმან ვან ჰოოფის და ჰიდუო ნოგუჩის (UNESCO-დან) წვლილი.

I. კონტექსტი

თავი I შესავალი

1.1 რატომ გახდა აუცილებელი შექმნილიყო სახელმძღვანელო რისკის მზადყოფნაზე კულტურული მემკვიდრეობის დარბში?

1997 წლის 26 სექტემბერს ასიზში მომხდარმა მიწისძვრამ და მსგავსმა შემთხვევებმა მსოფლიო აიძულა ყურადღება მიექცია შესაძლო რისკზე, რომელიც მუდამ ემუქრება კულტურულ მემკვიდრეობას. თანამედროვე მედიის ძალას შეუძლია მიიპყროს მსოფლიოს ყველა მოქალაქის ყურადღება ადამიანთა დრამაზე, რომელიც ამა თუ იმ ადგილას მომხდარა. ეს განავრცობს დანაკარგის შეგრძნების განმცდელთა რიცხვს და აღვივებს უშუალოდ დაზარალებულთა მიმართ თანაგრძნობას. ჩვენ დაუყონებლივ მზად ვართ გავილოთ ჩვენი დრო, ფული, ენერჯია და ძალისხმევა იმისათვის, რომ დავეხმაროთ დანაკლისის აღდგენას და გავაუმჯობესოთ პრევენციული სტრატეგიები მომავალში მსგავსი ზიანის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, როდესაც შემთხვევა უკვე წარსულს ჩაბარდა და მედიის ყურადღებაც თანდათან განელდა, ჩვენ ველარც ვისხენებთ, რა და როგორ მოხდა. ასევე განელდება ხოლმე ჩვენი ზრუნვა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ერთი მთლიანი მემკვიდრეობის მიმართაც, თუმცა მას არანაკლები ხიფათი ელის, ვიდრე იმ თვალით დასანახი ტრაგიკული ამბების მსხვერპლთ, ჩვენი ყურადღების მიზიდვა რომ შეძლეს.

ჩვენ ვეხმაურებით ტრაგედიას მაშინ, როდესაც იგი ხდება. ჩვენ ვეხმაურებით მას ენერჯიით, თანაგრძნობითა და უმწეობის განცდითაც, თუმცა ჩვენ თავს ვიკავებთ მივმართოდ მთელი ჩვენი უნარი იმისკენ, რომ უფრო ფართო მასშტაბით ვმართოთ პროცესები, რომლებზეც პასუხისმგებელნი ვართ. ჩვენ თავს ვიკავებთ სერიოზულად დავხარჯოთ თანხები გაუმჯობესებული მზაობისთვის არა მხოლოდ მომხდარ მოვლენებზე, არამედ ყველა იმ რისკ-ფაქტორების პრევენციაზე რომელმაც შესაძლოა საფრთხე

შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას. ამ ფართომასშტაბური პერსპექტივების დანახვა მოითხოვს არსებით გადახედვას აქამდე დამკვიდრებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საკონსერვაციო მიდგომისა, იმ მიდგომის, რომელიც გაბატონებულია უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში.

არსებული მიდგომის გადახედვა ამჟამად უკვე დაწყებულია. ბოლოდროინდელი ადამიანისმიერი ძარცვა-გლეჯით (მაგ., ომი ახლო აღმოსავლეთში, სამოქალაქო ომი ყოფ. იუგოსლავიაში, ანგკორის გაძარცვა) თუ ბუნებრივი კატაკლიზმებით (წარღვნა კვებეკის საგენაში, მიწისძვრები კალიფორნიაში, ხანძრები ავსტრალიასა და ამაზონის ხეობაში და ა.შ) გამოწვეული მეტად თვალსაჩინო დანაკარგების ზეგავლენით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ბევრი სააგენტო და პროფესიონალი უკვე 1990-იანი წლებიდან უპირატესობას ანიჭებს უბედურების თავიდან აცილების საკონსერვაციო სტრატეგიების განვითარებას, ვიდრე პერიოდულ ჩარევას.

თუკი პრევენციისადმი ინტერესი დიდი ხანია წარმოადგენდა სამუზეუმო ნივთების, არქეოლოგიური ტერიტორიებისა და კოლექციების კონსერვაციის საშუალებად გეზს, უძრავი ძეგლების კონსერვაციის პროფესიონალებმა (რაკი მათი უმთავრესი საზრუნავი მემკვიდრეობის ნაგებობათა გამოყენების საშუალება იყო) მომართეს მათი საკონსერვაციო ქმედებები ეპიზოდური ქმედებისკენ, როგორცაა შეკეთება, მოდერნიზაცია, რესტავრაცია და რეაბილიტაცია.

ბლუ შილდის მოძრაობა წამოწყებულ იქნა ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს მიერ (ICOMOS) 1992 წლის ოქტომბერში. ის მიზნად ისახავდა კონსერვაციისადმი მიდგომის და მისი პრაქტიკის რეორიენტაციას. შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში საუწყებოთაშორისო სამუშაო ჯგუფი (IATF) და ICCROM, UNESCO, ICOMOS, ICOM და ბევრი სხვა დაინტერესებული უწყება იღწვოდა საუწყებოთაშორისო სამუშაო ჯგუფის და მისი ინდივიდუალური წევრების ქმედებათა კოორდინირებისკენ ხუთ ძირითად სფეროში: დაფინანსება, საგანგებო რეაგირება, წვრთნა და დირექტივები, დოკუმენტაცია და გათვითცნობიერებულობა. საუწყებოთაშორისო სამუშაო ჯგუფის მიერ გატარებული ღონისძიებების ყველაზე ნათელი შედეგი გახდა 1996 წლის ივლისში ბლუ შილდის საერთაშორისო კომიტეტის ჩამოყალიბება (ICBS), რათა მომხდარიყო საგანგებო ვითარების

რეაგირების ღონისძიებების კოორდინირება ყველა დაინტერესებულ უწყების მონაწილეობით.

საუნეცბათაშორისო სამუშაო ჯგუფის შეხვედრებსა და მასთან დაკავშირებულ ფორუმებზე გამოაშკარავდა კონსერვაციის სპეციალისტთა შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიდგომისმიერი ძვრა. სახელდობრ, შეიცვალა დამოკიდებულება კატაკლიზმებისადმი, როგორც ნაკლებად საინტერესო რისკ-ფაქტორთან (თითქოს იმის გამო რომ მათი ალბათობა იშვიათია). სპეციალისტები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების ცხოვრებაში ამ ხანმოკლე მოვლენათა გავლენა შეიძლება ბევრად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ყოველდღიური ცვეთის გავლენა. ამასთან, გაცნობიერებულ იქნა, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება პრევენციაზე ახალი, ფოკუსირებული პრინციპის შემოღება: რისკის ქვეშ მყოფი ძეგლები. ეს პრინციპი გვთავაზობს უფრო ფართე თვალთახედვას, ვიდრე აქამდე კონსერვაციის მიმართ არსებული მიდგომები; ეს თვალთახედვა ითვალისწინებს დაზიანების ყველა შესაძლო წყაროს იდენტიფიკაციას და პრევენციას, დაწყებული ყოველდღიური ცვეთიდან, დამთავრებული კატაკლიზმების ან კონფლიქტების დროს შესაძლო დანაკარგებით.

მიდგომათა თანხვედრამ ორ სფეროში უკვე გამოიღო შედეგი მთელი რიგი წამოწყებებით როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს სახელმძღვანელოც ერთ-ერთი ასეთი წამოწყების მაგალითია. ის მომზადდა ICOMOS-ის მიერ, მისი რედაქტირება UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მხარდაჭერით გაკეთდა, ხოლო გამოიცა ICCROM-ის მიერ. კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის სახელმძღვანელო გამიზნულია დახმარება აღმოუჩინოს ძეგლის მენეჯერებს, მაქსიმალურად შეძლონ რისკის პრევენცია მოსალოდნელი კატასტროფის შემთხვევაში.

1.2. რისკისთვის მზადყოფნა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის კონტექსტში

1.2.1 კონვენციის უპირატესობანი

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, უფრო ზუსტად, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, მიღებულ იქნა 1972 წლის ნოემბერს, პარიზში, UNESCO-ს მეექვსე გენერალურ კონფერენციაზე. ეს კონვენცია UNESCO-ს ერთ-ერთი წარმატებათაგანია, რადგანაც უკვე 1998 წელს მას 150 ქვეყანა შეუერთდა და 500 ძეგლი იყო შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ეს ნუსხა შესანიშნავი იარაღია კაცობრიობის საზიარო მემკვიდრეობის განდიდებისა, მისი ღირსშესანიშნავი ადგილების „განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების“ შეცნობის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ყურადღება მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, ნუსხაში შესული ღირსშესანიშნავი ადგილებისადმი, ის თანაბრად სასარგებლოა მსოფლიოში არსებული მთელი კულტურული მემკვიდრეობისთვის – განურჩევლად იმისა, იქნება ის დიდი თუ მოკრძალებული მნიშვნელობის.

კონვენცია აგრეთვე სხვა მხრივაცაა დიდად სასარგებლო:

- ის გამოცდილება, რომელიც გადროვდა მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მოვლა-პატრონობასა თუ კონსერვაციაში, აგრეთვე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის მქონე ყველა სხვა ღირსშესანიშნავ ძეგლებზე.
- იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ელემენტებზე ზრუნვა, კონვენცია ხელს უწყობს კონსერვაციის უმაღლესი სტანდარტების დანერგვას ეროვნულ დონეზე მის წევრ ქვეყნებში. კონვენციის მე-4 და მე-5 თავი ამბობს:

„იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური და აქტიური ზომების გატარება კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისათვის, კონსერვაციისა და პრევენციისათვის, მისი ტერიტორიის ფარგლებში, კონვენციის ყოველი წევრი სახელ-

მნიფო, ქვეყნის სპეციფიკის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს:

- მიღებულ იქნას ზოგადი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას მიაწოდოს ფუნქცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოახდინოს ამ მემკვიდრეობის დაცვის ინტეგრაცია დაგეგმვის ყოვლისმომცველ პროგრამებში;

- თავის ტერიტორიაზე, იქ, სადაც არ არსებობს ასეთი სამსახურები, უნდა ჩამოყალიბდეს კულტურული და ნატურალური მემკვიდრეობის დაცვის, კონსერვაციის და პრეზერვაციის ერთი ან მეტი სამსახური შესაბამისი პერსონალით და აღჭურვილობით, რომელიც ფუნქციონირებადი იქნება;

- მიღებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი, სამეცნიერო, ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური ზომები საჭირო ამ მემკვიდრეობის იდენტიფიკაციისთვის, დაცვისა და რეაბილიტაციისთვის.“

- კონვენცია შესანიშნავი იარაღია საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. იგი ეფუძნება ძირითად ძალისხმევას, ხელი შეუწყოს ქვეყნებსა და სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებებს შორის თანამშრომლობას, რათა განდიდებულ იქნეს ჩვენი საერთო, კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები.
- იგი უზრუნველყოფს თანასწორ და თანმიმდევრულ შეფასებას მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და შემდგომ მათი კონსერვაციის დილემების გადაჭრას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დარგის მეცნიერულ განვითარებაში ახალ-ახალი წვლილის შეტანას.

1.2.2. კონვენციის მოქმედება

კონვენციის დადგენილებები იმართება სამოქმედო პრინციპებით, რომელთა გადახედვა ხდება რეგულარულად. ისინი აღწერენ კონვენციის განხორციელების სხვადასხვა პროცედურებსა და მეთოდებს.

კონვენციის მოქმედება ხორციელდება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის (World Heritage Committee) მიერ, რომლის წევრებიც არჩეული არიან კონვენციის წევრი სახელმწიფოებიდან. კომიტეტის მართვა, რომელიც შედგება 21 ქვეყნის წარმომადგენლებისაგან, ხორციელდება შვიდი წევრის მიერ, რომლებიც შეადგენენ მსოფლიო მემკვიდრეობის ბიუროს. UNESCO-ს ხელშეწყობით, სამდივნო – მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი (WHC) – აღასრულებს კომიტეტის ქმედებებს და აადვილებს მისი რეკომენდაციების სისრულეში მოყვანას. ეს ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბდა 1992 წლის ივნისში.

კონვენცია აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ კომიტეტისთვის საჭირო რჩევას ის ღებულობდეს საკონსულტაციო ერთეულებიდან: ICOMOS და ICCROM-ისგან კულტურული მემკვიდრეობისთვის და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ კი მსოფლიო კონსერვაციის კავშირისგან (IUCN). ICOMOS და IUCN, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, აწარმოებენ იმ ღირსშესანიშნავი ადგილების შეფასებას, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არის შეტანილი, აწარმოებენ მათ მონიტორინგს, იუნესკო-მ მათი კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყოფენ შესაბამის ტექნიკურ დახმარებას. ეს სახელმძღვანელო ერთ-ერთია ICCROM-ის მიერ შექმნილი სერიიდან, რომლის პირველი ნიგნია 1993 წელს გამოცემული ფილდენის და იოკილეტოს - მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები. ყველა საკონსულტაციო ერთეული პირი აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონვენციის ინტელექტუალურ განვითარებაში, რაც ხშირად სხვებთან პარტნიორობის შედეგად ხდება; ICOMOS-ი, მაგალითად, თანამშრომლობს ინდუსტრიული მემკვიდრეობის კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტთან (TICCIH) ინდუსტრიული მემკვიდრეობის სფეროში, DOCOMOMO-სთან თანამედროვე არქიტექტურის სფეროში. ICCROM-ს ახლო თანამშრომლობა აკავშირებს მინით მშენებლობის ცენტრთან (CRAT-erre) მინის/ალიზის არქიტექტურასთან დაკავშირებით.

სამოქმედო პრინციპები აღწერს იმ საფუძვლებს, რომლის მიხედვით ICOMOS-მა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ადგილის ნუსხაში შეტანის საკითხი. ღირსშესანიშნავმა ადგილებმა სამი ერთნაირად მნიშვნელოვანი პირობა უნდა დააკმაყოფილონ:

- უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება;
- მათ უნდა გაიარონ ავთენტურობის ტესტი;
- ისინი უნდა იყვნენ ადეკვატურად დაცული.

შესაბამისად, ეს ცხადყოფს რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შედის არა მხოლოდ განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ობიექტები, არამედ კარგად დაცული - განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ობიექტები.

იმისათვის, რომ ძეგლი აღიარონ განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ობიექტად, კომიტეტმა უნდა მიიჩნიოს, რომ ძეგლი აკმაყოფილებს ექვსი კრიტერიუმიდან ერთ-ერთს მაინც, რომელნიც აღწერილია სამოქმედო პრინციპების 24-ე პარაგრაფში.

ძეგლი უნდა წარმოადგენდეს:

1. კაცობრიობის ქმნილების შედეგს; ან
2. ადამიანურ ფასეულობათა მნიშვნელოვან მონაცვლეობას, დროთა განმავლობაში ან მსოფლიო კულტურულ ეპოქათა განმავლობაში, ან მსოფლიოს კულტურულ სფეროში, არქიტექტურის ან ტექნოლოგიის განვითარებაში, მონუმენტურ ხელოვნებაში, ქალაქის დაგეგმარებაში, ლანდშაფტის დიზაინში; ან
3. უნიკალურ ან, სულ მცირე, განსაკუთრებულ მაგალითს კულტურული ტრადიციისა ან ცივილიზაციისა, რომელიც დღემდე არსებობს ან უკვე გადაშენდა; ან
4. განსაკუთრებულ მაგალითს შენობის, ან არქიტექტურული თუ ტექნოლოგიური ქმნილების, ან ლანდშაფტის, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპ(ებ)ს; ან
5. გამოჩენილ მაგალითს ადამიანთა ტრადიციული დასახლებების ან მიწათსარგებლობის, რომელიც ასახავს კულტურას და რომელმაც განიცადა შეუქცევადი ცვლილებების ზეგავლენა; ან
6. იყოს ასოცირებული მოვლენებთან ან საცხოვრებელ პირობებთან, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ

იდებთან და რწმენასთან, მხატვრულ ან ლიტერატურულ ნაშრომთან, რომლებიც უნივერსალური მნიშვნელობის არიან (კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამ კრიტერიუმის ნუსხაში შეტანა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იგი კავშირში იქნება ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კრიტერიუმთან).

ის ძეგლები, რომლებიც მხოლოდ მეექვსე კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იქნან შეყვანილი ნუსხაში. კომიტეტს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მეექვსე კრიტერიუმის არახელშესახები ასოციაციები უნდა იყოს დაკავშირებული ხელშესახებ ფასეულობებთან ძეგლის ფიზიკურ ფორმებსა და მსახველობასთან, რომელნიც სხვა კულტურული კრიტერიუმებითაა შეფასებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობიექტი არა მხოლოდ საყოველთაო კულტურული ღირებულებისა უნდა იყოს, არამედ ავთენტურობის ტესტიც უნდა გაიაროს. ავთენტურობა საკმაოდ ფართოდ არის ახსნილი საექსპლუატაციო პრინციპებში, 24-ე პარაგრაფში და მოიცავს ჩანაფიქრის მასალის, ხელობის ან გარემოს ავთენტურობას:

- მასალა: „შენობის ორიგინალური მასალა, ისტორიული სტრატეგრაფია ან ისტორიის მნიშვნელოვანი ფაზების ზემოქმედების კვალის ხმოვანების ნალექი“;
- ხელობა: „შემადგენლობა და ნიშნები შენების ორიგინალური ტექნოლოგიისა; მასალის დამუშავების ტექნოლოგიები და კონსტრუქცია“;
- ჩანაფიქრი: „ელემენტები ან ფორმა, რომელშიც გამოხატულია ობიექტის მხატვრული და ფუნქციური ჩანაფიქრი (ძეგლის თავდაპირველი საზრისი და გზავნილი, მხატვრული და ფუნქციური იდეა, მემორიალური ასპექტი);“ ან
- გარემო: „ადგილი და გარემო, რომელიც უკავშირდება სამშენებლო პერიოდებს, ადგილობრივ ლანდშაფტს. ქალაქის ხედი, ჯგუფური ღირებულება“.

კულტურული ლანდშაფტი უნდა ინარჩუნებდეს მისი ხასიათის ავთენტურობას.

ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ ღირებულად მიიჩნევა ტესტის გაფართოებას, რათა მან მოიცვას ფუნქციის, ტრადიციის და სულისკვეთების ავთენტურობა.

და ბოლოს, ობიექტებს, რომლებიც მიჩნეულ იქნებიან უნივერსალური ფასეულობის მატარებლად, გაივლიან ავთენტურობის ტესტს, მოეთხოვებათ აგრეთვე იყვნენ დაცულნი ადეკვატური მენეჯმენტით, სამართლებრივი და ტრადიციული მექანიზმებით. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს სამართლებრივი დაცვის არსებობას შესაბამის სამთავრობო დონეზე, ადმინისტრაციულ მოწყობას ეფექტური მენეჯმენტისათვის და ობიექტის მოვლისა და მოფრთხილების ტრადიციულ ზომებს.

1.2.3 რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობა – კონვენციასთან მიმართებაში

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც ხდება რისკის-ქვეშ-მყოფი-ობიექტის იდენტიფიკაცია. კონვენცია გვთავაზობს საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხას, სადაც შესულია ის ობიექტები, რომელთა შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საჭიროა საგანგებო ზომები და საერთაშორისო თანამშრომლობა.

საგულისხმოა, რომ დღესდღეობით საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში კულტურული და ბუნებრივი ობიექტების მხოლოდ მცირე რაოდენობაა შეტანილი. თუმცა, მათი კონსერვაციის მდგომარეობას დიდი ადგილი ეთმობა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ყოველწლიურ შეხვედრებზე, სადაც ყურადღება კონკრეტული საფრთხის რაობას და მისი შემსუბუქების შესაძლო ხერხებზეა გამახვილებული.

ბოლო დროს კომიტეტის მზარდმა ყურადღებამ მონიტორინგის საკითხებისადმი, აგრეთვე გაზარდა ყურადღება შესაძლო რისკის მზადყოფნის მიმართაც. მართალია, სიტყვა „მონიტორინგმა“ განხილვისას შემოთქმება გამოიწვია, მაგრამ კომიტეტმა გამოხატა დიდი ინტერესი გარკვეულიყო ნუსხაში შეტანილი ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის ამჟამინდელ მდგომარეობასა და იმ საფრთხეში, რაც მათ ემუქრება. კომიტეტის 20 წლის მოქმედების მიმოხილვაში (გამოქვეყნდა 1992 წელს) ყურადღება ზოგიერთ ისეთ სფეროზეც გამახვილდა, რაც რისკის მზადყოფნისთვისაა

საგულისხმო. იმ ხუთი მიზნიდან, რაც მიმოხილვაში კონვენციის ეფექტურობის შესაფასებლად არის დასახული, ორი სწორედ მას შეეხება. კომიტეტმა გადაწყვიტა:

- „ხელი შეუწყოს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ძეგლების ადეკვატურ დაცვასა და მენეჯმენტს:
 - მიიღოს სპეციალური ზომები ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვისა და მენეჯმენტის გაძლიერების დასახმარებლად;
 - ღირსშესანიშნავი ადგილის საშიშროების და დაზიანების საპასუხოდ მიიღოს შესაბამისი ზომები.
- განახორციელოს მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების უფრო სისტემატური მონიტორინგი;
 - განსაზღვროს მონიტორინგის ელემენტები და პროცედურები;
 - ითანამშრომლოს ნევრ სახელმწიფოებთან და კომპეტენტურ ორგანოებთან რეგულარული მონიტორინგის ჩასატარებლად“.

1992 და 1993 წლებში ექსპერტთა შეხვედრებზე მონიტორინგის თაობაზე, ყურადღება გამახვილდა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე:

- 1992 წლის „მიმოხილვის“ მერე მონიტორინგი მიჩნეულ იქნა „თანამშრომლობის სისტემატურ პროცესად“, რომელიც შეიცავდა ახლო თანამშრომლობას ნევრ სახელმწიფოს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და საკონსულტაციო ერთეულებს შორის;
- მართალია, ვინაიდან არ ნელდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება მონიტორინგის მიზნების გამო (მაგ., ლაპარაკობდნენ პოზიციურობაზე, გარედან გაკონტროლებაზე, ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვაზე), აქცენტი გაკეთდა ანგარიშებზე, რომლებიც უკეთ აღწერს ამა თუ იმ ობიექტის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მცდელობას. გა-

კეთდა განსხვავება რეაქტიულ მონიტორინგსა (სწრაფი გამოხმაურება შექმნილ საშიშროებაზე) და სისტემატურ მონიტორინგს შორის (ღირსშესანიშნავი ადგილის მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება).

- დისკუსიის დროს ყურადღება გამახვილდა საბაზო მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რომლის მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნას ობიექტზე მომხდარი – სასიკეთო თუ საზიანო – ცვლილებები. ეს მოსაზრება სასარგებლოა აგრეთვე „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ მოდელის გამოყენებისას, შემოთავაზებული ცვლილებების ობიექტზე გავლენის შესაფასებლად, ის ასევე ფასეულია პოტენციური კატასტროფებით გამონვეული რისკის შეფასების ჩარჩოში მუშაობის მცდელობისას. იგი აგრეთვე გვიბიძგებს, უფრო მეტი ვილონოთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვასა და დოკუმენტაციისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ცვლილებების შესახებ პერმანენტული და სარწმუნო ინფორმაცია.

კონვენციის მეხუთე მუხლი, რომელიც ადრე ეროვნულ დონეზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მცდელობის გაძლიერების მოწოდებად მოვიყვანეთ, ყურადღებას ამახვილებს ასევე რისკისა და საშიშროებათა წინასწარ უკეთესად განსაზღვრასა და მათთან დაპირისპირებაზე, ამისათვის საჭიროა:

განვითარდეს სამეცნიერო და ტექნიკური კვლევა და ძიება, რათა იქნას გამომუშავებული მოქმედების ისეთი მეთოდები, რომლებიც სახელმწიფოს მისცემს საშუალებას, წინ აღუდგეს საფრთხეს, რომელიც მის კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას ემუქრება.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ყოველწლიურ შეხვედრებზე გამართული მსჯელობა ყოველ ჯერზე ემსახურება კულტურული მემკვიდრეობისთვის მუდმივად არსებული და მზარდი ხიფათების გაცნობიერებას, რათა მოხდეს ყურადღების გამახვილება ძლიერი და კარგად კოორდინირებული კონტრქმედებების საჭიროებაზე. ამ სახელმძღვანელოს გამოსაცემად კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერა აგრეთვე ნათლად აჩვენებს მის მონდომებას გაუმჯობესდეს კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესაფერისი ღონისძიებები.

1.3 სახელმძღვანელოს შემუშავების შესახებ

რისკისთვის მზადყოფნის სახელმძღვანელო ჩაფიქრებულ იქნა როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება კულტურული მემკვიდრეობის მენეჯერებს და სპეციალისტებს უკეთ მოემზადონ ბუნებრივი თუ ადამიანისმიერი კატასტროფებისთვის, გაუმკლავდნენ მათ და გამოასწორონ მათი შედეგები. ეს მხოლოდ ნაწილია იმ ინიციატივებისა, რომლებიც შემუშავდა კულტურული მემკვიდრეობის დარგში რისკისათვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად შექმნილ საუნწყებათაშორისო კომისიის წევრების მიერ 1992 წლის ოქტომბერში, პარიზში, ICOMOS-ის მიერ გამართული შეხვედრის შემდეგ.

ეს შეხვედრები გაიმართა საპასუხოდ იმ გულაცრუებისა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით განიცადეს კონსერვაციის სპეციალისტებმა, რაც გამოიხატა 1980-იან და 1990-იან წლებში კულტურული მემკვიდრეობის შესამჩნევი დანაკარგებით, რაც სპარსეთის ყურეში და ყოფილ იუგოსლავიაში ომიანობამ, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასა და აზიაში ქარიშხლებმა, მიწისძვრებმა და ზვავებმა გამოიწვია. თუმცა კი, ამგვარი მოვლენებიცა და ადამიანთა სიცოცხლისა თუ კულტურული მემკვიდრეობისათვის მათ მიერ მოტანილი ზიანი ახალი სულაც არ ყოფილა, ისინი ამჯერად იმდენად თვალსაჩინო აღმოჩნდა, რომ მრავალ კონსერვატორს ძლიერი გრძნობები აღედრა. ბევრი მათგანი წერილობით მიმართავდა ICOMOS, ICOM და UNESCO-ს კითხვით: „რა შეგვიძლია გავაკეთოთ?“

პირველი მსჯელობისას, რომელიც გაიმართა საუნწყებათაშორისო კომისიის მიერ, განისაზღვრა ამ სფეროში სამუშაო ქმედებათა უკეთესი ანალიზისა და განსაზღვრისათვის საჭირო ჩარჩო. იქნა განსაზღვრული პოტენციური აქტივობის ხუთი სფერო:

- დაფინანსება;
- გადაუდებელი გამომხაურება;
- დოკუმენტაცია;
- წვრთნა და სახელმძღვანელოები;
- გაცნობიერება.

ყოველ მათგანში პოტენციური აქტივობა განიხილებოდა სამ ეტაპად:

კატასტროფამდე (მზადყოფნა),
კატასტროფის დროს (გამოხმაურება) და
შემდეგ (აღდგენა).

გარდა ამ ძირითადი ჩარჩოსა, საუწყებათაშორისო კომისიამ ყურადღება მომუშავე მრავალ სააგენტოსა და ჯგუფებს შორის კულტურული მემკვიდრეობის და რისკის მენეჯმენტის სფეროში თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესებაზეც გაამახვილა. წინამდებარე სახელმძღვანელო დამუშავებულია „წვრთნა და სახელმძღვანელოების“ პუნქტის ფარგლებში, რათა პრაქტიკულად დაწყებულიყო რისკის ქვეშ მყოფი ობიექტების მენეჯერების სწავლება, წვრთნა და მათი უნარ-ჩვევების ამაღლება შესაძლო კატასტროფებთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო მუშავდებოდა საუწყებათაშორისო კომისიის სამუშაო სესიებზე მსჯელობისას, კერძოდ, მრგვალ მაგიდასთან შეხვედრაზე პარიზში, 1996 წლის 3 აპრილს, რომელიც დაეთმო ამ თემას. დაახლოებით 40-მა წარმომადგენელმა 15-ზე მეტი სააგენტოდან მიიღო მონაწილეობა დაძაბულ გონებრივ მუშაობაში ამ სახელმძღვანელოს მდგრადი ფილოსოფიური ორიენტაციის და ფორმატის განსასაზღვრად. ამ და შემდგომმა შეხვედრებმაც კვებეკში დაადასტურა, რომ სახელმძღვანელოსთვის შემდგომი მიზნებია მნიშვნელოვანი:

- სახელმძღვანელო უნდა ითვალისწინებდეს ყველა სახის კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც განსაზღვრულია მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით: ძეგლები, შენობათა ჯგუფები (ან ანსამბლები), ღირსშესანიშნავი ადგილები, ამასთან, ობიექტები, რომელიც მოიპოვება ან ნაწილია ისტორიული ნაგებობების (მაგ., მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობა უნდა განხილულ იქნას როგორც ერთი განუყოფელი მთლიანი);
- სახელმძღვანელოს უპირველესი მიზანია დაეხმაროს ძეგლთა მენეჯერებს, რომ მათ განავითარონ რისკისთვის მზადყოფნის თავისი საკუთარი მეთოდი და პრინციპი, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოებებს;
- საუწყებათაშორისო კომისიის შეხვედრებზე, ასევე კანადასა და იაპონიაში საერთაშორისო შეხვედრებზე აქ-

ცენტი სწირედ საფრთხისთვის მზადყოფნის არსებულ ინფრასტრუქტურაში კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის ინტეგრაციაზე დაისმოდა. ამიტომაც ჩვენი სახელმძღვანელო მენეჯერებს იმდენად რისკისგან დაცვის ცალკე მიდგომის გამომუშავებას კი არ სთავაზობს, რამდენადაც გამოკვეთს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზომების ინტეგრაციის მნიშვნელობას არსებული საგანგებო რეაგირების დაგეგმარების მექანიზმებთან;

- სახელმძღვანელოში ყურადღება უნინარესად მიმართულია მემკვიდრეობის ყოველმხრივი დაცვის და საფრთხის შემსუბუქების სტრატეგიის განვითარებაზე. ამ სტრატეგიამ უნდა გააერთიანოს საჭირო ადმინისტრაციული, საექსპლუატაციო და ტექნიკური ღონისძიებები და შემუშავებულ და სისრულეში მოყვანილ უნდა იქნას ძეგლისა თუ ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერების მიერ მუნიციპალიტეტის იმ ოფიციალურ პირებთან შეთანხმებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უსაფრთხოებასა და დაცვაზე. ასეთი სტრატეგიული ანალიზი უნდა მოხდეს იმ ზომებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც მთავრობამ ან მისმა წარმომადგენლებმა შეიძლება განახორციელონ ამ სფეროში მეტი ეფექტურობის და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად. სტრატეგია უნდა ახდენდეს ყველა შესაძლო სამოქმედო სფეროს ინტეგრაციას, რომელთა მეოხებითაც შეიძლება გააუმჯობესო რისკის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის დაცვის პირობები და არა მხოლოდ იმ ზომებისა, რომლებიც მარტოოდენ რეაგირების გამოსწორებაზეა მიმართული;
- სახელმძღვანელოში ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე ზომებს ეროვნულ დონეზე კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესებას, თავის მხრივ, პირობებს თვით ღირსშესანიშნავი ადგილის დონეზე;
- სახელმძღვანელო ორიენტირებული იქნება ყველაზე გავრცელებული კატასტროფების პრევენციისა და შერბილების ზომებზე (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და შეიარაღებული კონფლიქტი) და არა სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის (ძეგლები, ლანდშაფტები, ისტორიული რაიონები) სპეციფიკურ საჭირო-

ებებზე. სახელმძღვანელოში ყველაზე მეტად გავრცელებული კატასტროფები ერთმანეთის მიყოლებით იქნება განხილული. კატასტროფათათვის მზადყოფნის პრინციპები შემუშავებული კონკრეტული ღირსშესანიშნავი ადგილისთვის მოითხოვს სტრატეგიების ინტეგრაციას თითოეულ კატასტროფასთან მიმართებაში, რომელიც მნიშვნელოვანია ღირსშესანიშნავი ადგილისთვის; ინტეგრაციის დონე და ტიპი დამოკიდებული იქნება კატასტროფის ხასიათზე და ამა თუ იმ ვითარების ბუნებაზე;

- სახელმძღვანელოში მოყვანილი რეკომენდაციები და წინადადებები, პირველყოვლისა, მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტებისა და ნაგებობების მენეჯმენტისთვისაა გამიზნული; თუ ეს საჭირო იქნება, მას უნდა დაემატოს რეკომენდაციები ისტორიული რაიონებისთვის, კულტურული ლანდშაფტებისა და რამდენიმე მფლობელის ხელში მყოფი სხვა ერთეულებისთვის. მიუხედავად ამისა, მენეჯერები უმრავლესად, ალბათ, მოახერხებენ ექსტრაპოლირება მოახდინონ ცალკეული ნაგებობისა თუ ობიექტისთვის განკუთვნილი, ნაცადი მოდელიდან, რათა მიხედონ თავის, უფრო რთული შედგენილობის ობიექტებს;
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო განკუთვნილია ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯერებისათვის, თანაც შესაბამისი კულტურული მემკვიდრეობისა და მისი კონტექსტის უდიდესი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, იგი გამოსადეგია აგრეთვე მრავალი ტიპის ადმინისტრატორებისათვის, პოლიტიკური პირებისათვის, კულტურული მემკვიდრეობის დარგში მოღვაწე მოხელეებისთვის და კონსულტანტ-სპეციალისტებისთვის, რომელთა გადანყვეტილებები ერთიანობაში ზემოქმედებას ახდენს ძეგლის კეთილდღეობაზე;
- მიუხედავად იმისა, რომ უშუალო საფიქრალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ღირსშესანიშნავი ძეგლები იყო, სახელმძღვანელოს რჩევები და რეკომენდაციები წაადგება კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მქონე სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებსაც. სახელმძღვანელო უშუალოდ არც ეხება ბუნებრივი

მემკვიდრეობის ღირებულების მქონე ღირსშესანიშნავ ადგილებს;

- სახელმძღვანელო თანაბრად აგრეთვე უნდა ეხებოდეს ბუნებრივსა და ადამიანის მიერ კატასტროფებს; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან ფსიქოლოგიური გავლენის ტიპით, ფიზიკური შედეგით ისინი ხშირად გვანან ერთმანეთს და ორივესთვის სარგოა მზადყოფნის და აღდგენის ერთიანად დაგეგმარება.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ სფეროებში სათანადო რეკომენდაციების მიგნებასა და თავმოყრას, იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც მოგროვდა უწყებათაშორისო კომისიის კვლევებსა და შეხვედრებზე კვებეკში (კანადა), კობეში (იაპონია), სოფიაში (ბულგარეთი) და ვაშინგტონში (აშშ). სახელმძღვანელო ემყარება აგრეთვე ბევრ უკვე გამოცემულ დოკუმენტს კატასტროფებისათვის მზადყოფნის ზოგადი პრინციპების შესახებ; კერძოდ, შემონმებულ კითხვარებს, რომლებიც შემუშავებულია ICOMOS-ის მიერ გამოცემულ წიგნში „ბლუ შილდის ეროვნული კომიტეტის ძირითადი პრინციპები, ძეგლზე და ღირსშესანიშნავ ადგილებზე მზადყოფნის სამოქმედო გეგმა“ (რედ. ნატალი მარტინი 1995).

მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ სახელმძღვანელო არ არის გამიზნული ტექნიკური რიგის პასუხი გასცეს ამა თუ ტექნიკურსვე იმ პრობლემას და კითხვას: ის უფრო გამიზნულია დაეხმაროს მკითხველს გამოიყენოს ერთგვარი დაგეგმვის ჩარჩო მიდგომა შესაბამისი სტრატეგიებისა და გეგმების შესამუშავებლად კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების სფეროში. შეიძლება ისე ჩანდეს, რომ შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრისადმი „შენ თვითონ გააკეთეს“ მიდგომის ერთი ნაირსახეობა; ჩარჩოს ელემენტები, პრინციპები, საკითხების და საზრუნავთა ჩამონათვალი შეიძლება გავიგოთ, როგორც სასარგებლო კითხვარების წყების შეთავაზება მენეჯერებისთვის, რომლებიც ცდილობენ უკეთ იზრუნონ – რისკისადმი მზადყოფნის კონტექსტში - მათდამი მიბარებული ობიექტების, როგორც მემკვიდრეობის მახასიათებელ თვისებებზე. აქ მოყვანილი ყველა რჩევა ყოველთვის კონკრეტულ, შესაბამის კონტექსტში უნდა იყოს განხილული და გააზრებული. შესაბამისად, არ უნდა ავყვეთ ცდუნებას რომ სახელმძღვანელოში მოცემული

რეკომენდაციები პირდაპირ, პრობლემის გადაჭრის ფორმულებად მოვიმარჯვოთ. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს მენეჯერებს, კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მქონე ობიექტების რისკისათვის მზადყოფნის გაუმჯობესების ზომების შეფასებისას მათი პროფესიული მსჯელობა უფრო ჩამოყალიბებული და დახვეწილი იყოს.

1.4 სახელმძღვანელოს მოხმარებელთათვის

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო შექმნილ იქნა კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების მართვაზე პასუხისმგებელ პირთათვის, იგი აგრეთვე გამოადგება ყველა იმ პირს, ვინც სხვა კონტექსტში მუშაობს, თუმცა ვისმა ქმედებამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ობიექტის მდგომარეობაზე. იმედია, სახელმძღვანელო დაეხმარება ამ პირებს რისკისთვის მზადყოფნის საკითხები უკეთ გაიგონ, შესაბამისად, უკეთ შესძლონ დახმარება აღმოუჩინონ ამა თუ იმ ობიექტს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში შესატყვისი ქმედებებით.

მაშასადამე, სახელმძღვანელო შექმნილ იქნა კონსერვაციის სპეციალისტებისთვის, რათა მათთვის უკეთესი გასაგები გამხდარიყო რისკისთვის მზადყოფნის ძირითადი იდეები, რათა სპეციალისტებმა შესძლონ წარმოადგინონ ის იდეები და კონცეფციები, რაც საფუძვლად უდევს კონსერვაციის სფეროს; ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთათვის და ადმინისტრატორებისათვის ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე უკეთ მოახდინონ კულტურული მემკვიდრეობისთვის ზრუნვა რისკისთვის მზადყოფნის მიმდინარე დაგეგმვაში.

ამიტომაც, სახელმძღვანელოს ყველა ნაწილი ვერ იქნება ყველა მკითხველისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი და ღირებული. არც არის საჭირო სახელმძღვანელოს თავების ერთი მეორის შემდეგ წაკითხვა, მათი შინაარსის ეფექტურად გამოყენებისათვის.

ქვევით გთავაზობთ მოკლე აღწერას წიგნის ცალკეული თავების მიზანდასახულობისა, რათა მკითხველმა შეძლოს მისთვის უშუალოდ საჭირო ინფორმაციას მაშინვე მიაგნოს და გამოიყენოს იგი თავისი კონკრეტული მიზნებისათვის.

თავი 2, ზოგადი მიმოხილვა. გამოყოფილია რამდენიმე

იმ მრავალ დაბრკოლებათაგან, რომლებსაც ვაწყდებით კონსერვაციისა და რისკისთვის მზადყოფნის სფეროებში და გვთავაზობს მათი გადანყვეტის გზებს.

თავი 3, უფრო საგულისხმო უნდა იყოს თავად მენეჯერებისათვის და მოიცავს ათ პრინციპს, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული რისკისათვის მზადყოფნის სტრატეგიების და გეგმების დასახვასა და გაუმჯობესებაში კულტურული მემკვიდრეობის სასიკეთოდ.

თავი 4, მიზნად ისახავს დაეხმაროს მემკვიდრეობის ობიექტის მენეჯერებს დაიწყონ რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის მართვის ანალიზის და დაგეგმვის გაუმჯობესება. ეს თავი გვანვდის ზოგად განსაზღვრებას რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ეფექტური დაგეგმვის პროცესებზე და განსაზღვრავს დაგეგმარების მიმართულებებს, რომელიც გამოსადეგია სახელმძღვანელოში განხილული მემკვიდრეობის სხვადასხვა სახეობისთვის.

თავი 5-10 წარმოადგენს სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილს. ის, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია მემკვიდრეობის ობიექტის მენეჯერთათვის. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი სხვადასხვა ხიფათის შესახებ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა და მათ შესაბამისად გასათვალისწინებელია რისკისათვის მზადყოფნის გეგმების დამუშავებისას. თავი 10 გვთავაზობს ხერხებს, თუ როგორ ჩამოვაცალიბოთ კონკრეტული ობიექტებისთვის ძირითადი პრინციპები, დამყარებული მემკვიდრეობის ღირებულებებზე და ყველაზე გავრცელებულ სხვადასხვა საშიშროებაზე.

თავი 11, ყველაზე მეტად ადმინისტრატორებისთვისაა გამოსაყენებელი. ადმინისტრატორები აქ განიხილებიან როგორც ჯგუფი, რომელიც ადგენს პოლიტიკას და განსაზღვრავს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ პარამეტრებს, რომლის ფარგლებში მენეჯერებმა უნდა იმუშაონ თავისი მიზნების მისაღწევად. ეს განაკვეთი ამახვილებს ყურადღებას სხვადასხვა საშუალებებზე, რომელთა მეშვეობით შეიძლება გაუმჯობესებული იქნას როგორც პოლიტიკა, ასევე მის განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკა.

დანართი 1-5 მოცემულია მთლიანი ტექსტები იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ნახსენებია წიგნში. მოყვანილია რიგი მაგალითებისა, რომელიც ეხება სხვადასხვა პირობებში მყოფ სხვადასხვა ტიპის კულტურულ მემკვიდრეობას.

თავი 2

რისკისთვის მზადყოფნის მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობისთვის

2.1. მიდგომისშიკარი ღაბაკოლეაბი: არბუმენაბი ღა კონაბრ-არბუმენაბი

ბოლოდროინდელი ნამონყებანი საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად, პასუხია 1990-იან წლებში იმ სპეციალისტების მიერ გამომჟღავნებულ შეშფოთებაზე, რომლებიც ეძებენ პროფესიული ჩარევის უკეთეს გზებს. ეს ნამონყებები განამტკიცებს მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენის არსებულ ჩარჩოს და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის დონეზე ამკვიდრებს პრაქტიკული თანადგომის მთელ რიგ სასარგებლო მექანიზმებს.

ამავე დროს, ამ ქმედებებმა ხელი შეუწყეს რამდენიმე საკვანძო დაბრკოლების გამოვლენას, რაც წინ ელობება სასურველი გამუმჯობესების მიღწევას. ბევრი ამ წინალობათაგანი თავისი ბუნებით მიდგომისმიერია და მათი სათავე მემკვიდრეობით – ნაკლები ოდენობით კატასტროფებისთვის მზადყოფნით – დასაქმებული პროფესიონალების ჩვეული განწყობილებებია. თვალსაჩინოა „პასიური“ წინააღმდეგობა კონსერვატორების ერთობაში, რომელიც ყოველთვის გამოეხმაურებოდა ხოლმე საგანგებო ვითარებას, მაგრამ ნაკლებად არის დაინტერესებული მზადყოფნის დაგეგმვით, ვიდრე ამ სფეროსთვის ცენტრალურად მიჩნეული თემების მიმართ (ავთენტურობა, თანამედროვე შენობების კონსერვაცია, კულტურული ლანდშაფტების კონსერვაცია). 1996-99 წლებში ICOMOS სამწლიანი პერიოდის წინამძღოლი თემა – მემკვიდრეობის გონივრული მოხმარება – გვთავაზობს არაჩვეულებრივ ჩარჩოს რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ყურადღების უფრო მეტად გასამახვილებლად.

საჭიროა თვალი გულდასმით გადავავლოთ ყველა მიდგომის-
მიერ დაბრკოლებებს რათა მოხდეს შესაძლო სადავო არგუმენტე-
ბის გამოვლენა და მათი განმაპირობებელი განწყობილებისადმი
შენინააღმდეგება. ისინი ქვევით ექვს კონცეფტუალურ თემად
განიხილება.

**1. სურვილის არარსებობა სერიოზული ყურადღება მიექცეს
კულტურული მემკვიდრეობის დანაკარგებს იმ კატასტრო-
ფების დროს, რომელთაც ადამიანებიც შეინირეს.**

არგუმენტი:

კულტურული მემკვიდრეობის
სპეციალისტები, რომლებსაც
ხშირადინვევენ კონსერვაციის
განსახორციელებლად კა-
ტასტროფების შემდგომ,
მოულოდნელად აწყდებიან
მოსახლეობისგულისწყრომას,
რომელთაც აეჭვებთ, რომ
განსაკუთრებული ყურადღე-
ბა მატერიალური საგნებისა
თუ ელემენტების მიმართ
მისაღები იყოს, მაშინ რო-
დესაც ისინი განიცდიან უზო-
მო მწუხარებას ადამიანთა
მოულოდნელი და ტრაგიკული
აღსასრული გამო.

კონტრ-არგუმენტი:

ეჭვგარეშეა, რომ ისინი, ვისაც
თავს დაატყდა ადამიანების
ტრაგიკული დაღუპვა, იმსახუ-
რებენ მხარდაჭერას და პა-
ტივისციემას; ამასთან კი, უნ-
და გვესმოდეს, რომ დაზარ-
ალებული პირებისა და ადგი-
ლობრივი საზოგადოებების უნა-
რიალადგინონ ნონასწორობათა-
ვიანთ ცხოვრებაში, დიდწილად
არისდამოკიდებული მემკვიდრე-
ობის იმ ელემენტებისა და
სიმბოლოების აღორძინება-გა-
ძლიერების მცდელობაზე, რო-
მელნიც ტრადიციულად საზ-
რისს, წესრიგს და უწყვეტობას
ანიჭებდა ცხოვრებას. არაფ-
რისმომტანია ისეთი საუბა-
რი, რომელიც ვითომდა გუ-
ლისხმობს არჩევანს ადამიანის
სიცოცხლესა და კაცობრიობის
მემკვიდრეობას შორის.

2. უძრავი ძეგლების პროფესიონალებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩვევების გაძლიერების აუცილებლობა.

არგუმენტი:

კონსერვაციის სპეციალისტები მიდრეკილნი არიან თავის მოფარგლულ ასპარეზზე იმუშაონ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედებების წარმატება ბევრად შეიძლება იყოს დაკავშირებული სხვა სფეროებთან თანამშრომლობაზეც. მათი არგუმენტაცია ამოსავალი პროფესიული „სინმინდის“ შენარჩუნებაა, მცდარი რწმენა, რომ თუ გულს დაუდებენ, ვთქვათ, ისეთ ეკონომიკას, ტურიზმს ან კატასტროფებზე რეაგირებას, ეს როგორღაც განაქარვებს და შელახავს კულტურულ მემკვიდრეობას რომელსაც ისინი თავისად თვლიან.

კონტრ-არგუმენტი:

მხოლოდ და მხოლოდ ცალკე აღებული კონსერვაცია ხელისშემშლელია იმათთვის, ვინც მემკვიდრეობის ასპარეზზე სხვა დარგებთან თანამშრომლობას არ ცდილობს. თუ მემკვიდრეობის ქომაგები განცალკევდებიან და მხოლოდ თავის მიზნებსა და საკეთებელს მიხედავენ, ისინი შეიძლება უმთავრესი გადანწყვტილებების მიღებისას განზე აღმოჩნდნენ და საკუთარი სამუშაოს მხარდაჭერაც მოაკლდეთ. მემკვიდრეობის პროფესიონალებს მოეხსენებათ, რომ 20 წლის წინ ამ დარგში შემოღებულმა „ინტეგრირებულმა კონსერვაციამ“ თავისი არსით სრულიად მოიცვა და შეითავსა მემკვიდრეობის ობიექტის მიმართ არსებული ყოველნაირი კანონიერი ინტერესი და მხოლოდ ამ გზით შეიძლება გახდეს კონსერვაციის მიზნები და ამოცანები რეალურად შესრულებადი. ეფექტური კონსერვაცია მოითხოვს მრავალმხრივ თანამშრომლობას სხვა მომიჯნავე დარგებთან; მარტოდენ რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე მუშაობაც მოითხოვს ღია და მრავალდარგობრივ თანამშრომლობას სასწრაფო რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

3. უძრავი ძეგლების კონსერვაციის პროფესიონალთა საქმიანობაში შესაძლო რისკებზე მზაობის გაზრდა.

არგუმენტი:

კონსერვაციის ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ კატასტროფებისათვის მზადყოფნა, რომელიც თავისთავად ყურადღების ღირსია, არსობრივად ყურადღების ღირსია მხოლოდ მცირერიცხოვან გამონაკლის შემთხვევებში.

კონტრ-არგუმენტი:

ეს შეხედულება მცდარია. ერთი რომელიმე მოვლენის შედეგები შეიძლება აღმოჩნდეს ფატალურად კატასტროფული როგორც მემკვიდრეობის ობიექტისთვის, ასევე მოსახლეობისთვისაც; შესაბამისად, ადეკვატური მზადყოფნა ამ ერთი, ცალკეული მოვლენისთვის ყოველდღიურ სიფხიზლეს მოითხოვს.

4. უძრავი ძეგლების სპეციალისტებს სჭირდებათ განამტკიცონ კავშირი მოძრავი ძეგლების კოლექციების, მუზეუმებისა და არქეოლოგიური ტერიტორიების კონსერვაციის სპეციალისტებთან.

არგუმენტი:

ისტორიულად უძრავი ძეგლის კონსერვაციის სპეციალისტები დიდად არ ინტერესდებოდნენ მოძრავი ძეგლების ან არქეოლოგიური ნივთების კონსერვაციის პროფესიონალთა მიდგომების შესწავლით (განსხვავებით ტექნიკური სფეროსგან, მაგ., მასალათა კონსერვაცია). ეს შეხედულება თითქოსდა ემყარება იმის განცდას, რომ უძრავი ძეგლის პროფესიონალები მუშაობენ სრულიად განსხვავებულ სამყაროში – უფრო რთულ ყოველდღიურ გარემოში, რომელიც დაკავშირებულია უფრო გამოყენების და უკუგების საკითხებთან, ვიდრე ფიზიკური კონსერვაციის პრობლემებთან.

კონტრ-არგუმენტი:

უკვე ორმოც წელზე მეტია, რაც ნივთების, კოლექციების და არქეოლოგიური ტერიტორიების კონსერვაცია, არქიტექტურული მემკვიდრეობის სფეროს საზღვრებს მიღმა, კატასტროფებისთვის მზადყოფნის საკითხებში დანინაურდა და შეიძინა მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება; მეტიც, პრევენციული მიდგომა ნივთების კონსერვატორებისა შეიძლება მრავლისმომცემი გამოდგეს კულტურული მემკვიდრეობის პროფესიონალთათვის, რომელთაც სწავლიათ მუშაობაში უფრო ერთიანი მიდგომა დანერგონ.

5. უძრავი ძეგლების კონსერვაციის პროფესიონალთათვის პრევენციული მიდგომების ღირებულებისადმი ინტერესის გაძლიერების საჭიროება.

არგუმენტი:

უძრავი ძეგლების პროფესიონალთა უმრავლესობა ინტერვენციული ზომების დაგეგმვას უფროა შეჩვეული ვიდრე პრევენციული ღონისძიებებისა. ინტერვენციული ზომები თვალთ დასანახი და მკვეთრია და დრამატულია, და იძლევა სხვადასხვა კონსერვაციული ფილოსოფიების თვალნათლივ გამოკვლევის საშუალებას. მიდგომები, რომელიც ფოკუსირებულია ობიექტის არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე, უიშვიათესად თუა პროფესიულად იმდენისვე მომტანი ან საინტერესო.

კონტრ-არგუმენტი:

პრევენციული მიდგომა ახანგრძლივებს კულტურული მემკვიდრეობის არსებობას გრძელვადიან სქემაში ნაკლები დანახარჯით; ძეგლის ავთენტურობა უფრო მაღალია, თუკი მასზე პერიოდულად ჩატარებული სარესტავრაციო - საკონსერვაციო სამუშაოების რაოდენობა მიზნობრივად დაყვანილი.

6. რისკისთვის მზადყოფნის პასუხისმგებელ პირთა შორის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესის გაძლიერების საჭიროება.

არგუმენტი:

რისკისთვის მზადყოფნის სპეციალისტები (მეხანძრეები, და ა.შ.) ზოგჯერ არც თუ დიდ ინტერესს გამოხატავენ კულტურული მემკვიდრეობის მათ სამუშაოში ჩართვის მიმართ; ეს გამონეულია უფრო მემკვიდრეობის სფეროს ან მისი საჭიროებების არცოდნით ან რწმენით, რომ ამ დარგის პროფესიონალებს არ აინტერესებთ შინაარსიანი დიალოგი.

კონტრ-არგუმენტი:

რისკისათვის მზადყოფნის სპეციალისტებმა გამოიჩინეს მზადყოფნა მოახდინონ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის ინტეგრაცია იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობით დასაქმებულნი მზად იქნებიან მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბონ მოთხოვნები და მიზნები და თუკი ისინი შეძლებენ გამოავლინონ მზაობა გახდნენ უფრო მოქნილნი თავიანთი მიზნების მისაღწევად.

2.2 რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩო

კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესება ბევრ სარგებელს მოგვიტანს. მნიშვნელოვანია, რომ ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯერებმა ეს სარგებლობა არგუმენტად მოიშველიონ რათა შედეგად გაიზარდოს მათი უნარი გააუმჯობესონ მათდამი მინდობილი მემკვიდრეობის ობიექტზე ზრუნვა.

- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, მათი კოლექციებისა და შემადგენელი ნაწილების სიცოცხლის გახანგრძლივებას შეუძლია ამ ობიექტებს რეალური სარგებელი მოუტანოს.
- რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩოს მიღებით ხდება კონსერვაციის ყურადღების რეფოკუსირება მკურნალობითიდან პრევენციულზე, მოკლევადიანიდან გრძელვადიანზე და, ამავე დროს, სთავაზობს მემკვიდრეობის ობიექტთა მეპატრონეებს გრძელვადიან პერიოდში სახსრების დაზოგვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას.
- კულტურული მემკვიდრეობის რისკის ქვეშ ყოფნაზე დამყარებული მიდგომა თავთავიანთ სარგებელს ამა თუ იმ ჯგუფებსაც სთავაზობს. ამგვარად:
 - მემკვიდრეობის პროფესიონალთათვის კატასტროფებისათვის მზადყოფნა საგანგებო შემთხვევისთვის გამზადებული რაღაც სცენარი კი არ არის, არამედ უკიდურესობა, რომლის მოპირდაპირედ საზრუნავთა უწყვეტი ჯაჭვია; კულტურული მემკვიდრეობის მოძრაობისთვის მუდმივი ზრუნვის ჩარჩოს მოაქვს ყველა კულტურული ობიექტის მართვაზე ერთიანი ფოკუსირება და არა მხოლოდ ელიტარულად მიჩნეული ღირებულებების დაცვა;
 - უძრავი ძეგლების სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა მჭიდროდ ითანამშრომლონ მოძრავ ნივთთა და არქეოლოგიური კონსერვაციის სპეციალისტებთან, საერთო მიდგომების შესამუშავებლად;
 - რისკისთვის მზადყოფნის სპეციალისტებისათვის, მუდმივი ზრუნვის ჩარჩო ნათელყოფს, რომ მემკვიდრეობით

დასაქმებულებსაც, ყველა სხვათა მსგავსად, საფიქრალად აქვთ სიცოცხლის განგრძობა, უსაფრთხოება და მრავალი გზა, რომლითაც მემკვიდრეობაშიც სწორედ სიცოცხლე გამოიხატება.

კულტურული მემკვიდრეობა ყოველთვის რისკის ქვეშაა. საფრთხეს უქმნის მას ნგრევა-დატაცება, საფრთხეს უქმნის მას ბუნების გაუთვალისწინებადი მიქცევ-მოქცევა. საფრთხეს უქმნის პოლიტიკური და ეკონომიკური ზენოლა. საფრთხეს უქმნის კვდომის, ცვეთისა და უპატრონობის ყოველდღიური მოქმედება. საფრთხეს უქმნის მას თვით ზედმეტად მონდომებული კონსერვატორის ხელიც კი!

თუ კულტურული მემკვიდრეობით დასაქმებულნი იწყებენ დიალოგს, რომელიც ამ წინაპირობას ემყარება, მაშინ მათ შესწევთ უნარი ურთიერთობა დაამყარონ არა მარტო კატასტროფებისთვის მზადყოფნის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებთან, არამედ რიგით ადამიანებთან, რომლებიც ასევე აუცილებლად ფხიზლად უნდა იყვნენ და ვისაც, უბედურების პირისპირ მხნეობა უნდა შეემატოთ. მაშინ ჩვენ მოვახერხებთ კატასტროფებთან და მის შედეგებთან გამკლავებას ადამიანების სიცოცხლის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობასთან შეპირისპირების გარეშე. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ადამიანთა სიცოცხლე და კულტურული მემკვიდრეობა ურთიერთკავშირშია და ერთი განუყოფელი მთელის ნაწილები და ერთის გადასარჩენად განუელი ძალისხმევა ძალას მატებს მეორეს.

თავი 3

კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის პრინციპები

3.1 შესავალი

კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე შესაფერისი ჩარევები განიონ. კონსერვაციის პროფესიონალები ამ პრინციპებად დოქტრინული ტექსტების წყებას აღიარებენ, რომელნიც ასე თუ ისე ვენეციის ქარტიასთან (1964) არიან დაკავშირებული. ამ უკანასკნელის მცველად კი ყველას მიერ ICOMOS-ია მიჩნეული. ICOMOS-მა იკისრა პასუხისმგებლობა რათა, უზინარესად, საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების მცდელობით, ვენეციის ქარტიაში წარმოდენილ ძირითად პრინციპებს ცალკეული მონათესავე დარგებისთვის შემუშავებული ტექსტები შემატოს.

ICOMOS-მა შეიმუშავა ქარტიები და სახელმძღვანელო ძირითადი პრინციპები კულტურული ტურიზმის, წყლისქვეშა არქეოლოგიის, ისტორიული ქალაქების, არქეოლოგიური მემკვიდრეობის მენეჯმენტის, ისტორიული ბაღების, აღნუსხვისა და დოკუმენტაციის, წვრთნისა და განათლების, ავთენტურობის სფეროებში. ვენეციის ქარტიის შემდეგ ეს არის პირველი მცდელობა უნივერსალური პრინციპების წყების შემუშავებისა. ეს პრინციპები მოცემულია ნარას ავთენტურობის დოკუმენტში, რომელიც მიღებულ იქნა 1994 წლის ნოემბერში; იგი ფოკუსირებული იყო მოხდინა ავთენტურობის ინტერპრეტაცია სპეციფიური კულტურული მემკვიდრეობის (მაგ., ტიპოლოგიის) კონტექსტში. ამჟამად მუშავდება ხალხური არქიტექტურის კონსტრუქციული სისტემებისა და ტყის კონსერვაციის დოქტრინული ტექსტები.

თუმცა კობე – ტოკიოს დეკლარაცია მოგვიწოდებს რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის პრინციპები შევიმუშაოთ, ეს ჯერაც არ გაკეთებულა. მართალია ICOMOS-ის არსებული დოქტრინული ტექსტები გარკვეულწილად უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის საყურადღებო საკითხების გაძლოლას, თუმცა რისკისათვის მზადყოფნას პირდაპირ სულ რამდენიმე მუხლი ეთმობა,

აქ ვნახავთ მინიშნებებს მონათესავე საკითხებზე – მაგ., მოვლის მნიშვნელობისა თუ აღნუსხვის ღირებულებებზე, როგორც ერთგვარი „დაზღვევისა“ (იგულისხმება ღირებული ინფორმაციის შენარჩუნება მემკვიდრეობის – ფრიად არასასურველი – განადგურების შემთხვევაში); ორივე წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩოსი.

რისკისთვის მზაობის გაუმჯობესებისათვის მიღებული პრინციპები მოიცავს ასევე იმ მნიშვნელოვან საკითხებს რომლებიც ნამოიჭრა „ბლუ შილდის“ მიერ ორგანიზებულ დებატებზე:

- რადგან უკანასკნელი საერთაშორისო დეკლარაციები მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის გაუმჯობესებული მზადყოფნის ინტეგრაციას კატასტროფებისთვის მზადყოფნის არსებულ ინფრასტრუქტურაში, ეს პრინციპები არსებული სრუქტურების და პრაქტიკული ქმედების კონტექსტში უნდა მოექცეს, რათა დავიცვათ სიცოცხლე და საკუთრება კატასტროფებისა თუ შეიარაღებული კონფლიქტების პირისპირ და
- როგორც ამ სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში აღინიშნა, უძრავ ძეგლზე განსახორციელებელი (ნაგები მემკვიდრეობის) კონსერვაციის პრინციპები შემუშავებულ იქნა, უპირველეს ყოვლისა, რათა სწორად ნაგვემართა ძეგლის მოვლა-პატრონობის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი. ის პრინციპები კი, რომელიც ეხება უძრავი ძეგლების რისკისთვის მზაობის გაუმჯობესებას, უნდა იქნას მომართულნი კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი მდგომარეობის გრძელვადიანი გადარჩენისთვის.

3.2 პრინციპები

ქვემოთ მოცემულია ყველაზე თვალსაჩინო პრინციპები. ეს გახლავთ სასურველი მახასიათებლების მიდგომა კონკრეტული ობიექტების მემკვიდრეობისმიერი თვისებების უკეთესი მენეჯმენტისთვის.

- ძირითადი ღერძი რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური დაცვისთვის არის წინასწარული დაგეგმვა და მომზადება.

- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კატასტროფებისგან დაცვის წინასწარული დაგეგმვა უნდა განისაზღვრებოდეს მემკვიდრეობის ობიექტისათვის მთლიანად და უნდა უზრუნველყოფდეს ინტეგრირებულ ზრუნვას მისი ნაგებობების, ნაშენის, მათი შიგთავსითა თუ ლანდშაფტის მიმართ კომპლექსურად.
- წინასწარული დაგეგმვა უნდა მოიცავდეს საკუთრივ მემკვიდრეობაზე მოსაზრებებს მთელი ობიექტის საზოგადო კატასტროფების პრევენციული სტრატეგიის ფარგლებში.
- რისკისათვის მზადყოფნის მოთხოვნები ძეგლებში ისე უნდა სრულდებოდეს, რომ მათმა ინსტალაციამ რაც შეიძლება მინიმალური ზეგავლენა მოახდინონ ძეგლის ღირებულებაზე.
- ძეგლზე კატასტროფების საწინააღმდეგო დაგეგმვის, რეაგირებისა და აღდგენის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს თავად ამ ობიექტზე, მის მნიშვნელოვან დეტალებსა და ატრიბუტებზე მანამდე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ისტორიის ზუსტი დოკუმენტაცია.
- ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის პროგრამები უნდა მოიცავდეს რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივებსაც.
- ძეგლის მაცხოვრებლები და მომხმარებლები უშუალოდ უნდა იყვნენ ჩაბმულნი სასწრაფო რეაგირების გეგმის შემუშავებაში.
- გადაუდებელი დახმარების განწვეის დროს პრიორიტეს მემკვიდრეობისმიერი მახასიათებლების დაცვა უნდა წარმოადგენდეს.
- კატასტროფის შემდეგ ყველა საშუალებით უნდა მოხდეს დაზიანებული ან/და დაკარგული ნაშენისა ან დეტალების შენარჩუნება და შეკეთება.
- კატასტროფების დაგეგმვის, რეაგირების და აღდგენის სამუშაოების ყველა ფაზაში შეძლებისდაგვარად ინტეგრირებული უნდა იყოს კონსერვაციის პრინციპები.

ძირითადი ღერძი რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ფუნქციური დაცვისთვის არის წინასწარული დაგეგმვა და მომზადება.

რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საუკეთესო საშუალება არის წინასწარულ დაგეგმვაში მემკვიდრეობის ატრიბუტების, მათთვის არსებული რისკის და შესაბამისი საპასუხო ზონების გამოფენის ადეკვატური ყურადღების უზრუნველყოფა.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კატასტროფებისგან დაცვის წინასწარული დაგეგმვა უნდა განისაზღვრებოდეს მემკვიდრეობის ობიექტისათვის მთლიანად და უნდა უზრუნველყოფდეს ინტეგრირებულ ზრუნვას მისი ნაგებობების, ნაშენის, მათი შიგთავსითა თუ ლანდშაფტის მიმართ კომპლექსურად.

- დაგეგმვისას არ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის უძრავი და მოძრავი კომპონენტების განრჩევა. უნდა არსებობდეს რეაგირების ერთიანი ინტეგრირებული გეგმა მთელი ობიექტისთვის და არა ერთი მისი ნაშენისთვის, მეორე – მასში დაცული კოლექციებისათვის და მესამე – ლანდშაფტისათვის.

წინასწარული დაგეგმვა უნდა მოიცავდეს საკუთრივ მემკვიდრეობაზე მოსაზრებებს მთელი ობიექტის საზოგადო კატასტროფების პრევენციული სტრატეგიის ფარგლებში.

- მემკვიდრეობის ობიექტის კატასტროფისგან პრევენციის სტრატეგია მთლიანად უნდა მოიცავდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, როგორც დაგეგმვის პროცესის თვალსაზრისით რომელიც მოწოდებულია სტრატეგიის განვითარებისა და განახლებისათვის, ასევე კონკრეტული რეაგირების გეგმებისათვის, რომელნიც წარმოსდგება მის შედეგად. ერთ ობიექტს უნდა ჰქონდეს ერთი სრულიად ინტეგრირებული რეაგირების გეგმა.
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მენეჯერებს უნდა შეეძლოს იმუშაონ მოსახლეობასთან, ადმინისტრატორებთან და დამგეგმარებლებთან, რათა გადაჭრან წარმომოხილი კონფლიქტები და შეიმუშაონ კონსერვაციის სტრა-

ტეგიები ადგილობრივი საჭიროებებიდან, შესაძლებლობებიდან და რესურსებიდან გამომდინარე.

რისკისათვის მზადყოფნის მოთხოვნები ძეგლებში ისე უნდა სრულდებოდეს, რომ მათმა ინსტალაციამ რაც შეიძლება მინიმალური ზეგავლენა მოახდინოს ძეგლის ღირებულებაზე.

- რისკისა და საშიშროების აცილების მოთხოვნები არ უნდა შეიზღუდოს მემკვიდრეობის თვისებების შენარჩუნებისთვის; მემკვიდრეობის სინმინდის დამცველთათვის, მაგალითად, წყლის განმრფეველი სისტემა შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ისტორიულ ნაგებობაში, მაგრამ მისმა ეფექტურმა გამოყენებამ შეიძლება გადაარჩინოს ადამიანთა სიცოცხლე, ქონება და კულტურული მემკვიდრეობა.
- მემკვიდრეობის თვალთახედვით მთავარი საფიქრალი უნდა იყოს კატასტროფისგან დაცვის ისეთი სისტემების და მექანიზმების დაგეგმარება და ინსტალაცია, რომლებიც მინიმალურ ზემოქმედებას მოახდენენ მემკვიდრეობის ღირებულებებზე, ამიტომაც, მზადყოფნის საშუალებათა დაგეგმარება რომელიც რჩება მტკიცეულ თემად მემკვიდრეობისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოითხოვდეს ყველა შესაძლო ალტერნატივის გადახედვას, რათა განისაზღვროს რომელია უმცირესი ზემოქმედების მომტანი.

ძეგლზე კატასტროფების საწინააღმდეგო დაგეგმვის, რეაგირებისა და აღდგენის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს თავად ამ ობიექტზე, მის მნიშვნელოვან დეტალებსა და ატრიბუტებზე მანამდე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ისტორიის ზუსტი დოკუმენტაცია.

- ანალიზისას მინიშნებულ უნდა იქნას კულტურული და გამოყენებითი მნიშვნელობები, ასევე ნაშენისა ან/და ელემენტების მიმართება მათი გარემოსადმი. ამ ინფორმაციით მოხდება პრიორიტეტების ჩამოყალიბება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დასაცავად და მიეთითება სახანძრო რაზმებს და სამოქალაქო თავდაცვის გამძღოლთ თუ რომელი „მგრძნობიარე“ ადგილების მიმართ გამოიჩი-

ნონ მეტი ყურადღება საგანგებო რეაგირების დროს. აგრეთვე უნდა მოხდეს აღრიცხვა რომელიც მოგვცემს (თუ ეს დასაშვებია) დაკარგული ან დაზიანებული ელემენტების ზუსტი აღდგენის საშუალებას.

- მემკვიდრეობის აღწერილობებს და ზოგადად ძეგლზე მონაცემებს, რომელნიც ობიექტის დაცვის მიზნით იქნა შემოღებული, სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ის ელემენტები, რომლებიც არ არიან აღწერილობაში შეყვანილნი ან „ნაკლები“ პრიორიტეტი ენიჭებათ, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი. მემკვიდრეობის ღირებულება აღემატება შემადგენილი ნაწილების ღირებულებათა საერთო ჯამს და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ კატასტროფებისადმი რეაგირების გეგმა გულისხმობდეს ობიექტის არა მხოლოდ „მნიშვნელოვანი“ ელემენტების არამედ მთლიანობაში ობიექტის დაცვას.
- რისკისთვის მზადყოფნის დაგეგმვისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს შენობის ან ობიექტის წინანდელი კატასტროფების დროს „მოქცევის“ შესახებ დოკუმენტაციის მოძიებასა და შესწავლას. ეს საშუალებას მოგვცემს წარსულის გაკვეთილები სამომავლო დაგეგმვის დროს გამოვიყენოთ. კატასტროფის შემდგომი აღწესება დაგვეხმარება გავარკვიოთ ობიექტის დანაკარგები და ისიც, რა არის უპირველესად საჭირო ობიექტისა თუ მისი შემადგენლების სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის.
- ობიექტის შესახებ სრული სააღრიცხვო მასალის არსებობამ არ უნდა შეცვალოს ყველა სხვა შესაძლო ძალისხმევა მის დასაცავად შლისა და კატასტროფების შედეგებისგან და არ უნდა მოადუნოს ყურადღება რისკის მიმართ.

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის პროგრამები უნდა მოიცავდეს რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივებსაც.

- მოვლა-პატრონობის პროგრამები ხშირად ძეგლის ყოველდღიური ცვეთის მიზეზების (მაგ., მნახველის ან

მცხოვრებლის მიერ მისი მოხმარების, ამინდის ტემპერატურა, ტენიანობა) და მასზე ზეგავლენის ფარგლებში მოიაზრება; ეს პერსპექტივა უნდა გაფართოვდეს და მოიცვას შლისა და დანაკარგის ყველა ადამიანისმიერი და ბუნებრივი შესაძლო წყარო, ასევე ყოველ საშიშროებასთან დაკავშირებული რისკის დონის და მისი შემცირების ან შერბილებისთვის შესაფერისი ზომების ანალიზი.

ქეგლის მაცხოვრებლები და მომხმარებლები უშუალოდ უნდა იყვნენ ჩაბმულნი სასწრაფო რეაგირების გეგმის შემუშავებაში.

- პირველი, ვინც საგანგებო ვითარებაში მუდამ დაცვარეაგირების წინა ხაზზე ხვდება და ფაქტობრივად ობიექტზე სასწრაფო რეაგირებას ახდენს, მფლობელები და მომხმარებლები არიან ხოლმე. მათი ჩაბმა დაგეგმვის პროცესში უკეთ გააგებინებს მათ შემოთავაზებული ზომების მიზანშეწონილობას და გაზრდის ეფექტური რეაგირების შესაძლებლობებს. რეაგირების გეგმის მომზადების პროცესში მათი ჩართვა კი მოგვცემს პირველწყარო ინფორმაციას ქეგლის მგდომარეობის, შესაძლო დაზიანებების და რეაგირების შესახებ.

გადაუდებელი დახმარების განვეისდროს პრიორიტეტს მემკვიდრეობის მიერი მახასიათებლების დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

- თუმცა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მცდელობა საგანგებო ვითარებაში არასოდეს დადგება ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნებაზე წინ, გადაუდებელი დახმარების დროს, მემკვიდრეობა – როგორც წასულთა თუ ახლანდელთა ცხოვრების მატერიალური და არამატერიალური მონუმბა – უაღრეს მზრუნველობას იმსახურებს.

კატასტროფის შემდეგ ყველა საშუალებით უნდა მოხდეს დაზიანებული ან/და დაკარგული ნაშენისა ან დეტალების შენარჩუნება და შეკეთება.

- კონსერვაციის კვალიფიციური პროფესიონალების ჩართვა, რომელთაც აქვთ კატასტროფის შედეგების შეფასების გამოცდილება, ძალზე მნიშვნელოვანია დაზიანებული შენობების და მათი ელემენტების გადასარჩენად. არაპროფესიონალი დამთვალეერებლისთვის თვალთ

დასანახი ზიანი ხშირად უფრო შემანუხებელი ჩანს, ვიდრე რეალური ზოგადი მდგომარეობა და შეინიშნება მიდრეკილება ირწმუნონ, რომ აღდგენითი სამუშაოები შეუძლებელი ან ძალიან ძვირი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, მსგავს ვითარებაში მდგომარეობის შეფასება და ობიექტის დათვალიერება ყოველთვის მემკვიდრეობის პროფესიონალებმა უნდა ჩაატარონ. მნიშვნელოვანია, რომ რეაგირების გეგმაში მემკვიდრეობის ობიექტისთვის წინდანი განისაზღვროს, ვინ შეიძლება სასწრაფოდ გამოიძახონ ამგვარი შეფასების გასაკეთებლად.

- კვალიფიციური სპეციალისტების მიერ შეფასების შედეგად შემოთავაზებულ უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის სტაბილიზაციისა და დაცვის დაუყოვნებელი და გადაუდებელი ღონისძიებები. ბიუჯეტით ასეთი სახის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა უნდა იყოს მემკვიდრეობის ობიექტთა კატასტროფებისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების წინასწარი გეგმის ნაწილი.
- კატასტროფის შემდგომი შეფასებისას შესაბამისი სამშენებლო კანონმდებლობა და სტანდარტები ხისტად ვერ იქნება გამოყენებული. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ოფიციალური პირები ხშირად სწირავენ ძეგლის დაზიანებულ ნაწილებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, თუმცა აქ კომპრომისი უნდა მოიძებნოს. უნდა შეფასდეს წინასწარ რა ზომები უნდა იყოს ძეგლზე მისაღები გადაუდებელი ღონისძიებების დროს, ვიდრე მოხდება მემკვიდრეობის ობიექტების საფუძვლიანი შესწავლა და შეფასება კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტების მიერ, გამოვლინდება დაზიანებული ადგილების არსებული სურათი და დადგინდება, საშველად რა ზომებია მისაღები და რაოდენ საჩქაროდ.

10. კატასტროფების დაგეგმვის, რეაგირების და აღდგენის სამუშაოების ყველა ფაზაში შეძლებისდაგვარად ინტეგრირებული უნდა იყოს კონსერვაციის პრინციპები.

- მემკვიდრეობის ობიექტისთვის ჯეროვანი დოკუმენტაციის შედგენა საგანგებო სიტუაციებამდე, მათ დროს და მათ შემდეგ კონსერვაციის პრინციპების თანახმად უნდა ხდებოდეს: დოკუმენტაცია უნდა იყოს დაცული (ე.ი. რამდენიმე ადგილას შენახული), სარწმუნო (მისი სარწმუნობა იმათ გარდა, ვინც ის თავიდან შეადგინა, სხვებმაც უნდა დაადასტურონ) და იოლად ხელმისაწვდომი.
- კონსერვაციის პრინციპები უნდა იყოს განუყოფელი ნაწილი იმ საკანონმდებლო და ნორმატიული ინსტრუმენტებისა, რომლებსაც მიმართავენ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების აღდგენითი ქმედებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კატასტროფის შემდგომ საჭიროებებზე ინტეგრირებული რეაგირება.
- რისკისათვის მზადყოფნის ნებისმიერი სხვა სახესხვაობის მსგავსად, მემკვიდრეობის ობიექტთა მენეჯერებმა და საგანგებო რეაგირების გამძლოლებმა უნდა უზრუნველყონ რისკის დაგეგმვის, მასზე რეაგირების და აღდგენის მიღებულ საერთო პრინციპებს შორის კონსერვაციის პრინციპების აუცილებელი გათვალისწინება. მიღებული გადაწყვეტილება ანონ-დანონილი მსჯავრი უნდა იყოს, დაფუძნებული საზიარო პრინციპებზე და უნდა ითვალისწინებდეს მემკვიდრეობის ობიექტის შენარჩუნების პასუხისმგებლობას.
- ჩასატარებელია ხოლმე ექსპერტიზაც. მენეჯერებმა უნდა გადანყვიტონ როდის არის აუცილებელი რჩევა სპეციალისტებისაგან (მაგ., კედლის მხატვრობის, ქანდაკების, მხატვრული და ისტორიული ფასეულობის მქონე საგნების განსაკუთრებული საშენი მასალების და კონსტრუქციების მცოდნეთაგან). ექსპერტებმა მრავალდისციპლინარულ გუნდად უნდა იმუშაონ.

თავი 4

რისკის მზადყოფნისადმი ჯანსაღი მიდგომის განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

4.1 რისკისთვის მზადყოფნის დაგეგმვის ზოგადი ჩარჩო

ჯანსაღი მიდგომის განვითარება კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის სფეროში მოითხოვს ჩარჩოს დაგეგმვას რისკისთვის მზადყოფნის კონკრეტული ასპექტების შესამოწმებლად.

ჩარჩოს დაგეგმვის ძირითადი ფაზებია: მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა.

მზადყოფნის ფაზა

კულტურული მემკვიდრეობის მზადყოფნის გაუმჯობესების მცდელობა შეიძლება ფოკუსირებული იყოს თვით საშიშროებაზე, ასევე მასთან დაკავშირებული რისკის შემცირებაზე; თვით ობიექტის გამაგრებაზე ამა თუ იმ რისკის მიმართ გამძლეობის გაზრდისათვის; აღმომჩენი და გამაფრთხილებელი სისტემების გამოყენებაზე; და ობიექტის მაცხოვრებლების, ასევე საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სპეციალისტების ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებაზე.

(1) რისკის დასაბამშივე შემცირება

მოიცავს საშიშროების გაბათილების ან ობიექტის ამტანობის გაზრდას კონკრეტული საშიშროების მიმართ ან ორივეს. ძირითადი ზომები მიმართულია ღირსშესანიშნავი ადგილის გარემო პირობების გაუმჯობესებისკენ (მაგ., ობიექტზე ხანძრის კერების მოსაპობა ან მისი სახიფათო ქმედების შეზღუდვა).

(2) კატასტროფით გამოწვეული ზიანის მიმართ ობიექტის გამძლეობის გაძლიერება

მოიცავს შენობის და მისი კომპონენტების შემტკიცებას და გაძლიერებას; მაგ., ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების დაყენებას ან შენობის გაძლიერებას მიწისძვრის მოქმედების გასაძლეულად.

(3) გარდაუვალი კატასტროფისას ადეკვატური გაფრთხილების უზრუნველყოფა

ითვალისწინებს კატასტროფის დაწყების ან შესაძლებლობის მომასწავებელი ან გამაფრთხილებელი სენსორების დამონტაჟებას. მაგ., კვამლის დირექტორები (ხანძრის მომასწავებელი), მიწისძვრების სენსორების ქსელი, რომელიც წინასწარ მოასწავებს სეისმურ აქტივობას. კატასტროფის მიერ მიყენებული ზიანის შემცირების მზადყოფნის ზომების ნაწილია რისკის ზონებად დაყოფილი რუკაც.

(4) საგანგებო რეაგირების გეგმის შემუშავება

მოსახლეობამ და საგანგებო რეაგირების გამძლეობმა მემკვიდრეობის ობიექტისთვის საგანგებო ვითარებაში რეაგირების გეგმა ერთად უნდა შეიმუშაონ; გეგმა თანაბრად უნდა ემყარებოდეს ძეგლის, მისი თვისებების, მდგომარეობის და კატასტროფის დროს მის საჭიროებათა გაგებას; ასევე უნდა ითვალისწინებდეს ძეგლზე და მის ტერიტორიაზე მომსახურეთა მომზადებას, რომლებიც თავის თავზე აიღებენ შესაბამის პასუხისმგებლობას კატასტროფამდე, მის დროს და მის შემდგომ პერიოდში. მოსამზადებელი მუშაობა რეაგირების გეგმის ასამოქმედებლად მოიცავს მაცხოვრებელთა ხანძრის საწინააღმდეგო წვრთნას, ობიექტის და ისეთი დოკუმენტაციის მომზადებას და კატასტროფის დროს გადარჩენის რიგითობის თუ სხვა განსახორციელებელი ღონისძიებების დადგენას.

ყველაფერ ამის შედეგად იარსებებს კატასტროფაზე რეაგირების სათანადო ორგანოები და რაზმები, რომლებსაც კარგად ექნებათ გაცნობიერებული ობიექტის თვისებები, ხიფათზე რეაგირებისას შესაბამისი საშუალებებიც ზიანის შემცირებისა ადამიანთა უსაფრთხოების და სიცოცხლის დაუთმობლად. ამ მიზნების მისაღწევად შეიძლება მოენწყოს მოსამზადებელი კურსები მეხანძრეებისთვის, სასწავლო განგაში და უზრუნველყოფილ იქ-

ნას ობიექტის ერთი ბოლოდან მეორეში სასწრაფო რეაგირებისთვის საჭირო ტრანსპორტის მისასვლელების მოწყობა.

რეაგირების ფაზა

ზოგადად, რეაგირება მზადყოფნის ადეკვატური ზომებიდან გამომდინარეობს, რომელნიც შეიცავენ შესაბამის რეაგირების გეგმას, მოსახლეობის და საგანგებო რეაგირების პერსონალის წვრთნას. ბევრი მოქმედება, რომელიც ხორციელდება ალდგენის დასაწყისში, ასევე შეიძლება ჩაითვალოს რეაგირების ნაწილად.

(5) რეაგირების გეგმის მისანვდომობის უზრუნველყოფა

რეაგირების გეგმა წინასწარ უნდა მომზადდეს. ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საგანგებო სიტუაციისას იგი ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გეგმა მოსარგებლეთათვის ნაცნობი და მოსახერხებელი იყოს; ვარჯიშები და სასწავლო განგაშები ძალიან მნიშვნელოვანია საგანგებო ვითარებაში გეგმის გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(6) კონსერვატორთა გუნდის მობილიზება

კონსერვაციის კვალიფიციურ სპეციალისტთა ნუსხა წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული. უნდა დამუშავდეს საიმისო მექანიზმი, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს კონსერვატორთა გუნდის, ერთი ან რამდენიმე წევრის მობილიზაცია.

ალდგენის ფაზა

ალდგენითი ზომების ეფექტურობაც, ისევე და ისევე, დიდად დამოკიდებულია შესაბამისი ზომების წინასწარ დაგეგმვასა და განხორციელებაზე. მაგ., შესამსუბუქებელი, კერძოდ, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხი დამოკიდებულია შენობის განადგურებამდე შესრულებული დოკუმენტაციის ხარისხზე. გეგმამ უნდა იზრუნოს ზიანის შემსუბუქებაზე, ალდგენით მშენებლობაზე და მზადყოფნის გაძლიერებულ ზომების შემოღებაზე.

(7) კატასტროფის ნეგატიური შედეგების შემსუბუქების მცდელობა

ეს მცდელობა მიმართულია კატასტროფის ნეგატიური გავლენის შემცირების ან კომპენსირების საშუალებებზე, ასეთია, მაგ., გა-

მოუბრუნებლად დაზიანებული ელემენტების ამომწურავი აღრიცხვა მათ მოხსნამდე, კატასტროფის შემდეგ შენობისა და მისი შიგთავსის სტაბილიზაციის ცდა, ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის ან გაქარწყლების ცდა (მაგ., წყალმოვარდნის მერე წყლისა და ნაგვის მოშორება) და დროებითი საცხოვრებლის მოწყობა იმათთვის, ვინც შეიძლებოდა უსახლკაროდ დარჩენილიყო.

(8) მეკვიდრეობის ობიექტის ფიზიკური კომპონენტების და მის მომხმარებელთა და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის აღდგენის მცდელობა

ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნას შენობების, მათი შემოგარენის და ინფრასტრუქტურის ფიზიკურ რეკონსტრუქციაზე, ასევე კატასტროფისგან დაზარალებული ადამიანების ცნობიერებაში სტაბილურობის, კეთილდღეობისა და მიზანდასახულობის გრძნობის აღორძინებაზე. საამისო მაგალითებია ხანძრით დაზიანებული შენობის აღდგენა ანდა უბედურების მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა.

(9) მზადყოფნის ზომების გაუმჯობესების და გაძლიერების მცდელობა

იგულისხმება მზადყოფნის ზომების შესაბამისობის კატასტროფამდე შეფასება და მიღებული გაკვეთილების გათვალისწინებით მზადყოფნის გაძლიერებული ზომების შემოღება. მნიშვნელოვანი მონიტორინგის პროგრამები, რომლებიც შეაფასებს რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების მისაღწევად ეფექტურობას

დაგეგმარების ჩარჩოს სხვადასხვა ელემენტის ეფექტურობა შეიძლება იქნას შემომნებული ადგილობრივ (თვით ღირსშესანიშნავ ადგილზე), მუნიციპალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე.

ადგილობრივ (ღირსშესანიშნავი ადგილის) დონეზე არსებული ფაქტორები, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია; მიუხედავად ამისა, სხვა დონეებზე მოქმედმა პოლიტიკამ, მექანიზმებმა თუ ნამონეებებმა შესაძლოა პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა იქონიოს რისკისთვის მზადყოფნაზე და ამიტომ ყურადღების ღირსია.

ქვემოთ მოყვანილია ამ ჩარჩოს ფარგლებში შემუშავებული რისკისთვის მზადყოფნის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის შესაფერისი სტრატეგიის მაჩვენებელთა ცხრილი.

რეაგირების დონე	ადგილობრივი (ქველი)	მუნიციპალური	რეგიონალური	ეროვნული
მზადყოფნა				
1. რისკის შემცირება				
2. გამძლეობის გაზრდა				
3. წინასწარი გაფრთხილება				
4. რეაგირების გეგმის შემუშავება				
რეაგირება				
5. რეაგირების გეგმის ხელმისაწვდომლობა				
6. კონსერვაციის სპეციალისტთა ჯგუფი				
აღდგენა				
7. შერბილება				
8. აღდგენითი მშენებლობა				
9. მზადყოფნა აღორძინებასა და გაძლიერებაში				

4.2 რისკისთვის მზადყოფნა კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ფორმისათვის

სახელმძღვანელოს მომდევნო თავების უმთავრესი საგანი ამა თუ იმ საშიშროების დროს გათვალისწინებული მოსამზადებელი, რეაგირების და აღდგენის ზომები იქნება. თუმცა ეს რეკომენდაციები

ზოგადად მემკვიდრეობის ობიექტებისთვისაა შეთავაზებული, საუბარი უმთავრესად ცალკეულ შენობა-ნაგებობებზე იქნება. საგანგებოდ იქნება აღნიშნული შემთხვევები ისტორიულ ურბანულ ანსამბლებთან, არქეოლოგიურ ტერიტორიებთან ან კულტურულ ლანდშაფტებთან მიმართებაში.

ამავე დროს, მომდევნო თავში ვეცდებით განვსაზღვროთ რისკისთვის მზადყოფნის ზომების სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის საერთო ელემენტებიც და მათი არსებითი განმასხვავებელი მახასიათებლებიც.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია გვთავაზობს კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრებას, რომლებიც დაგვეხმარება სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის განსასხვავებლად:

- **უძრავი ძეგლები:** არქიტექტურის ქმნილებები, მონუმენტური სკულპტურები და მონუმენტური მხატვრობის ნაწარმოებები, არქეოლოგიური ნაშენის ელემენტები, წარწერები, გამოქვაბულები, სადგომები. იგი წარმოადგენს მახასიათებლების ისეთ ერთობლიობას, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული ისტორიული, მხატვრული ან სამეცნიერო ღირებულება;
- **ნაგებობათა ჯგუფი:** ცალკეული და ურთიერთ დაკავშირებული შენობების ჯგუფი, რომელსაც მისი არქიტექტურის, ჰომოგენურობის ან ლანდშაფტში განლაგების გამო უნივერსალური ისტორიული, მხატვრული ან სამეცნიერო ღირებულება აქვს;
- **ღირსშესანიშნავი ადგილები:** ადამიანის ან ბუნების და ადამიანის ერთობლივი ქმნილება, ასევე ტერიტორია, რომელიც მოიცავს არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთაც აქვს განსაკუთრებული უნივერსალური ისტორიული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური ან ანთროპოლოგიური ღირებულება.

შენობების, შენობათა ჯგუფის და ღირსშესანიშნავი ადგილების კატეგორიები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ კატეგორიებს, კერძოდ ძეგლებს (ცალკეული შენობა – ნაგებობები ან კომპლექსები), ისტორიულ დასახლებებსა და ლანდშაფტებს. ჩვენს სახელმძღვანელოში ცალკე გამოყოფილია არქეოლოგიური ტერიტორიები, როგორც ძეგლის ერთ-ერთი სახეობა. იგი საგანგებო ყურადღების ღირსია.

4.2.1 კულტურული მემკვიდრეობა

კატასტროფებისთვის მზადების დაგეგმვა

კატასტროფებისთვის მზადების ეფექტური დაგეგმვა შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

- გავაძლიეროთ ეფექტური მზადება, ისე რომ ისინი როგორც შინაარსობრივად ასევე ინტონაციურად ეჭვს არ იწვევდეს;
- მივმართოდ დაგეგმვისადმი ეტაპობრივი მიდგომას: შევიმოუშაოთ გეგმა, მოვახდინოთ მისი ტესტირება, დაზუსტება და კვლავ ტესტირება, შემდეგ დავამტკიცოთ იგი;
- ავამაღლოთ მოსახლეობისა და შესაბამისი ოფიციალური პირების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების გაცნობიერების და დაფასების დონე;
- მისაღებად მივიჩნियोთ მხოლოდ კარგი საკონსერვაციო პრაქტიკის უმაღლესი პრინციპები;
- მოსახლეობას გავუცნობიეროთ მნიშვნელოვანი საშიშროებები კულტურული მემკვიდრეობის ნაკლებ მდგრადობასთან დაკავშირებით;
- რისკის დასაშვები დონისა და რეაგირებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრისას შევუპირისპიროთ ერთმანეთს რისკი და მემკვიდრეობის ღირებულებანი;
- მოხდეს გეგმების გამოცდა, მათ შორის სასწავლო განგაშის, რომელიც მოხდება წვრთნის მეშვეობით და ყველა იმ პირის მონაწილეობით, ვინც შეიძლება დაზარალდეს; შემონახვის სცენარი რეალისტური უნდა იყოს და ითვალისწინებდეს კატასტროფაზე რეაგირების მოსახლეობისთვის ცნობილ წესს, რადგანაც კატასტროფისას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა რეაგირებს განსხვავებულად – პირველი ჯგუფურად, მეორე კი განცალკევებული ფორმებისკენ იჩენს მიდრეკილებას და ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ ადგილთან კავშირშიც მსგავსი რეაგირების ტიპები შეიძლება ვივარაუდოთ;
- განიჭვრიტოს, გაცნობიერდეს და გათანამედროვდეს განმკარგულებელ-შემსრულებელთა ჯაჭვი, მაგ., კულტურის, თავდაცვის, დაგეგმარების და ტრანსპორტის სამინისტროებს

შორის (მაგ., ჩამოყალიბდეს საგანგებო ვითარებათა საბჭო ეროვნულ დონეზე), აგრეთვე ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ კონტექსტშიც, რადგანაც კატასტროფისას ეს ურთიერთობა ხშირად გაურკვეველია, ამიტომაც ძნელად მოსაგვარებელია;

- შეიქმნას ერთი მმართველი რგოლი და დამყარდეს კავშირი მასთან და დახმარების ყველა შესაძლო წყაროს შორის. შეიძლება გახდეს საჭირო საგანგებო სიტუაციის დროს (მაგ., ტექნიკური სამსახურები, სამოქალაქო თავდაცვა, მოსახლეობისთვის სოციალური მხარდაჭერა);
- უპირატესი ყურადღებამიექცეს ხალხს, მის მიერ ღირებულებების, საჭიროებების და შესაძლებლობების გაცნობიერებას; ნუ ვადგენთ გეგმებს მხოლოდ შენობებისთვის;
- ვიზრუნოთ ისეთი პოლიტიკისა და მიდგომათა შემუშავებაზე, რომელნიც ეცდება რეაგირება-აღდგენის დაგეგმვისას ერთ-მანეთს შეუწონოს მემკვიდრეობა და ადამიანთა სიცოცხლე და არსებობის საშუალებები;
- რისკისთვის მზადყოფნის სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ მემკვიდრეობის მიზნების რაობის ცხადი სურათი, თანაც კონკრეტულად და ხელშესახებად (მაგ., ხელი შევუწყოთ მასალის ავთენტურობის შენარჩუნებას);
- გამოიყენეთ რეალური მექანიზმები და ყურადღება მიღწევად მიზნებზე გაამახვილეთ.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო მხარდაჭერაც, მაგრამ კატასტროფისას საერთაშორისო კავშირებს ნაკლებად თუ გამოიყენებთ. საერთაშორისო კავშირები უკეთ შეიძლება გამოვიყენოთ გრძელვადიანი მიდგომებისა და ზომების შემუშავებისა და გაუმჯობესებისთვის, რისკისათვის მზადყოფნის საშუალებებისა და მექანიზმების შედარებითი კვლევის გზით (მაგ., აღწესების ნარმოება, მონიტორინგი, რისკის შეფასება და ა.შ).

საგანგებო რეაგირების დაგეგმვა

- საგანგებო რეაგირების გეგმები უნდა ითვალისწინებდეს დასაცავი მემკვიდრეობის განლაგების სპეციფიკას, მის განსაკუთრებულ ფიზიკურ და კულტურულ ვითარებას.

- კულტურული მემკვიდრეობისთვის საგანგებო რეაგირების გეგმის დამუშავებისას მნიშვნელოვანია მასში მოსახლეობის მხარდაჭერის ინტეგრაცია: სოციალური და კულტურული ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებრივი სიფხიზლისა და სიფრთხილის გაზრდა; მოსახლეობის მხარდაჭერის დაგეგმარებისა და სტრუქტურირებისთვის საკმაო ხერხიანობაა საჭირო ამა თუ იმ თაოსნობისთვის მდგრადი სოციალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

4.2.2 უძრავი ძეგლები

- მიუხედავად იმისა რომ ძეგლებს, როგორც წესი, ერთი მფლობელი გააჩნიათ, რაც თავის მხრივ აადვილებს ძეგლის მოვლა-პატრონობის საქმეს, მაინც მნიშვნელოვანია უზრუნველყოთ, რომ დაგეგმვისას ძეგლის რისკისთვის მზადყოფნის მენეჯმენტის ზომები განიხილებოდეს უფრო ფართო გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კონტექსტში.
- ძეგლებთან დაკავშირებული კატასტროფებისთვის მზადების დაგეგმარება უნდა მოიცავდეს მათი განსაკუთრებული მემკვიდრეობისმიერი ღირებულებების და მათი შემაპირობებელი განსხვავებული ელემენტებისა და მხარეების გააზრებასა და პატივდებას.
- ძეგლებზე საგანგებო მზრუნველობა მოიცავს საჭიროებას ყურადღება გამახვილდეს კერძო მესაკუთრეების ინტერესსა და უნარზე (ამ პირებს კი აუცილებლად როდი აქვთ ის რესურსები და გამოცდილება, რაც საზოგადოებრივი სექტორის მესაკუთრეებს).
- ასევე პარტნიორული მენეჯმენტის აუცილებლობას (ჰორიზონტალური ინტეგრაცია) და საჭიროებას იმისა, რომ შეთავაზებულმა ზომებმა შეაკავშიროს ყველა ინდივიდუალური პირი და გააერთიანოს ვისაც კი საქმე აქვს ძეგლებთან, ქვევიდან ზემოთ, მომვლელი პერსონალით დანწყებული დირექტორებამდე (ვერტიკალური ინტეგრაცია).
- ძეგლებთან დაკავშირებული დაგეგმარება მოცემული პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს კონსერვაციის შესაბამის ქარტიებსა თუ დოქტრინალურ ტექსტებში, მათ შორის 1964 წლის ვენეციის ქარტიასა და ICOMOS-ის ეროვნულ

და სამეცნიერო ტექსტებში, ICOM-ის სახელმძღვანელო პრინციპებსა და სხვა რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ დოკუმენტებში.

4.2.3 არქეოლოგიური ტერიტორიები

არქეოლოგიური ტერიტორიები საუკეთესოდ შეიძლება იქნას აღქმული მათ ანმყო მდგომარეობაში, როგორც წარსულის კატასტროფებისა და მოუვლელობის შედეგი, ასე რომ, მათზე ზრუნვა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა განიხილებოდეს.

- დაგეგმვამ საგანგებოდ უნდა იზრუნოს ტერიტორიის უსაფრთხოებაზე (ვანდალიზმი, ხანძარი, მემკვიდრეობის ობიექტების ან ფრაგმენტების ძარცვა, უკანონო გატანა, ასევე მნახველების და მაცხოვრებლების უსაფრთხოება).
- დაგეგმვისას პატივი უნდა მიეგოს ტერიტორიის ღირებულებებს. მაგ., ანალიტიკურად უნდა განირჩეს დოკუმენტური ღირებულება და მისი წარმოსახვითი ღირებულება; ნათელყოფილი უნდა იქნას არსებული ტერიტორიის სიმრთელე და სარესტავრაციო ქმედებები მიმართული უნდა იყოს სასურველი სიმრთელისა და ავთენტურობის ჯეროვნად შესანარჩუნებლად.
- დაგეგმვისას ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ სამიშროებებს ამა თუ იმ პირობებში (მაგ., ნანგრევების სტაბილურობა, უპირატესი კლიმატური პირობები, ცეცხლის, წყლის თუ სხვა ფაქტორების ამა თუ იმ მასალაზე – თიხა, ქვის წყობა, ხე – ზემოქმედება, წყალმოვარდნისადმი ნაკლები მდგრადობა და ა.შ.) რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა.
- დაგეგმვისას უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს პრევენციულ ასპექტებს, საზოგადოების განათლების ჩათვლით; ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც არქეოლოგიურ ტერიტორიაზე დასახლებაც არის, მაგ., აუთია (ტაილანდი), არსებობს „სამეზობლოსგან მეთვალყურეობის“ შესაძლებლობა.
- არქეოლოგიური ტერიტორიებისთვის დაგეგმვა უნდა იმველივდეს პრინციპებს, რომლებიც მოყვანილია შესაბამის საკონსერვაციო დოკუმენტებში, როგორიცაა UNESCO-ს რეკომენდაციები არქეოლოგიური ტერიტორიებისთვის (ნიუ დელი, 1956), ამჟამად 1972 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და ICOMOS-ის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის მენეჯმენტის ქარტია (ლოზანა, 1990).

4.2.4 ისტორიული დასახლებები

მათი მენეჯმენტის დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობების გადაფარვას, რათა რეაგირების მომენტში თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტი; აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ განვითარებასა და კონსერვაციას შორის კონფლიქტი, დამახასიათებელი ისტორიული დასახლებების თანამედროვე გეგმარებისთვის, კატასტროფების შემდგომი აღდგენითი სამუშაოებისასაც იჩენს თავს და მგეგმარებლებმა, თუ ისინი სწორედ არ წარმართავენ პროცესებს, შეიძლება კატასტროფაც მშვენივრად გამოიყენონ; საუკეთესო გზა არასაჭირო კონფლიქტების არიდებისა აღდგენითი სამუშაოების გამძღოლებთან, ნათელი აღდგენითი პრინციპების ჩამოყალიბებაა უბედურ შემთხვევამდე. აუცილებელია წინასწარ მოხდეს იმის განჭვრეტა თუ რა დილემები შეიძლება წარმოიშვას კატასტროფისას.

ისტორიული დასახლებების კატასტროფებისთვის მზადების დაგეგმვისას უნდა იქნას გათვალისწინებული დასახლების მემკვიდრეობისმიერი ღირებულებები, კონკრეტული ელემენტები, ტრადიციები და ჩვეულებანი, რომლებშიც გამოიხატება ეს ფასეულობები.

ისტორიული დასახლებების კატასტროფებისთვის მზადების დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ეკონომიკურ და კანონმდებლობით კონტექსტს (იქნება ეს საბაზრო ეკონომიკა, გარდამავალი ეკონომიკა, თუ ცენტრალიზებული ეკონომიკა) და მესაკუთრეობის განსაკუთრებულ მოდელებსა და პასუხისმგებლობათა გადანაწილებას, ტრადიციებს თუ მექანიზმებს.

ინდივიდუალურ მესაკუთრეებთან მჭიდრო თანამშრომლობისას მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მესაკუთრეებმა შეიძლება თავიდან არ გაიზიარონ, რომ მემკვიდრეობის ღირებულებები მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის; მიუხედავად ამისა, საჭიროა ძალისხმევა, რათა აცილებულ იქნეს კონფლიქტი ექსპერტსა და მესაკუთრეს შორის.

დაგეგმვისას ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო მონაწილე მხარის ჩართვას, რომელთაც მხარს დაუჭერს

მოსახლეობა. მათ შორის ტურისტულ კომპანიებს, მასმედიას, სა-
დაზღვევო კომპანიებს და ა.შ

ისტორიული დასახლებების კატასტროფებისთვის მზადე-
ბის გეგმები უნდა ითვალისწინებდეს მიმართულებას, რომელსაც
იძლევა შესაბამისი საკონსერვაციო ქარტიები და დოქტრინები,
მათ შორის ICOMOS-ის ქარტია ისტორიული ქალაქების შესახებ
(ვაშინგტონი, 1978).

4.2.5 კულტურული ლანდშაფტები

- კულტურული ლანდშაფტებისთვის შესაძლო დაზიანებებზე ეფექტური მზადყოფნა მოიცავს თანამშრომლობით სტრატე-
გიებს, რომელიც გააერთიანებს კერძო მიწის მესაკუთრე-
ებს, სამთავრობო სააგენტოებს და უწყებებს, ბიზნესმენებს
და სხვებს. რა თქმა უნდა, ამდენი დაინტერესებული მხარის
მონაწილეობის უზრუნველყოფას სჭირდება ძლიერი საკოორ-
დინაციო მექანიზმის შექმნა: საკოორდინაციო კომიტეტის ან
კომისიის სახით, რომელსაც ექნება უფლება განავითაროს
ეფექტური რეაგირების გეგმა.
- ეფექტური დაგეგმვა მოითხოვს კულტურული მემკვიდრეობის
ლანდშაფტების განსაკუთრებული ღირებულებების გააზრე-
ბას და გაცნობიერებას, როგორც მოსახლეობაში, ასევე იმ
ოფიციალურ პირებში, ვინც პასუხისმგებელია რისკისათვის
მზადყოფნისთვის.
- ეფექტური დაგეგმვისას აუცილებელია თვალნათლივ განი-
საზღვროს ის ატრიბუტები თუ ღონისძიებები, რომელნიც
მნიშვნელოვანია კულტურული ლანდშაფტების ღირებულებათა
მდგრადობისთვის, რათა რეაგირება-აღდგენის დაგეგმვისას
რაც შეიძლება უკეთ მოხერხდეს მათი პატივდება და აღ-
დგენა.
- ეფექტური დაგეგმვისას მოშველიებულ უნდა იქნას კონვენციის
აღიარებული პრინციპები და პრაქტიკული გამოცდილება
კულტურული ლანდშაფტების სფეროში, მათ შორის ამ სა-
კითხებთან დაკავშირებული UNESCO-ს ექსპერტთა შეხვედრის
შედეგები და ის განმარტებები თუ განსაზღვრებები, რომელნიც
გათვალისწინებულია კონვენციის შესრულების სამოქმედო
პრინციპების 24 პარაგრაფით.

მომდევნო თავები გვიჩვენებს, როგორ მოვიმარჯვოთ ზემოთ განხილული იდეები პრაქტიკული თვალსაზრისით.

სხვადასხვა თავი ეხება ერთ-ერთს უმთავრეს ბუნებრივ საშიშროებათაგან და განიხილავს რას მოითხოვს ყოველი ცალკე საშიშროება, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მქონე ობიექტების რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის ვიღვნი. თითოეული თავი – ხანძრის, მიწისძვრის, წყალდიდობის, შეიარაღებული კონფლიქტის და სხვა საშიშროების შესახებ – განიხილავს ამ საშიშროების გავლენას კულტურულ მემკვიდრეობაზე, რისკისთვის მზადყოფნის სტრატეგიების ელემენტებს და სხვა ტექნიკურ და დაგეგმარების საკითხებს. დასასრულ, თავი 10 გააცნობს მკითხველს რისკისთვის მზადყოფნის ძირითადი პრინციპების შემუშავების პროცესს.

მაგალითი: გადაუდებელი რეაგირება და ნივთების გადარჩენის წრედი

გადაუდებელი რეაგირებისა და გადარჩენის წრედი აშშ-ს შეიქმნა გადაუდებელი რეაგირების ეროვნული სამუშაო ჯგუფის National Task Force on Emergency Responce მიერ, რომელიც დააფუძნა გადაუდებელ ღონისძიებათა ფედერალურმა სამენეჯმენტო სააგენტომ (Federal Emergency Management Agency – FEMA) გეტის კონსერვაციის ინსტიტუტთან (Getty Conservation Institute) და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ეროვნულ ინსტიტუტთან (National Institute for the Conservation of Cultural Property – NIC) ერთად. ეს სამუშაო ჯგუფი აერთიანებს 25 სამთავრობო სააგენტოს, ეროვნულ სამსახურებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა წევრებიც უწევენ კოორდინირებულ საექსპერტო დახმარებას კულტურის დაწესებულებებსა და მონახლეობას კატასტროფების შემთხვევაში.

გადაუდებელი რეაგირებისა და გადარჩენის წრედი შემუშავებულ იქნა ამ სამუშაო ჯგუფის მიერ კულტურის დაწესებულებებისა და სააგენტოების უბედურების მერე პირველი 48 საათის განმავლობაში დასახმარებლად. ეს სქემა არის ორმხრივი ბრუნვადი სქემა, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს მიიღოს მისთვის საგულისხმო კრიტიკული ინფორმაცია ორ მნიშვნელოვან ნაწილში. სქემის ცალი მხარე ასახავს გადაუდებელი რეაგირების ცხრა უმთავრეს ქმედებას, უსაფრთხოების ზომებიდან ვიდრე

აღდგენის პრიორიტეტებამდე. სქემის მეორე მხარე განსაზღვრავს გადარჩენის სხვადასხვა ტექნიკასა და ღონისძიებას შესაფერისს ამა თუ იმ ტიპის კოლექციებისა და საგნებისთვის. მონოდებული რჩევა უპირატესად ეხება წყლისა და ნესტისგან მიყენებული დაზიანების (კოლექციების დაზიანების, ალბათ, უმნიშვნელოვანესი წყაროს) კონტროლსა და შერბილებას.

სქემა, რომლის მოხმარება მონონებულია კულტურული მემკვიდრეობის დარგში მომუშავე ყველა წამყვანი ამერიკული დაწესებულების მიერ, უფასოდ გაეგზავნა 45 000 მუზეუმს, ბიბლიოთეკას, არქივს და ისტორიულ საზოგადოებებს ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს სქემა მცირე და საშუალო მასშტაბის დაწესებულებებისთვის, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა თანამშრომლად ჰყავდეთ პროფესიონალი კონსერვატორი-მრჩეველები ან დაამუშაონ საგანგებო ვითარებაში რეაგირების სრულფასოვანი საკონსერვაციო გეგმები.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

National Task Force on Emergency Response
Suite 602
3299 K Street, NW
Washington, DC 20007
USA

Tel.: (+1-202) 625-1495

Fax.: (+1-202) 625-1485

FEMA Internet: <http://www.fema.gov>

NIC Internet: <http://www.nic.org>

**მაგალითი: საშიშროებათა კონტროლის ჩარჩო,
კანადის ეროვნული არქივი**

კანადის ეროვნულმა არქივმა 1872 წელს მისი დაარსების შემდეგ მოიპოვა 60 მილიონზე მეტი ხელნაწერი და სამთავრობო საბუთი, უთვალავი რუკა, ნახატი, ტილო, სხვადასხვა საგანი და აუდიო-ვიზუალური მასალა. ამ კოლექციიდან ყველაზე უმნიშვნელოვა-

ნესნი ინახებოდა ოტავაში, ველინგტონ სტრიტზე (Ottawa, Wellington Str 395). ეროვნულ არქივს, როგორც ყველა ფედერალურ უწყებას კანადაში, გააჩნია კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება დაიცვას „ეროვნული საგანძური“ საგანგებო ვითარების შემთხვევაში.

1990 წლის ივლისში ველინგტონ სტრიტზე შენობა გახეთქილი მილის მიზეზით დაიტბორა, რამაც დააყენა საგანგებო ზომების ადეკვატურობის შემოწმების საკითხი. 1993 წლის ნოემბერში შეიქმნა შიდა საშიშროების კონტროლის ორგანიზაცია (Internal Disaster Control Organization), რომელიც მოსალოდნელი კატასტროფებისადმი მზადყოფნის დაგეგმვისას გაუნელებელ სიფხიზლეს უნდა ემსახურებოდეს.

საშიშროების კონტროლის ჩარჩო ძირითადად საგანგებო რეაგირებასა და საშიშროების კონტროლის ორ მეგზურ-ნიგნაკს ემყარება: ერთი მათგანი ეროვნული არქივის 22-ე შენობიდან ყოველივესთვის საგანგებო რეაგირებას შეეხება, მეორე კი – ძირეული პრინციპს, რომელიც ყველა მათგანს მიესადაგება.

პირველი ნიგნაკი შეიცავს ისეთ პროცედურებს და პოლიტიკას, რომელიც ეროვნული არქივის ყველა სადგომისთვისაა გამოსაყენებელი. ყოველი შენობისთვის სახელმძღვანელო გამიზნული ნიგნაკი პერსონალის ნუსხას, დაფერილ იატაკის გეგმას, რომელნიც მიუთითებს კოლექციების გადარჩენის პრიორიტეტებს, საგანგებო ვითარებაში სხვადასხვა საქონლისა და სამსახურებით უზრუნველმყოფთა ნუსხას, სახიფათო ნაწარმის ნუსხას და შენობის მექანიკური ნაწილის მოკლე აღწერილობას. სხვადასხვა დაზიანებული მასალის დამუშავების პროცედურებს. ამ სახელმძღვანელოებს და ჩარჩო სხვა ელემენტების ეფექტური გამოყენება ხუთ საკვანძო ფაქტორზეა დამოკიდებული:

- ნვრთნა და გაცნობიერება საგანგებო ვითარებაში მთელი პერსონალის ავტომატური და სწრაფი რეაგირება. „რეაგირების ჯგუფის“ წევრები გადაიან გადარჩენის ტექნიკის საბაზო და მეორე საფეხურის კურსებს, სწავლობენ უსაფრთხოებისა და სამედიცინო ზომებსა და საგანგებო ვითარებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობის გამოყენებას;

- აუცილებელია რეგულარული ვარჯიში, რომელიც მოიცავს დაგეგმვის სავარჯიშოებს, სასწავლო განგაშსა და საკონტაქტო ნუსხების პერიოდულ გადამოწმებას;

- სამ თვეში ერთხელ იმართება საშიშროების კონტროლის

ორგანიზაციის შეხვედრა – რათა წევრები მუდამ საქმეში იყვნენ ჩართულნი, აცნობიერებდნენ თავის როლსა და პასუხისმგებლობას და გაცნობილი იყვნენ უახლეს ამბებს;

– უპირატესი პრიორიტეტი პრევენციას ენიჭება. უმთავრესი ყურადღება ეთმობა უბედური შემთხვევების ალბათობის აღმოფხვრასა ან შემცირებას, მათ შორის შენობებში ძველებური დამხარე სათავსების შემოწმება და ხარვეზების გამოსწორება;

– განუწყვეტელი ინფორმირება, რაც უზრუნველყოფს სახელმძღვანელო წიგნაკების მუდმივ დამუშავებას, მათი სიხისტეს მოკლებული ფორმატი კი აადვილებს ინფორმაციის განახლებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Carole Beauvais

Director

National Archives of Canada

395 Wellington Street

Ottawa, Ont. K1A 0N3

Canada

Tel.: (+1-613) 995 5138

Fax.: (+1-613) 995 6274

Internet: <http://www.archives.ca>

E-mail: cbeauvais@archives.ca

მაგალითი: ევაკუაციის გეგმა, ამერონგენის სასახლე, ჰოლანდია

1990 წელს ჰოლანდიის ხელისუფლებამ მიმართა თხოვნით ამერონგენის სასახლის (ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენობა ჰოლანდიაში) კურატორს მოემზადებინა საგანგებო ვითარების შემთხვევაში სასახლეში არსებული ნივთების საევაკუაციო სქემა. 1993 წლის დეკემბერში და 1995 წლის იანვარ/თებერვალში მომხდარმა წყალდიდობებმა ისევე როგორც დიდ ბრიტანეთში ჰემპტონ კოურტისა (1986) და აპპარკ ჰაუზის (1989) ხანძრების კვლევამ გაამკვეთრა ამ გეგმის (იგი მაშინ მუშავდებოდა) ფოკუსირება.

ამერონგენის სასახლის ევაკუაციის გეგმა ძალზე პრაგმატულია და შეიცავს მრავალ პრაქტიკულ რეკომენდაციას. მათ შორი-

საა დიდი ზომის ფლიპჩარტების (კედელზე გასაკრავი ქალაქები) გამოყენება, რომლებიც შეგვასხევენს სასწრაფო რეაგირების ნაბიჯებს; საგანგებო შეტევის გეგმის დაწვრილებით აღწერა, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ სახანძრო რაზმთან სრული თანამშრომლობით (გეგმა შეიცავს ინსტრუქციებს მანქანების სადგომის, წყლით მომარაგების და აგრეთვე მუდმივი წვრთნების შესახებ, მოთხოვნა ნელი, გამომწველვითი – თითქმის არქეოლოგიური - განმენდისა, სწრაფი მოწესრიგების საპირისპიროდ (რაც გარდუვალად იწვევს დიდძალი ისეთი მასალის დაკარგვას, რომლის გადარჩენაც შესაძლებელი იყო); ფაზებად დაყოფილი ევაკუაციის პრიორიტეტების გეგმა (რა უნდა იქნას გატანილი თუ 5 წუთია დარჩენილი, თუ 15, ან 30 და ა.შ).

ევაკუაციის გეგმაში მინიშნებული უნდა იყოს ოთახებში არსებული თითოეული საგნის პრიორიტეტულობა მათ გასატანად გადარჩენისათვის დარჩენილ დროში. ამერონგენის სასახლის მაგალითით ვიცით, რომ მხოლოდ ადგილობრივი სახანძრო რაზმისთვის გადამწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის მინდობა არ შეიძლება. რადგან ისინი, ალბათ, უბედურების შემთხვევაში დაიწყებენ მხოლოდ დიდი ნივთების გატანას.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Andre van der Goes,
Curator Amerongen Castle
Stichting Slot Zuylen
Tournooiveld 1
3611 ASOud-Zuilen
Netherlands

Tel: (+31-30) 440 255
Fax: (+31-30) 244 3907

**მაგალითი: დუბროვნიკი. კულტურული მემკვიდრეობის
ობიექტები, რომლებიც დაზიანდა დაბომბვის შედეგად**

ერთი ამკარად სასიკეთო შედეგი UNESCO-ს ჩარევისა 1991 წლის დეკემბრიდან 1992 წლის მარტამდე დუბროვნიკის დაბომბვის შედეგების გამოსწორებაში იყო პუბლიკაციის გამოცემა,

რომელმაც დაადასტურა კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება და შემოგვთავაზა შეკეთების ხარჯების მიახლოებითი ზოგადი განფასება. პუბლიკაციის გამოცემა განახორციელა დუბროვნიკის კულტურული ძეგლების და გარემოს დაცვის ინსტიტუტმა (Protection of Cultural Monuments and Natural Environment of Dubrovnik), ხორვატიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუტმა (Institute for the Protection of Cultural Heritage of the Republic of Croatia) და დუბროვნიკის რეაბილიტაციის ექსპერტთა მრჩეველთა კომისიამ (Expert Advisory Commission for the Rehabilitation of Dubrovnik) და UNESCO-ს ეროვნულმა კომისიამ (National Commission of UNESCO). ამ წიგნის გამოცემამ შეკეთებათა დაგეგმარებას ხელშესახები საფუძველი გაუწინა და ამით საფუძვლიანი დახმარება გაუწია აღდგენით ღონისძიებებს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ილუსტრაცია ფრონტისპირია: ქალაქის გეგმა, რომელზეც დატანილია დაბომბვის შედეგად მიყენებული ზიანი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი „დარტყმების“ რეგულარული ურთიერთდაცილება მჭევრმეტყველად მეტყველებს, რომ ნგრევის მასშტაბი წინდაწინ იყო განზრახული.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

State Agency for the Protection of Cultural and Natural Heritage

Ministry of Culture and Education

Ilica 44

Zagreb, Croatia

Tel: (+385-41) 427 200

Fax: (+385-41) 426 386

მაგალითი: ICOM-ის საშიშროებისთვის მზადების

სახელმძღვანელო პრინციპები მუზეუმებში

ვინაიდან პრევენციული ორიენტაცია დიდად პირველობს საგნებისა და კოლექციების კონსერვატორთა შორის, არაფერია გასაკვირი, რომ სხვებზე მეტად ICOM-ი სთავობს მუზეუმებისა და გალერეების მენეჯერებისთვის საშიშროებისთვის მზადების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას. ICOM-ის პრინციპები, რომლებიც

მოცემულია მე-12 თავში „საგანგებო დაგეგმარება“ და ქმედებები – მუზეუმების უსაფრთხოება და დაცვის ნიგნში „სახელმძღვანელო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაწესებულებებისთვის“, განკუთვნილია მენეჯერებისთვის, რომლებსაც სურთ ისარგებლონ მზადყოფნის უპირატესობით: შესძლონ ან საერთოდ აირიდონ კატასტროფა ან მისი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა. „პრინციპები“ წარმოადგენს შესანიშნავ ნიმუშს მზადყოფნის ყოვლისმომცველი გეგმებისა დაწესებულებებისთვის, რომელშიც სრულადაა ინტეგრირებული ზრუნვა ადამიანებზე, საკუთრებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. დოკუმენტი აგრეთვე განსაზღვრავს დაცვის, საგანგებო რეაგირების პროგრამების და დაწესებულების მენეჯერების წვლილს, რომელთაც მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ საგანგებო ვითარებისთვის მზადყოფნის გეგმების სრული თანხვედნილობა. მცირე ზომის დაწესებულებაში შეიძლება მოხდეს ამ როლთა გარკვეულწილად შერწყმა, პასუხისმგებლობის სხვადასხვა სფეროზე ფოკუსირება ხელს უწყობს დაწესებულების შიგნით სასურველი ურთიერთმიმართებათა და მიზნების ცხადყოფას მზადყოფნის დაგეგმვაში. დოკუმენტი სთავაზობს მენეჯერებს რჩევას სამ კონკრეტულ სფეროში:

- პირველადი გადაუდებელი დაცვა (ითვალისწინებს საგანგებო ვითარებისთვის მოსამარაგებელ იარაღებსა და მექანიზმებს);
- საგანგებო ვითარების საფრთხის შეფასება ან რისკის გაანალიზება (ითვალისწინებს გრძელვადიან ზომებს რისკის გასააზრებლად და შესამცირებლად);
- და საგანგებო გეგმა (ითვალისწინებს დაწესებულებისთვის საგანგებო გეგმების წინასწარ დეტალურ მზადებას).

ის აგრეთვე შეიცავს სამოქმედო პრინციპების სერიებს, რომლებიც არსებითად კითხვარებია დაწესებულების მენეჯერებისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად. ესენი არის: საგანგებო რისკის ანალიზი-შეფასება, საგანგებო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები, საგანგებო გამოძახება-შეტყობინების პრინციპები და საგანგებო ვითარებისთვის საჭირო სამსახურები და მომარაგება. დოკუმენტი სრულდება 45 რეკომენდაციით – ესაა არსებითად საკვანძო პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია მუზეუმების ეფექტური დაცვის პროგრამის დასაგეგმად. დოკუმენტის კილო

- საკმაოდ პრაქტიკული და არაპათეტიკური - მენეჯერთა სასურველი ქცევის მესამე პიროში დახასიათებისაგან მომდინარეობს. აქ ფილოსოფიური მსჯელობა კი არ გვაქვს სხვადასხვა მიდგომის ღირსება-ნაკლოვანებაზე, არამედ პირდაპირი თქმა („საგანგებო პროგრამის მენეჯერი წყვეტს...“), რაც მკითხველს ქმედებისა და თანამოქმედებისკენ განაწყობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ICOM

Maison de l'UNESCO

1, rue Moillis

F-75732 Paris Codex 15

France

Tel : (+33-1) 4734-0500

Fax : (+33-1) 4306-7862

Internet: <http://www.icom.org/ICOM/>

მაგალითი : ევროსაბჭოს რეკომენდაციები ბუნებრივი კატასტროფებისაგან არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვაზე

ევროსაბჭომ არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი პირველად 1989 წელს, რაველოში, იტალიაში გამართულ კოლოქიუმზე შეისწავლა. ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შედგა ამ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, დაევალა შეემუშავებინა ტექსტი მინისტრთა საბჭოში წარსადგენად. საბოლოო რეკომენდაცია კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა 1993 წლის 23 ნოემბერს.

რეკომენდაცია (No.R(93) 9) „რეკომენდაციას აძლევს წევრ ქვეყანათა მთავრობებს მიიღონ ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ფინანსური, საგანმანათლებლო და სხვა შესაბამისი ზომები და აქციონ არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია მათი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად“. მას დანართის სახით მოყვება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული ფუძე-პრინციპების და ზომების ჩამონათვალი. მათ შორისაა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს ჩამოყალიბება კატასტროფებისგან დაცვის მიზნით, შესაბამისი ფინანსური და სადაზღვევო

ზომების ჩამოყალიბება, განათლება და წვრთნა, რისკის შეფასება და საშიშროების პრევენციის და შერბილების სტრატეგიები. რიგი ტექნიკური დამატებებისა, რომელნიც მოყვება რეკომენდაციას, ეთმობა საშიშროების პრევენციის და შერბილების ზომებს ორგანიზაციულ დონეზე, ხანძარსაწინააღმდეგო ზომებს, მინისძვრებთან, ვულკანებთან, ცუნამთან, წყალდიდობებთან, შტორმთან, ზვავებთან და მენყერებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ზომებს.

ევროპის საბჭომ შეიმუშავა ასევე დიდად ფასეული ორი პარალელური რეკომენდაცია, რომლებიც ეთანადება საშიშროებისათვის მზადყოფნის საკითხს: არქიტექტურული მემკვიდრეობის ფიზიკური მდგომარეობის დაბინძურების შედეგად გაუარესების მაკონტროლებელი რეკომენდაცია (No.R(88)5) და რეკომენდაცია კულტურული მემკვიდრეობის უკანონო ქმედებებისგან დაცვის შესახებ (No.R(96) 6). ევროსაბჭოს რეკომენდაცია ბუნებრივი კატასტროფებისგან არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ამ სახელმძღვანელოსთვის განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგა.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Jose Maria Ballester
Cultural Heritage Division
Council of Europe
F-67075 Strasbourg Codex
France

Tel: (+33-3) 8841-3664

Fax: (+33-3) 8841-2755

Internet: <http://www.coe.fr>

**მაგალითი: დაცავი შენი ღირსშესანიშნავი ადგილი:
ბუნებრივი კატასტროფებისგან მოყენებული ზიანის
აღდგენითი სამუშაოები და საბაზისო მზადყოფნა**

სამზადისის შესახებ ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების გადაუდებელ ღონისძიებათა ფედერალური სამენეჯმენტო სააგენტოს (FEMA) მიერ 1990-იან წლებში ნიუ ინგლანდში (New England), აშშ, მომხდარი კატასტრო-

ფების შემდეგ, ნანტუკეტის (Nantucket), მასაჩუსეტის (Massachusetts) და მონტპელიერ (Montpelier), ვერმონტის ისტორიულ რაიონებში.

1991 წელს, 30 ოქტომბერს საშინელმა ზამთრის შტორმა გადაუარა ნანტუკეტს, პირველ ისტორიულ რეგიონს, რომელიც იქნა შეტანილი ამერიკის ისტორიული ადგილების ნუსხაში. უზარმაზარი ტალღა დაატყდა ქალაქის ნავსადგურს, ქალაქის ცენტრს და დატბორა ბევრი ისტორიული შენობის საძირკველი. ბევრი ნაპირზე მდებარე კოტეჯი და სახლი მოგლეჯილ და განადგურებულ იქნა. შტორმის მიერ მიყენებული ზიანი იმანაც გაზარდა, რომ გაფრთხილების შემდეგ ოციოდ წუთში მოადგა ქალაქს.

1992 წელს, 11 მარტს ყინულოვანმა შტორმმა ქალაქი მონპელიეს, ვერმონტი, ვინოოსკი რივერზე მთლიანად დატბორა ცენტრი, მათ შორის 100-ზე მეტი ისტორიული შენობა, რომელიც შედიოდა ისტორიული უბნების ეროვნულ რეესტრში. საგანგებო ვითარებისთვის მზადყოფნის გეგმის არქონის გამო მონპელიე ვერ იყო მომზადებული ამ კატასტროფისგან თავდასაცავად.

ამ ორი კატასტროფის შემდეგ კატასტროფებზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელმა ადგილობრივმა მოხელეებმა მოითხოვეს ტექნიკური დახმარება FEMA-სგან. FEMA-ს სახელმძღვანელო ამ მოთხოვნის პასუხად იქნა შემუშავებული. ის ამახვილებს ყურადღებას „კატასტროფის შერბილებაზე“ - პრაქტიკულ პრევენციულ ზომებზე, რომლებსაც შეუძლიათ კატასტროფის მიერ მიყენებული ნგრევის და ზიანის შემცირება. კატასტროფის მიერ მიყენებული ზიანის შერბილება ოთხ სფეროში იქნა ნაკვლევი:

- გამძლეობა – შენობის გამაგრება უბედურების პირისპირ არასაკმაო მდგრადობის გასაბათილებლად;
- სამშენებლო ზომები – კატასტროფების დროს ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საგანგებო ვითარების მენეჯმენტი – წინასწარი მოსამზადებელი და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა;
- მინის მენეჯმენტი – პოტენციურად საშიში ადგილების გამოყენების ლიმიტირება.

სახელმძღვანელო აცნობს მკითხველს საგანგებო ვითარებისთვის მზადების სამ ფაზას – სახელდობრ: საშიშროებამდე – რისკის შეფასება, ზიანის შერბილება და საგანგებო სიტუაციისთვის

მზადება; მის დროს – დაცვა; ხოლო შემდეგ – სტაბილიზაცია და აღდგენა.

ყოველი პროექტის განხილვისას განსაზღვრავს საჭირო ნაბიჯებს, მათთან დაკავშირებულ კრიტიკულ საკითხებს და დამატებითი ინფორმაციის წყაროებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

FEMA

500 C ST.SW

Washington, DC 20472

USA

Tel : (+1-202) 646 3692

Fax : (+1-202) 646 4060

Internet:<http://www.fema.gov>

II. ქაბლზე ორიენტირებული სპეციფიკური სტრატეგიის შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რისკისათვის მზადყოფნის ბასაუმჯობესებლად

თავი 5 ხანძარი

5.1 ქაბლისთვის მიყენებული ზიანი

ხანძარს დიდი პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანის მიყენება შეუძლია კულტურული მემკვიდრეობისთვის. ქვევით განხილულია ცეცხლისგან მიყენებული ზიანის ძირითადი ტიპები.

5.1.1 შენობებისა და მათში არსებული ნივთებისთვის მიყენებული ზიანი

- ნივთების და შენობის ნაწილების მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება წვის შედეგად.
- კონსტრუქციის, შიდა მოპირკეთებისა და ნივთებისთვის მიყენებული ზიანი, გამოწვეული მცხუნვარების, კვამლის და წვის შედეგად წარმოქმნილი ჭვარტლით. განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან ორგანული წარმოშობის მასალები, როგორცაა ხე, თუმცა მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება შეცვალოს არაორგანული წარმოშობის მასალათა სტრუქტურული გამძლეობა, რაც ვიზუალურად შეიძლება არ გამოჩნდეს.
- ცეცხლის გავრცელებასთან ბრძოლისას გამოყენებული წყლის ზემოქმედებით მიყენებული ზიანი.

5.1.2 ისტორიული უბნების დაზიანება

- შენობებისა და ნივთებისთვის მოყენებული ზარალი, რომელიც აღწერილია 5.1.1 ნაწილში.
- მუნიციპალური ინფასტრუქტურების განადგურება, განსაკუთრებით ელექტრო და სხვა კომუნიკაციების, ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემების. ასეთი სისტემების დაზიანებამ შეიძლება დააჩქაროს ხანძრის გავრცელება.

5.1.3 კულტურული ლანდშაფტებისა და არქეოლოგიური ტერიტორიებისთვის მოყენებული ზიანი

- კულტურული ლანდშაფტებისა და არქეოლოგიურ ტერიტორიებზე განლაგებული შენობებისა და ობიექტების დაზიანება აღწერილია 5.1.1 და 5.1.2 ნაწილში.
- ხეების, ნათესების და მცენარეების განადგურება.
- მწერების, ფრინველების, ცხოველების და მათი საცხოვრისის განადგურება.
- წყალდიდობისა და მენყერისგან მეორადი დაზიანების საფრთხის ზრდა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ზედა საფარს მოკლებული სერებიდან და ტყეებიდან გაზრდილმა ჩამონადენმა.

5.2 ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციის სტრატეგიის შემუშავება

ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციის სტრატეგიას, როგორც ნათელყო ჰემპტონ კორტის (1986) და აპპარკის (1989 წ. – ეს ეროვნული ფონდის (Trust) კუთვნილი ნაგებობაა) გამანადგურებელმა ხანძრებმა, ან კიდევ 1995 წლის ზემომოყვანილმა მაგალითმა, შეუძლია შეამციროს კულტურული მემკვიდრეობის პოტენციური დაზიანება. ეს მოითხოვს როგორც ხანძარსაწინააღმდეგო ზომებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების დიდ ძალისხმევას. მათ უნდა იმუშაონ ერთობლივად, რათა შეიმუშაონ ანონ-დანონილი სტრატეგია, რომელსაც შეეძლება თანაბრად დაიცვას ადამიანთა სიცოცხლე, მათი ქონება და მემკვიდრეობა.

5.2.1 სტრატეგიის შემუშავების პასუხისმგებლობა

საზოგადოდ, კონკრეტული შენობის ან მემკვიდრეობის ობიექტის ხანძრისგან დაცვის პასუხისმგებლობა ერთ რომელიმე პირს აკისრია. ხანძრის პრევენციული ზომების გამძლე უნდა დაინიშნოს დირექტორის მიერ. იგი შეიძლება შენობაში უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვასა და ზოგად უშიშროებაზეც იყოს პასუხისმგებელი. იგი ვალდებულია სახანძრო რაზმის წარმომადგენლებთან და პროფესიონალ მრჩეველებთან (არქიტექტორებთან, ინსპექტორებთან, ინჟინრებთან, დაგეგმარების სპეციალისტებთან და ისტორიული შენობების სპეციალისტებთან) და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს ხანძრის პრევენციის სტრატეგიის გეგმის ყველა ასპექტი. სტრატეგია მუდმივად უნდა განიხილებოდეს და მონმდებოდეს, უნდა ხდებოდეს ყველა ქმედების აღწესება. ამ პირმა უნდა უზრუნველყოს საბოლოო სტრატეგიაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სრული ინტეგრაცია.

5.2.2 სტრატეგიის ელემენტები

რაღაც ხანძარსაწინააღმდეგო ზომები ჩვეულებრივ ყველა შენობაში მოიპოვება ხოლმე, რადგან დასახლებულ ადგილებში ხანძრის რისკი ძალზე დიდია. ეს ზომები ხშირად ვერ პასუხობს იმ ყველა აქტიურ და პასიურ ზომას, რომელთა მეშვეობით შეიძლება მოხდეს ძეგლების დაცვის გაუმჯობესება. ხანძრის ეფექტური პრევენციის და შერბილების სტრატეგია უნდა შეიცავდეს საორგანიზაციო, ტექნიკური და ფიზიკური სფეროების მრავალგვარ დამატებით გათვალისწინებულ ზომებს. ამას გარდა, ძეგლის ისტორიული ფასეულობების დაცვის კონკრეტული მიზნები ნათელყოფილ უნდა იქნეს.

5.3 რისკის შემცირება

- საფრთხის, ნაკლები მდგრადობისა და რისკის შესამცირებლად გამიზნული მცდელობა, რომელიც, ამდენად, ხანძრის გაჩენის ალბათობის შემცირებაც არის, უნდა მოიცავდეს შენობის მხოლოდ იმ მიზნებით გამოყენებას, რასაც დასაშვები რისკი ახლავს;

- შენობაში ხანძრის გაჩენის პოტენციური წყაროების შემო-
ცირებას;
- გულდაგულ მოვლა-პატრონობას იმ პირობების ასარიდებლად,
რაც გაზრდიდა რისკს.

ისტორიული ობიექტებისთვის:

- ასეთი გამოყენება, რომელიც განსაკუთრებით ზრდის ხანძრის
რისკს (მაგ., რესტორნის სამზარეულოს მოწყობა) ან არ
უნდა იყოს დაშვებული, ან, თუ დავუშვით, გულდაგულ უნდა
კონტროლდებოდეს.
- შემონახვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა
მიექცეს გაყვანილობები მდგომარეობას, განსაკუთრებით
ელექტროგაყვანილობის სისტემას, რომელთა ყველაზე სუსტი
კომპონენტების დანახვა შეიძლება გაგვიჭირდეს.

5.3.1 ცეცხლგამძლეობის გაძლიერება

- შენობის ცეცხლგამძლეობის ან გაძლიერების მცდელობა უნდა
მოიცავდეს შემდეგს:
- შენობაში ძნელად აალებადი ან არაალებადი მასალების
გამოყენება ამცირებს ცეცხლის ერთი სივრციდან მეორეში ან
ერთი შენობიდან მეორეზე გავრცელების ხარისხს;
- შესაძლებლობისდა მიხედვით უსაფრთხო გასასვლელების
მოწყობა;
- საგანგებო რეაგირების მოწყობილობების ინსტალაცია, რომელ-
თა გამოყენება განვრთნილ პერსონალს დაევალება, მათ შორის,
ცეცხლის საქრობები, ქვიშით ან წლით საგვს ვედროები და
- ავტომატური სისტემები – მათ შორის, წყლის განმფრქვევები
და სხვა ხანძრის ჩამხშობი სისტემები, რომლებიც კვამლზე და
სიმხურვაზე რეაგირებენ.

ისტორიული ობიექტებისთვის:

- სამშენებლო ზომებმა (წყლის განმფრქვევი სისტემების და ხან-
ძრის შესაყოვნებელ კარების და ტიხრების ჩათვლით) მინი-

მალური გავლენა უნდა მოახდინონ ისტორიული შენობების არქიტექტურულ და ესთეტიკურ ღირებულებებზე;

- ცეცხლის საქრობები და სხვა სწრაფი რეაგირების საშუალებები ისე იქნას შერჩეული, რომ ჩამქრობმა ნივთიერებამ მინიმალური ზემოქმედება მოახდინოს ისტორიულ შენობასა და მის შიგთავსზე.

5.3.2 ხანძრის აღმოჩენა და მონიტორინგი

- ადეკვატური ხანძარსაწინააღმდეგო მონიტორინგის სისტემები უნდა მოიცავდეს:
- სენსორებსა და მონიტორებს, რომლებიც ადრევე აღმოაჩენს კვამლსა და სიმხურვალეს; და
- მონიტორინგის სისტემებს, რომლებიც რეაგირებას მოახდენენ არასასურველ პირთა „შეჭრებზე“, რადგან არსებობს ვანდალიზმის ან ცეცხლის წაკიდებასთან დაკავშირებული საშიშროება.

ისტორიული ობიექტებისთვის:

- ხანძრის დეტექტორები და გამაფრთხილებელი სისტემები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ შენობის ინტერესზე მინიმალური ვიზუალური გავლენა მოახდინონ.

5.4 ხანძარზე რეაგირების გეგმის შემუშავება

- მოზინადრეთა, მომხმარებელთა და სახანძრო ბრიგადების მზადყოფნის გაუმჯობესების მცდელობა ხანძარსაწინააღმდეგო გეგმის ერთობლივად შემუშავების გზით, რომელიც მოიცავს:
- ხანძარზე რეაგირების ამომწურავი გეგმის შემუშავებას, რომელიც დეტალურად გაითვალისწინებს ხალხის, მნიშვნელოვანი ნივთების, კოლექციების და მონუმენტების დროული ევაკუაციის მოთხოვნილებებს; ზუსტად უთითებს, სად არის მემკვიდრეობის ობიექტისა და წყლის მარაგის მისაღვომები; ყურადღებას გაამახვილებს შენობის იმ მონაკვეთებზე რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვას; რასაც უნდა დაემატოს:

- მოზინადრეების და სახანძრო რაზმის წვრთნა, მათი მოვალეობის და პასუხისმგებლობის გარკვევა ხანძარზე რეაგირების გეგმის განხორციელებისას.

ისტორიული ობიექტებისთვის:

- მოხდეს შენობის მტვრევადი, მნიშვნელოვანი და ღირებული დეტალების, მოსართავების და ნივთების აღნუსხვა და აზომვა. ეს კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ და შედეგად მიღებული დოკუმენტაცია უნდა ჩაერთოს რაზმთან თანამშრომლობით დამუშავებულ კოლექციების ევაკუაციის იოლად მისაწვდომსა და უსაფრთხო გეგმაში. გეგმა აუცილებლად უნდა მიუთითებდეს, რას უნდა მიეცეს გატანისას პრიორიტეტი (თუ არჩევანის აუცილებლობა დადგა).
- რეაგირების გეგმამ უნდა ნათელყოფდეს საგანგებო სიტუაციებისას მნიშვნელოვანი ობიექტების გატანასა და ზრუნვაზე პასუხისმგებლობასა და პროცედურებს. გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს გასატანი ნივთებისთვის უსაფრთხო საცავის გამოყოფასა და ხმარებას.
- მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ წინასწარი წვრთნის დროს განისაზღვროს ცეცხლისა და კვამლის განეიტრალების ისეთი სტრატეგია, რომელიც მინიმალურ ზიანს მიაყენებს ისტორიულ შენობას; და
- მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ სახანძრო რაზმი კარგად იცნობდეს მემკვიდრეობასთან მოპყრობის საგანგებო წესებს, რომლებიც განსაზღვრულია ხანძარზე რეაგირების გეგმაში.

შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მენეჯერმა ყველაფერი უნდა ილწონოს, რათა უზრუნველყოს ხანძრისგან დაცვის და ზიანის შემარბილებელი სტრატეგიის მუდმივი მონიტორინგი და მოდერნიზაცია.

ისტორიული ობიექტებისთვის მნიშვნელოვანია ხანძრის პრევენციის და შემსუბუქების სტრატეგიების მოქნილი მოშველიება. უსაფრთხოების მოწყობილობათა გარე იერი უნდა ითვალისწინებდეს ძირითად მოთხოვნებს და, ამავე დროს, მინიმალურად აზარალებდეს ისტორიული სტრუქტურების ხასიათს. ყველა კონსტრუქციული ცვლილება და მექანიკური, ელექტრო ან სხვა

სისტემების დამონტაჟება, რომელიც დაკავშირებულია ხანძრის პრევენციასთან, აღმოჩენასა და მასთან ბრძოლასთან იმ ოდენობით უნდა ხდებოდეს, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. ინდივიდუალური სტრატეგიები, რა თქმა უნდა, გარემო პირობებისდა მიხედვით, სხვადასხვა იქნება, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში მახვილი უფრო პრევენციაზე, მზადყოფნაზე, სიფხიზლეზე, კერის ადრეულ აღმოჩენაზე, ევაკუაციისა და ცეცხლთან ბრძოლის პროცედურების წესისამებრ ჩატარებაზე უნდა გაკეთდეს ვიდრე კონსტრუქციულ ცვლილებაზე.

ხანძრის პრევენციის და ზიანის შერბილების საუკეთესო სტრატეგია ისტორიული შენობებისთვის ის სტრატეგიაა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ხალხის, ნივთების და შენობების დაცვისთვის წამოყენებულ სტანდარტებს მემკვიდრეობისმიერი ღირებულებებისადმი მინიმალური ზიანის მიყენებით და უმცირესი ხარჯებით. ბიუჯეტის შედგენისას, მიუხედავად ამისა, პრიორიტეტული უნდა იყოს აღნიშნული სტრატეგიების დანერგვის სრულად დაფინანსება; სტრატეგიის ხარჯზე მომჭირნეობას შეუძლია მოკლევადიანი ეკონომია მოგვცეს, მაგრამ დროის დიდი მონაკვეთისთვის გაცილებით დიდი დანაკარგების მომტანი იქნება.

5.5 სტრატეგიის ჩამოყალიბება: ტექნიკური და გეგმარებითი ზომები

შემდეგი განაკვეთები გვაცნობს სპეციფიურ ტექნიკურ და გეგმარებით ზომებს, რომელნიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ხანძრის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებისას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კითხვარი ასეთი სახის ხანძრის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებისას.

5.5.1 რისკის მინიმიზაცია

გამოვლენილ უნდა იქნას აალების პოტენციური წყაროები, ისინი ან უნდა მოისპოს, ან მინიმიზებულ უნდა იქნას მათგან გამოწვეული საფრთხე. ხანძრის წყარო შეიძლება გახდეს ადამიანთა შეცდომა ან დაუდევრობა, ღია ალი (სანთლები, აირის მანათობლები, გაზის სამზარეულო ქურები), მოძველებული და გაცვეთილი

ელექტრო დანადგარები და გაყვანილობის სისტემები, ძველი ან სახელდახელო გათბობის სისტემები, მოძველებული ან მოუვლელი ბუხრები, სანმენდი ქიმიკატები, საღებავები და ა.შ.

- განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთ სარემონტო სამუშაოებს, როგორცაა შედუღება, საღებავის მოცილება, სადურგლო სამუშაოები, რომელთაც, თუ გულმოდგინედ არ იქნა მართული, შეიძლება აალების შანსი გაზარდონ.
- შენობა მთლიანად უნდა სუფთავდებოდეს ნარჩენებისა და ნაგვისგან. მანსარდები, სარდაფები, კიბის უჯრედები, კიბის ქვეშა სივრცეები, კარადები, ცარიელი საკუჭნაოები და სახელოსნოები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და დაიცალოს უსარგებლო მასალისგან და დაცული იქნას სისუფთავე.
- დარწმუნდით, რომ რეგულარულად ხდება ელექტრო-გაყვანილობების, წრედების აღჭურვილობის შემოწმება, რიგიანად შეკეთება და დათვალიერება. არ უნდა ხდებოდეს მავთულების და ელექტრო გაყვანილობების გადატვირთვა; სისტემატურად შეცვალებული უვარგისი აღჭურვილობა და მავთულები. უკეთესია, თუ მთავარ ელექტრო მიმღებს, გადამრთველებს და დამცველებს განცალკავებულ, ცეცხლგამძლე კონტეინერებში ან ოთახებში განათავსებთ.
- მოერიდეთ „ღია“ ცეცხლის მქონე გასათბობლებსა და სანათურებს, მაგ., სანთლებს, ჩირაღდნებს, გაზის მანათობლებს ან ქურებს. იქ სადაც მათი განთავსება დაშვებულია, უნდა ხდებოდეს მუდმივი მონიტორინგი, მკაცრი კონტროლი, ხოლო თუ მათ მეთვალყურე არ ჰყავს, უსაფრთხოების ფარია განსათავსებელი. ცეცხლთან ბრძოლისთვის შესაფერისი აღჭურვილობა უმჯობესია სარისკო ადგილებთან ახლოს იყოს.
- ისტორიულ ობიექტებზე მიეცით უფლება სარემონტო და შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების მხოლოდ განაფულ მუშაკებს უნდა გაეცეს. მათ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ შენობის და მისი გამართულობის მნიშვნელობა და მუშაობდნენ პერსონალის დანიინაურებულ, პასუხისმგებლობით აღჭურვილი წევრის მეთვალყურეობით.
- გულდასმით მივადევნოთ თვალი ნებისმიერ სამუშაოს. ცხელი დამუშავება (მირჩილვა, შედუღება, საღებავის მოცილება და ა.შ.) მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს დაშვებული, თუ

სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ნებისმიერი სახის ცხელი დამუშავებისას უნდა იქნას მიღებული ნებართვა, რითაც განისაზღვრება და კონტროლდება პასუხისმგებელი მხარეები, სამუშაოს რაობა, ადგილი და ხანგძლივობა, და რომელიც უზრუნველყოფს აალებადი მასალების მოცილებას ან დაცვას. უნდა მოენყოს ცეცხლის ჩამქრობი საშუალებები და გამაფრთხილებელი სისტემები; მუშაობა მუდმივი მეთვალყურეობისა და მონიტორინგისას ტარდებოდეს, მუშაობის შემდგომ პერიოდში კი უნდა მოენყოს შემონმება.

- დასაყენებელია ჯეროვნად გაფორმებული და მოვლილი მეხამრიდები (გადამყვანები ან ზოლები).
- რეგულარულად გასუფთავდეს საკვამურები. მოწესრიგებული უნდა იყოს ყველა ღუმელი და საკვამლე მილი და გასასვლელი. ყველა ქურა და გამათბობელი, წყლის გამაცხელებლები და საცეცხლები რეგულარულად უნდა იყოს მოვლილი, გაცლილი აალებადი მასალებისგან და, თუ შესაძლებელია, ჰქონდეთ ცეცხლგამძლე და უსაფრთხოების ფარები. სამზარეულოებს, გამათბობელ მონყობილობებს, წყლის გამაცხელებლებს თუ საცეცხლე სადგომებს მუდამ უნდა ახლდეს შესაბამისი ცეცხლსაწინააღმდეგო ალჭურვილობა და ამ სადგომებში არ შეიძლება რაიმეს შენახვა.
- აიკრძალოს მონევა ისტორიულ შენობებში ან საამისოდ მიუჩინეთ განსაკუთრებული, ცეცხლისგან დაცული ოთახები ან ადგილები, სადაც იქნება ცეცხლსაწინააღმდეგო და განგაშის მონყობილობა.

წინასწარი ზომებია მისაღები ცეცხლის წაკიდების წინააღმდეგაც, განსაკუთრებით დამხმარე სათავსებში გარეშე პირთაგან არავინ უნდა შედიოდეს. უნდა ხდებოდეს დროებითი პერსონალისა და დამთვალეირებელთა შემონმება და მეთვალყურეობა, არც წვადი თუ ნარჩენი მასალები უნდა იყოს მისაწვდომი.

5.5.2 ხანძრის გავრცელების შეფერხება და მემკვიდრეობის ობიექტის დაცვა

ზოგ გარემოებებში, განსაკუთრებით გაყვანის უსაფრთხო და ადეკვატური საშუალებების უზრუნველყოფისთვის, სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ფიზიკური ზომები ხანძრის საქრობი და

მისი გავრცელების შესაზღუდავად. ასეთი ღონისძიებანი შეიძლება იყოს:

- შეძლებისდაგვარად, კიბის უჯრედების შემოსაზღვრა.
- ევაკუაციის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა, მაგ., ჰაერის დაწნეხვის სისტემა, რომელიც ხელს უშლის კვამლისა და ალის გავრცელებას.
- კვამლის ავტომატური გამწოვების და გასაყვანების ინსტალაცია, რომელიც აგრეთვე შესაძლებელს გახდის ცეცხლთან ბრძოლის საშუალებებთან მისვლის გაუმჯობესებას.
- კორიდორები, ახალი ტიხრებით, რომლებიც შენდება შენობის ნაწილებს ირგვლივ.
- შესაფერისი ცეცხლგამძლე, მათ შორის, ავტომატური კარები. ცეცხლის ჩამკეტნი და ალათებზე დასაკრავი არააალეზაბადი ზოლები, ასევე
- არააალეზაბადი სხვა მოსაპირკეთებელი მასალები ან ჩამოსხმული რკინის კოლონები.
- ჩვეულებრივი ელექტრო სისტემისგან დამოუკიდებელი ავტომატური სათადარიგო განათების და მანიშნებლების დამონტაჟება.
- ბარიერების აგება, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი არ შელახავს შენობის საერთო ხასიათს; მაგ., გაუტიხრავ სხვენზე ან დაკარგული ტიხრების ჩაშენებისას.
- ცეცხლის დამქრობი ავტომატური სისტემების გამოყენება, თუ ცხადია, რომ ისინი შეძლებს რისკის შემცირებას. მოცემულ ზონაში განგაშზე მოპასუხე სწრაფი რეაგირების თანამედროვე წყლის განმფრქვევი სისტემების მოშველიება, მისი რეგულარული მოვლა – ხარვეზთა ნაკლის ან დაზიანების დადგენა და აღმოფხვრა. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ამგვარი სისტემების ისტორიული შენობის ღირსშესანიშნავ მხარეებზე ვიზუალური ზემოქმედების შესამცირებლად. წყლის განმფრქვევი სისტემები შენობებში, რომელნიც ფაქიზი სამშენებლო ქსოვილის, მოპირკეთების, ავეჯის, ხელოვნების ნაწარმოებებს და ა.შ შეიცავენ, ასევე გაუნიავებელ არეებში, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მანსარდა, სხვენი, შპილი და კოშკი შესაფერი-

სი ადგილია წყლის ავზების და სხვა ვიზუალურად შემანუხებელი კომპონენტების ისტორიულ შენობებში დასაყენებლად.

- მშრალი განმფრქვევი სისტემების ინსტალირება მჭიდროდ დასახლებული ურბანული ზონების ვიწრო ქუჩების ფასადებზე ეხმარება ხანძრის გავრცელების კონტროლს.
- მოხდეს სადგომების ცეცხლის საქრობი ვედროებით და ხელის ცეცხლის საქრობებით განყოფილება, რომელნიც საერთო რისკისთვისაცაა გამოსადეგი და კერძო რისკისთვისაც. საქრობები რეგულარულად უნდა ინახოს და შემოწმდეს.

5.5.3 ხანძრის აღმოჩენისა და განგაშის სისტემები

ხანძრის ადეკვატური აღმოჩენისა და გამაფრთხილებელი სისტემების გამართვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

- ხანძრის აღმოჩენისა და განგაშის უძირითადეს სისტემებს ბგერით სიგნალს ავრცელებენ შენობაში, მაგრამ მათი მონიტორინგი არსად ხდება და ისინი დამუკიდებულნი არიან განვრთნილი პერსონალის სამედოობაზე და 24-საათიან სამუშაო გრაფიკზე.
- უკეთესია, თუ დაყენებული იქნება განგაშის ავტომატური სისტემები და ისინი დაკავშირებული იქნება განგაშის შეტყობინების ცენტრთან და ადგილობრივ სახანძრო რაზმთან. თითოეული დეტექტორის ადგილმდებარეობა მისაგნები უნდა იყოს. სისტემას უნდა შეეძლოს შეცდომების და ცრუ განგაშის გარჩევა. კვამლის, სიმხურვალის და ალის დეტექტორები შეიძლება იქნას დაინსტალირებული და განგაშის ცენტრთან დაკავშირებული ქსელის ან რადიო კავშირის მეშვეობით. დეტექტორების კონტეინერები თვალს არ უნდა ხვდებოდეს, შეძლებისდაგვარად მცირე ზომისა უნდა იყოს და მოყვანილობითა და ფორმით ისე უნდა იყოს მორგებული გარემოს, რომ მასზე უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინოს (ძალიან არ ჩანდეს).
- გარედან სიციხის დეტექტორი კაბელები უნდა გათვალისწინებული იქნას მხოლოდ ზოგ შემთხვევებში მაგ., თივის და ხის საფარის არსებობის.
- ყველა შემთხვევაში, დეტექტორები და განგაშის სისტემები ჯეროვნად და მუდმივად მოვლილი უნდა იყოს, შესაბამის პერსონალს კი ჰქონდეს მისი გაგებისა და მოხმარების ჩვევა.

5.5.4 რეაგირების გეგმის შემუშავება

ეფექტური ხანძარ-რეაგირების გეგმა მოითხოვს მის დამუშავებაში როგორც მობინადრეების, ასევე ხანძართან ბრძოლის სპეციალისტების ჩართვას და საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარებას რათა უზრუნველყოფილ იქნას გეგმის სრული განხორციელება. რეაგირების გეგმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ:

- ხელი უნდა შეეწყოს ისტორიული ნაგებობების პერსონალისა ანდა მაცხოვრებლების ხანძართან ბრძოლის უნარის განვითარებას, რისთვისაც მათ უნდა შეეთავაზოს გაცნობითი თუ ჩვევათა გამომუშავების რეგულარული, მონიტორინგებული პროგრამები.
- სადაც შესაძლებელია, მობინადრეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა სპეციალისტებთან ერთად ხანძართან ბრძოლის გეგმის შემუშავებაში, რათა მეტი იყოს გეგმასთან და მის ლონისძიებებთან მათი თანაზიარობა.
- წვრთნა უნდა შეიცავდეს ხანძრის გაჩენის სასწავლო განგაშს, რათა დადასტურდეს რეაგირების გეგმის ზომების ადეკვატურობა.
- რეაგირების გეგმაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული რეაგირებისას მობინადრეების, კულტურული მემკვიდრეობის პროფესიონალთა და სახანძრო რაზმის მოვალეობები. პასუხისმგებლობათა დანაწილება ჩაძიებით უნდა იქნეს შემონიშნული და სამომავლოდ მონიშნული ორი ჯგუფის მიერ.
- მნიშვნელოვანია საგანგებო შემთხვევების სამსახურებისთვის ყოველ დროს შესაფერისი მისასვლელების უზრუნველყოფა. უნდა შეირჩეს კარგად განსაზღვრული და შეძლების ფარგლებში საუკეთესოდ იქნას მოვლილი გზები და მისასვლელი ადგილები. იოლად დასაზიანებელ ბალებსა და ლანდშაფტებში საკმარისია მწვანე ბილიკები ვიქონიოთ.
- განსასაზღვრი და გეგმაზე დასატანია, მათ შორის, წყლის მარაგიც და წყლის ყველა ძირითადი წყარო: ქვები, რეზერვუარები, არხები, ტბორები და ტბები, საცურაო აუზები და ისეთი ბუნებრივი წყაროები, როგორიცაა მდინარეები, წყაროები, ფშები და ტბები.

- სადაც არ მოიპოვება ადვილად მისაწვდომი მარაგი, მოსაფიქრებელია, ხომ არ არის ის შესაქმნელი ანდა ხომ არ მოეწეოს საგანგებო საჭიროებისათვის შესაბამისი ტევადობის, შესაფერისად განლაგებული, თვალს მოფარებული ან კამუფლირებული ავზი.
- ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი შენობასთან თუ მის შიგნით უშუალოდ მისვლის საშუალებანი, მაგ., სახურავზე ჩასასვლელის მოწყობითა თუ კარების საგანგებო ვითარებაში გახსნა-გაღების უზრუნველყოფით.
- ძეგლის დოკუმენტაცია, რომელიც რეაგირების გეგმის შემუშავების საფუძველია, უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - რა არის ისე მნიშვნელოვანი შენობის მომცველ ლანდშაფტში, რომ იქ, რამდენადაც შესაძლებელია, არ უნდა გაიმართოს შენობასთან მისასვლელი;
 - რა ატრიბუტებია (ინტერიერისა და ექსტერიერის კაზმულობის, დეტალების, სივრცეთა და მორთულობათა ჩათვლით) მნიშვნელოვანი, ხასიათის განმსაზღვრელი, რათა მათ საგანგებოდ მოუფრთხილდენ რეაგირებისას; და
 - მოძრავი ატრიბუტები ინტერიერისა: ნივთები, ავეჯი, გამართულობა, კოლექციები მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას (სავარაუდოდ გასატანია) რეაგირების დროს.

უნდა დადგინდეს ლანდშაფტის თვისებების, ნაგებობის ატრიბუტებისა და შენობის მოძრავი ელემენტების მნიშვნელობათა იერარქია, რომელიც, შეძლებისდაგვარად, გეგმის ნაწილად უნდა იქცეს, რათა რეაგირებისას მინიმალიზებულ იქნას მნიშვნელოვანი თვისებების ან ნივთების დანაკარგი.

5.6 რეაბირება

ეფექტური რეაგირება, სავსებით აშკარად, ეფექტურ მზადებაზეა დამოკიდებული. ხანძრის დროს მობინადრეებს და ხანძართან მებრძოლ პროფესიონალებს არ ექნებათ დრო ხანძარსაწინააღმდეგო სტრატეგიების იმპროვიზირებისა და მოფიქრებისათვის. ისინი უნდა დაემყარონ უკვე ჩატარებულ სამზადისს.

რეაგირებისთვის მზადების გარკვევაში შემდეგი კითხვები დაგეხმარებათ:

5.6.1 ხანძარ-უსაფრთხოების მენეჯერისა და გუნდისთვის

- ✓ მომზადებულია თუ არა შენობისთვის თანამედროვეობის შესაფერისი რეაგირების გეგმები?
- ✓ იყო თუ არა იგი გადახედილი შესაბამისი ხანძარსა და სანაღმდეგო სამსახურების ან სახანძრო რაზმის წევრთა მიერ?
- ✓ დამაკმაყოფილებლად თუა ინტეგრირებული გეგმით დასახულ ღონისძიებებში ძეგლის ღირებულებებზე ზრუნვა?
- ✓ მიეწოდა თუ არა გეგმა შესასრულებლად მობინადრეთა და სახანძრო რაზმს?
- ✓ იყო თუ არა გეგმის ღონისძიებანი ტესტირებული და აპრობირებული წვრთნის ან სასწრაფო განგაშის დროს?

5.6.2 მობინადრეთათვის

- ✓ აქვთ თუ არა მობინადრეებს გაცნობიერებული მათი პასუხისმგებლობა ხანძრის შემთხვევაში?
- ✓ არის თუ არა მობინადრეთათვის რეაგირების გეგმა მუდამ ხელმისაწვდომი?
- ✓ გაეცნენ თუ არა ისინი გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და არიან თუ არა ისინი მზად მათი შესრულებისთვის?

5.6.3 ადგილობრივი მეხანძრეებისთვის

- ✓ ღირსშესანიშნავი ადგილის ხანძარუსაფრთხოების მენეჯერთან თანამშრომლობით თუ შეიმუშავეს და გადასინჯეს პასუხისმგებელმა მოხელეებმა ხანძარსა და სანაღმდეგო გეგმა?
- ✓ მისაღებია თუ არა მოხელეებისთვის ღონისძიებები, რომელნიც განსაზღვრავს მემკვიდრეობის ელემენტების გამართულობის თუ თვისებების მიმართ ყურადღებასა და ზრუნვას?
- ✓ აქვთ თუ რა სახანძრო რაზმის წევრებს გაცნობიერებული ხანძარზე რეაგირების გეგმის ღონისძიებები და ნათელია თუ არა მათთვის მათი ვალდებულებები გეგმის განსახორციელებლად?

- ✓ ხელმისაწვდომია თუ არა გეგმა დაუყოვნებლივი გამოყენების ან კონსულტაციის საჭიროებისას საგანგებო სიტუაციის დროს?

5.7 ალღენა

ცეცხლისგან მიყენებული ზიანის აღდგენითი სამუშაოების ადრეულ ფაზაში უნდა ჩატარდეს არსებული მდგომარეობის წინასწარული შეფასება, რათა სწრაფად მოხდეს გეგმის შედგენა სასწრაფო აუცილებელი განყარებითი სამუშაოებისათვის.

შეკეთების ან შემდგომი შესწავლისათვის ანალიზის საგანი უნდა იყოს:

- საჩქაროდ საჭირო ბიჯგებსა და საბჯენებზე მოთხოვნილება;
- ხანძრის შესაძლებელი მიზეზის გამოვლენა;
- კონსტრუქციული ელემენტებისა და სისტემების მდგომარეობა და სტაბილურობა;
- არაკონსტრუქციული ნაწილების და კაზმულობის მდგომარეობა;
- შენობის სისტემების და კეთილმოწყობის მდგომარეობა (ელექტრო მომარაგების სისტემა; წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია და ჰაერის კონდიციონირება (HVAC));
- შენობის საძირკვლის და მიმდებარე ნიადაგის მდგომარეობა;
- მნიშვნელოვანი ნივთების და მონყობილობების მდგომარეობა და იმ საგანთა გამოყოფა, რომლებიც საჭიროებენ გატანას ან სპეციალურ დამუშავებას ან ორივეს;
- პრევენციული ზომების ჩატარება ვანდალიზმისა და ძარცვისგან დასაცავად;
- რემონტისთვის საჭირო პირობების და შესაკეთებელი მასალების არსებობა;
- კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მისაწვდომობა, რომელნიც საჭიროა შეკეთებისა და რესტავრაციის განსახორციელებლად;

- არსებითი შეკეთებისა და მოდერნიზაციისთვის ექსპერტული მეთვალყურეობის დაწესების შესაძლებლობა;
- არსებული მდგომარეობის დეტალური შეფასების და ტესტირების საჭიროება.

თავდაპირველი მდგომარეობის შეფასების შემდეგ, საჭიროებისამებრ, ესა თუ ის შემდგომი ზომებია ჩასატარებელი. ზოგიერთი მათგანი ქვევითაა განხილული.

5.7.1 შენობა უნდა იქნეს სტაბილიზებული (გამაგრებული)

აქ მთავარია მოსახლეობის დაცვა და ხანძრის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა აღნუსხვის შემდგომ. ხანძრის ლიკვიდაციის სპეციალისტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ცეცხლი ეფექტურად არის დაქრობილი და გამორიცხებულია კვლავ აალების ალბათობა. უნდა იყვნენ მონვეული პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ შენობისთვის ხანძრის მიერ მიყენებული ზიანის შეფასების გამოცდილება, რათა მათ მოახდინონ კონსტრუქციული სისტემის გამძლეობისა და სტაბილურობის შეფასება. ჩასატარებელია ღონისძიებები შემდგომი დაზიანების შესაძლებლობის შესამოწმებლად, მათ შორის, დაზიანებული სახურავების დროებითი საშუალებებით, მაგ., ბრეზენტით გადახურვა, რათა წყალი არ ჩავიდეს; აგრეთვე შენობის დაცვა გარეშე პირთა შეღწევისგან, ვანდალიზმისა და ძარცვისგან.

5.7.2 მოსაშორებელია ხანძრისა და მასთან ბრძოლის მეთოდების ნეგატიური შედეგი

გადასარჩენი ნივთებიდან და ელემენტებიდან ფრთხილად უნდა იქნას მოცილებული დანახშირებული მასალები. დარჩენილი წყლის განოვა უნდა მოხდეს მექანიკური და ფიზიკური მეთოდებით (გამწოვი ტუმბოები, ღრუბლები და ა.შ.), შენობა მთლიანად უნდა იქნას გამოშრობილი ჰაერის ნაკადის გაუმჯობესების მეშვეობით და, თუ შესაძლებელია, დეჰუმდიზატორების ანუ ნესტის მშთანქმელების მეშვეობითაც.

5.7.3 უნდა განხორციელდეს ხანძრის მიერ დაზიანებული შენობის დეტალური შეფასება

შეძლებისდაგვარად, არადესტრუქციული ტექნიკით უნდა ინახოს, როგორც თვალთ უხილავი მდგომარეობა; განსახილველია, ხომ არ არის დასაყენებელი სინესტის მონიტორინგის მონყობილობა.

5.7.4 მოხდეს გადარჩენილი ობიექტების აღწერა და მიღებული იქნას დაზიანებული ობიექტების, ელემენტების საკონსერვაციო ზომები

შენობა, ფასეული არტეფაქტები და გამართულობა, მათ შორის, ადგილიდან დაძრული, დაზიანებული ან გადმოვარდნაზე მყოფი, ჩახატვისა და ფოტოგადაღების საშუალებით ადგილზე უნდა აღინუსხოს და შემდეგ ფრთხილად იქნას გადატანილი კონსერვაციის სპეციალისტთა ზედამხედველობით, უსაფრთხო ადგილას გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად. თუ შესაძლებელია, ხელი უნდა შეეწყოს ფოტოგრამეტრიულ აღნუსხვას.

5.7.5 ყველა განგაშის სისტემის და ხანძართან ბრძოლის ხელსაწყოს აღდგენა

ძალიან მნიშვნელოვანია კატასტროფის შემდეგ შენობის უსაფრთხოების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა, რადგანაც ამ პერიოდში შენობა ყველაზე მეტადაა დაუცველი მომდევნო კატასტროფებისგან.

5.7.6. მომზადდეს სარემონტო და სარეკონსტრუქციო გეგმები

შემდგომი სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის, რესტავრაცია, შეკეთება ან დაშლა, უნდა განხორციელდეს მემკვიდრეობის კონსერვაციის პროფესიონალ ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ, რომელნიც შეაფასებენ ხანძრით მიყენებულ ზიანს და მის შედეგებს.

თავი 6 **მინისკვრაი და მათთან დაკავშირებული** **კატასტროფები**

კულტურული მემკვიდრეობისთვის **სპეციალური სტრატეგიის შემუშავება** **რისკისთვის მზადყოფნის** **გაუმჯობესების მიზნით**

6.1 ქაზლზა მიყანეზული ზიანი

მინისძვრამ შესაძლოა გამოიწვიოს საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის პირდაპირი და არაპირდაპირი დაზიანება, რაც იძლევა სხვადასხვა სახის დაზიანებას, რომელთაგან ზოგიერთი ჩამოთვლილია ქვევით:

შენობების და მათი შიგთავსის კონსტრუქციული ჩამოქცევა და დაზიანება ყველაზე მეტად შენობაზე ჰორიზონტალური ბიძგების ზემოქმედებით ხდება. ამგვარად:

- შეიძლება ჩამოვარდეს კედლები, გაუმაგრებელი ვერტიკალური კომპონენტები (მაგ., საკვამურები) და დაუცველად მდგომი ნივთები;
- ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამაგრები და დამაკავშირებლები შეიძლება დასკდეს და გატყდეს;
- შენობის კომპონენტები შეიძლება ერთმანეთის მიმართ გადაადგილდეს ჰორიზონტალურად;
- შენობის კომპონენტები შეიძლება ჩამოიქცეს და დააზიანოს ნივთები და კოლექციები;
- შეიძლება გაჩნდეს სტრუქტურული ბზარები შენობის იმ ნაწილებში, რომლებზედაც იმოქმედა გვერდითმა ბიძგებმა;
- შეიძლება შესუსტდეს შენობის მდგრადობა და გამძლეობა მომავალი დარტყმების მოსაგერიებლად;

- შეიძლება გადაადგილდეს თავისუფლად მდგარი ნივთები;
- ჩამოვარდეს ჩამოკიდებული ნივთები;
- კულტურული მემკვიდრეობისკენ მიმავალი გაყვანილობები – წყლის, კანალიზაციის, ელექტრო, სატელეფონო, სანავაგის (მაგ., გაზის) მომწოდებელი სისტემები – შეიძლება ბლოკირებული იქნეს ან დასკდეს, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ცეცხლისა ან წყლისგან დაზიანების რისკს;
- შეიძლება წყობიდან გამოვიდეს განგამის, გამაფრთხილებელი და მაკონტროლებელი სისტემები, რაც შეანელებს ეფექტურ რეაგირებას;
- შეიძლება განადგურდეს მუზეუმების, კოლექციების, გალერეების ტენიანობის და ტემპერატურის მონიტორინგის და კონტროლის სისტემები;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მისასვლელ-გამოსასვლელები შეიძლება ჩაიხერგოს ლანდშაფტის ელემენტების (მაგ., ხეები, გზები) ჩამოვარდნისა ან დაზიანების გამო.

ისტორიულმა უბნებს, გარდა მათი შემადგენელი შენობებისა და ობიექტების დაზიანებისა, შეიძლება მათი სისტემების დაზიანების გამოც მიადგეს ზარალი:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სისტემების (განსაკუთრებით ელექტრო და კომუნიკაციები, წყლის, გაზის და საკანალიზაციო სისტემები) დანგრევა. ასეთი სისტემების დაზიანებამ შეიძლება გაზარდოს წყლითა და ხანძრით გამოწვეული თანმდევი დაზიანებების შესაძლებლობა და შეამციროს კომუნიკაციის ეფექტურობა საგანგებო რეაგირების ვითარებაში;
- დაზიანება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის – გზების, სარკინიგზო მაგისტრალების, წყლით გადაადგილების გზების, აეროპორტების – ასევე ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელების, სადრენაჟო სისტემის, საფეხმავლო და სამანქანო ესტაკადების, რაც პოტენციურად აუარესებს მოქალაქეთა გადაადგილებას და მაშველი ტრანსპორტის მისვლას საფრთხეში მყოფ თუ დაზიანებულ ადგილებში.

კულტურულ ლანდშაფტებს და არქეოლოგიურ ტერიტორიებს გარდა ზემოთ აღნიშნულისა შეიძლება მიადგეს შემდეგი ზიანიც:

- ლანდშაფტების ისეთი ელემენტების განადგურება და დაზიანება, როგორებიცაა ხეები, ლობები ან არამდგრადი კედლის ფრაგმენტები;
- ნიადაგის ლიქვეფაქცია, რომელიც გარკვეულ ვითარებაში მოხდეს და გამოიწვიოს მენყერი და ნიადაგის ჯდენა;
- ხანძრის ან წყალდიდობისგან მეორადი დაზიანების რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს ჰიდრო-ელექტრო დანადგარების ან კაშხალების დაზიანებით;
- ცხოველთა და მცენარეთა და სხვადასხვა სახეობის საცხოვრისის განადგურებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროზია;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაზიანება, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა რეაგირებას და აფერხებს მაშველი ტრანსპორტის მისვლას საფრთხეში მყოფ და დაზიანებულ ადგილებთან.

6.2 მინისძვრისთვის მზადყოფნის სტრატეგიის შემუშავება

მინისძვრისთვის მზადყოფნის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ამცირებს კულტურული მემკვიდრეობისთვის პოტენციურ საფრთხეს და ნათლად ადგენს, რაგვარი უნდა იყოს საგანგებო ვითარებაზე რეაქცია. ეს საჭიროებს ორმხრივ, მინისძვრებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირებისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელ პირთა დავალდებულებას, რათა შემუშავდეს ანონ-დანონილი სტრატეგია ადამიანთა სიცოცხლის, საკუთრებისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის გასაუმჯობესებლად.

6.2.1 სტრატეგიის შემუშავების პასუხისმგებლობა

განსხვავებით ჩვეულებრივი ხანძარსა და ნიადაგის ჯდენისგან, მინისძვრის საწინააღმდეგო ზომები იშვიათად ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტისთვის, თუნდაც მაღალი სეისმური რისკის ზონებში, ერთი მოხე-

ლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ყურადღება სეისმური მზადყოფნის საკითხებზე უფრო ხშირად მაშინაა ხოლმე გამახვილებული, როდესაც ხდება ამა თუ იმ ცალკეული ობიექტის განახლება მისი მფლობელის მიერ. თანამედროვე სამშენებლო კოდექსების უმრავლესობა მოითხოვს, რომ განახლებული შენობა ითვალისწინებდეს თანამედროვე მოთხოვნებს საზოგადოების უსაფრთხოების ყველა ასპექტისთვის, კერძოდ, ხანძრისაგან, მიწისძვრებისგან დაცვა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ხდება შენობის სეისმომდეგობის შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტები სეისმურად აქტიურ ზონებში ხშირად ცდილობენ სისტემატურად ჩაატარონ შენობისთვის რისკის შეფასების და შენობების რისკის შესაგებებლად უკეთ შემზადებას, მაგრამ ასეთ კვლევას მუდამ როდი მოსდევს მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტებისთვის მიწისძვრისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების ყოვლისმომცველი სტრატეგიების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრის რისკი ნაკლებ მოსალოდნელი ჩანს, ვიდრე ხანძრის, მაინც მნიშვნელოვანია სეისმური უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებლობა მუდმივად დაკისრებულ იქნას ერთ პირზე ან ჯგუფზე, რომელიც მუდამ მოახდენს, შეამონებს და განახლებს მიწისძვრასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. მემკვიდრეობის ობიექტის მიწისძვრის ზედამხედველმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო მოხელეებთან ობიექტისთვის, მისი ბინადრების, მისი შიგთავსის თუ ღირებულებისთვის შესაბამისი სტრატეგიის შესამუშავებლად.

6.2.2 სტრატეგიის ელემენტები

მიწისძვრისგან დაცვის სტრატეგიები ხანძარსაწინააღმდეგო სტრატეგიებისაგან ორი ძირითადი თვალსაზრისით განსხვავდებიან:

- მიწისძვრის პრევენცია – ხანძრის მსგავსად – შეუძლებელია;
- თვით მიწისძვრა ხანძართან შედარებით ხანმოკლეა და არ ექვემდებარება კონტროლს.

ეს განსხვავებები მიუთითებენ ეფექტური სეისმური დაცვის სტრატეგიის მზადებასა და რეაგირების ასპექტების

ყურადღების გამახვილების მნიშვნელობაზე: პირველყოვლისა, რისკის შემცირებაზე მიმართულ ზომებზე, მიწისძვრისმედეგობის გაზრდაზე, მიწისძვრის აღმოჩენისა და მონიტორინგის გაუმჯობესებაზე და რეაგირების გეგმის შემუშავებაზე. სტრატეგია უნდა გეთავაზობდეს ისეთ გზას, რომ მისი სხვადასხვა ზომა პატივდებდეს მემკვიდრეობისმიერ ღირებულებებს, თან კი მიწისძვრისგან დაცვასაც გააუმჯობესებს.

სეისმურ ზონებში გარკვეული ყურადღება ეთმობა ცალკეული შენობის სეისმომედეგობის გაზრდას. თუმცა ამ სახის ზომები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილს ცალკეული ობიექტებისთვის სპეციფიკური სეისმომედეგობის ეფექტური სტრატეგიისა.

მემკვიდრეობის ობიექტებისთვის სრული და ეფექტური სეისმომედეგობის სტრატეგიის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სფეროებს:

- **რისკის შემცირება**, რომელიც შეიცავს ცალკეულ ძეგლებზე ზემოქმედების შესუსტების ზომებს:
 - უზრუნველყოფილ იქნას ძეგლის მაღალი დონის მოვლა;
 - აალების წყაროების შემცირება, მეორადი ხანძრის გაჩენისა და მისი შედეგების ალბათობის შესამცირებლად;
 - მემკვიდრეობის ობიექტის შესაბამისად გამოყენების უზრუნველყოფა მაღალი რისკის ზონებში;
 - ისტორიული ობიექტების მოვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოძველებულ ელექტრო და სანავის მომწოდებელი სისტემების მდგომარეობას, რათა შევამციროთ მიწისძვრის შემდეგ ხანძრის გაჩენის შესაძლებლობა.
- **სეისმომედეგობის გაზრდა** ითვალისწინებს:
 - შენობის და მისი კომპონენტების მიწისძვრისგან დაზიანების მიმართ გამძლეობის გაზრდას;
 - რისკის ანალიზის ჩატარებას მიწისძვრების სავარაუდო ინტენსივობის და სიხშირის დასადგენად;
 - შენობის რეაგირების ანალიზს წინა სეისმურ მოვლენებზე;
 - კონსტრუქციული სისტემის გაძლიერებას, რათა გაიზარდოს შენობის მდგრადობა მიწისძვრის ჰორიზონტალური ბიძგების მიმართ;

- შენობის მინისგან იზოლირებას, რათა ავაცილოთ ან სხვა მიმართულება მიეცეთ მინისძვრის ჰორიზონტალურ ბიძგებს;
- განსაკუთრებით ისტორიული ობიექტებისთვის ზომებმა, რომლებიც ჩატარდება შენობის გასაძლიერებლად ან საინჟინერო-მშენებლო, მინიმალური გავლენა უნდა მოახდინოს ძეგლის ფასეულობებზე.
- **მინისძვრის აღმოჩენა და მონიტორინგი** საიმისო მცდელობის მეშვეობით, რომ ადრევე მოხდეს მინისძვრის შესახებ გაფრთხილება და მოვიპოვოთ ცოდნა მის კრიტიკულ პარამეტრებზე:
 - მინისქვეშა სენსორების და საკომუნიკაციო სისტემების დამონტაჟება რომელთაც შეუძლიათ წინასწარ გაფრთხილება მინისძვრის მოახლოების შესახებ; და
 - მინისძვრის ინტენსივობის და ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი და ინფორმაციის რეაგირების ცენტრებისთვის გადაცემის უზრუნველყოფი სისტემები.
- **მინისძვრაზე რეაგირების დაგეგმვა** შეიცავს:
 - მობინადრეთა და საგანგებო რეაგირების მოხელეთა მიერ მინისძვრებისთვის წინმსწრებ მზადებას;
 - მობინადრეთა და სეისმური-რეაგირების მოხელეების ჩართვა მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტის და ზონისთვის რისკის ანალიზისა მინისძვრისგან დაცვის გაუმჯობესების ზომების განსაზღვრაში;
 - იმის უზრუნველყოფა, რომ მუნიციპალურ და რეგიონალურ გეგმებში იყოს მითითება მემკვიდრეობის ობიექტებსა და შენობებზე, რომლებიც იმსახურებენ განსაკუთრებულ ზრუნვას მინისძვრის დროს;
 - ამომწურავი სეისმო-რეაგირების გეგმის შედგენა;
 - სეისმო-რეაგირების წვრთნა და ვარჯიში მობინადრეებისთვის და სეისმო რეაგირების მოხელეებისთვის.
- **ისტორიული ობიექტებისთვის:**
 - რეაგირების გეგმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შენობის მტკვრევადი და მნიშვნელოვანი ელემენტების, იმ ნივთების და გამართულობის აღწერილობასა და სრულ დოკუმენტა-

ციას, რომლებიც იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას (და, შესაძლოა, გადასარჩენად გატანასა და კონსერვაციას) მიწისძვრის შემდეგ;

- ადგილზევე მომარაგებულ იქნას მიწისძვრისგან დაზიანებული ნივთების გადასარჩენად, დასაცავად და აღსადგენად საჭირო მასალების შესაბამისი მარაგი;
- საფრთხეში მყოფი ან დაზიანებული მასალების უსაფრთხო სანყობსა ან საკონსერვაციო დაწესებულებაში გადატანის უზრუნველყოფა;
- განვრთნილი და გამოცდილი კონსერვაციის სპეციალისტების საგანგებო ჯგუფების (არქიტექტორები, ინჟინრები, დამგეგმარებლები, აქეოლოგები, ისტორიკოსები და ა.შ.), ხელოსნების, მშენებლების და ადგილობრივ მკვიდრთაგან პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, რომლებიც მოიპოვება და ვისაც შესწევთ უნარი რეაგირება მოახდინონ საგანგებო სიტუაციის დროს;
- მიწისძვრისგან დაცვის წვრთნამ უნდა შეაგრძნობინოს მოხელეებს მემკვიდრეობის ნაგებობების და ობიექტების ბუნება და მონიშნოს გადასარჩენად შესაფერისი ზრუნვის ზომები.

მემკვიდრეობის ობიექტის სეისმო-დაცვის სტრატეგია უნდა იყოს მუდმივი მონიტორინგისა და განხილვის საგანი, რათა მოხდეს შესაძლო გაუმჯობესების იდენტიფიკაცია და განხორციელება.

მნიშვნელოვანია, რომ ისტორიული ობიექტის სეისმო-დაცვის სტრატეგია ხისტად არ გამოიყენებოდეს. დადგენილი ზომების პაკეტი უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების და სტაბილურობის ძირითად მოთხოვნებს, ამასთან, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი უნდა მიაღდეს ისტორიული ობიექტის ხასიათს. სამშენებლო ცვლილებები იმ მინიმალური ოდენობისა უნდა იყოს, რაც აუცილებელია სეისმო-დაცვის მისაღებ დონემდე ასაყვანად.

საუკეთესო სეისმო-დაცვის სტრატეგია მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტისთვის უნდა პასუხობდეს ადამიანების, მემკვიდრეობის ობიექტისა თუ საგნების უშიშროებისა და უსაფრთხოების ყველა სტანდარტს, რაც შეიძლება ნაკლებად აზარალებდეს მემკვიდრეობისმიერ ღირებულებებს და რაც შეიძლება ნაკლებს ხარჯებს ითხოვდეს.

6.3 სტრატეგიის ჩამოყალიბება: დაგეგმვა და ტექნიკური ზომები

ეს თავი გვთავაზობს სპეციფიკურ გეგმარებით და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც სასარგებლო იქნება სეისმო-დაცვის სტრატეგიის შემუშავებისას.

6.3.1 რისკის შემცირება

მიუხედავად იმისა, რომ მინისძვრის შესუსტება შეუძლებელია, კარგ მოვლას შეუძლია შეამციროს პოტენციური ზიანი და დანაკარგი.

- შენობის რეგულარული მოვლა-პატრონობა, რომელიც შემონახვას მოსდევს, უზრუნველყოფს სეისმომედეგობის გაუმჯობესებისთვის მიღებულ ზომათა სრულ ეფექტურობას.
- მოვლისთვის საჭირო შეკეთებისას ოპტიმალური რაოდენობით უნდა იყოს გამოყენებული შესაბამისი ტრადიციული მასალები და ტექნიკა, თუ ისინი ნაადგება ობიექტის სეისმომედეგობას.
- რეგულარული შემონახვისას ყურადღება უნდა მიექცეს სპეციფიკური ელემენტების ადეკვატურობას, რომლებიც მნიშვნელოვანია სეისმომედეგობისათვის. მათ შორის:
 - ქვის წყობაში კირქვისა და ცემენტის ხსნარს;
 - ჭიმვაზე გამძლეობას, იატაკისა და სახურავის კედლებთან შეჭიდებასა და შეკავშირების სიმტკიცეს;
 - ქარისა და წვიმის გაუმტარობას.
- რეგულარული შემონახვისას ყოველთვის უნდა ინახოს ელექტრო და სანავის მომწოდებელი სისტემების მდგომარეობა, მეორადი, პირველყოვლისა, ხანძრის რისკის და თანმდევი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

რეგიონალურ დაგეგმარებას დიდი მასშტაბით შეუძლია შეამციროს რისკის ალბათობა რამდენიმე გზით, როგორებიცაა:

- მოხდეს ფუნქციონირება ტერიტორიაზე სისტემური განაწილება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველაზე საფრთხილო პუნქტები (მაგ., საავადმყოფოები) განლაგებული იყოს ყველაზე მყარ გრუნტზე.
- მოსახლეობის სიმჭიდროვის გაკონტროლება ნაკლებად სტაბილურ ადგილებში არაპირდაპირი ზიანის, კერძოდ, ხანძრის მიერ მოყენებული ზიანის შესამცირებლად.
- ელექტრო და სანავის მომწოდებელი სისტემის ზონური კონტროლის ქვეშ მოქცევა მეორადი ხანძრის გავრცელების შესაჩერებლად.

6.3.2 სეისმომდეგობის გაზრდა

სეისმომდეგობის გაძლიერებისკენ მიმართული ძალისხმევა დაფუძნებული უნდა იყოს ნაგებობის, მისი კონსტრუქციების სტრუქტურაზე, საშენი მასალის და ტექნიკის, მისი ევოლუციის, ისტორიისა და კონსერვაციის მდგომარეობაზე.

ყველა ფიზიკური ცვლილება მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით უნდა ეფუძნებოდეს ადეკვატურ ფიქსაციას და უნდა ემთხვეოდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილ სეისმომდეგობის ნორმებს. კვლევებმა, რომელთა საფუძველზე უნდა მოხდეს რეკომენდაციების გაცემა, უნდა გაითვალისწინოს რეგიონის და მემკიდრეობის ცელკეული ობიექტის სეისმური ისტორია, რათა უკეთ გავიაზროთ მისაღები ზომები. ასეთი ანალიზისთვის საჭიროა ინახოს :

- ისტორიული შენობების და მასალების არსებული მდგომარეობა.
- მდგომარეობის გაუმჯობესების ტრადიციული კონცეფციები და მეთოდების ეფექტურობა
- სხვადასხვა კონსტრუქციისა და მასალის – ხის კარკასის, ლორღისა თუ თლილი ქვის ნაგებობის, მიწის შენობების და ა.შ. – განსხვავებული მოქცევა.
- შენობის შინაგანი და გარეგანი დეფექტების შესაძლო გავლენა მის მოქცევაზე მიწისძვრის დროს.
- ადრე გამოყენებული თანამედროვე გასამყარებელი ხერხებისა და ტექნიკის ეფექტურობის შეფასება.

- მინისძვრების ინტენსივობის სხვადასხვა დონის, მათი წარსული თუ მომავალში მოსალოდნელი სიხშირის შეფასება.
- ამ მიდამოებში ადრე ან/და მსგავს პირობებში მომხდარი სეისმური მოვლენების გამოცდილება.

პროექტირების კრიტერიუმი და რეკომენდაციები უნდა ითვალისწინებდეს ისტორიული ობიექტების ღირებულებებს და უზრუნველყოფას:

- შეთავაზებულმა სამუშაოებმა არ უნდა გამოიწვიოს ისტორიული ობიექტის განსაკუთრებულად საგულისხმოდ თვისებების ან მისი სიმრთელის დაკარგვა ან მისთვის ზიანის მიყენება.
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს არსებული კონსტრუქციული სისტემების და მასალების შეძლებისდაგვარად გაფრთხილებას, შენარჩუნებასა და გამყარებას; ანუ ძირითადი ყურადღება შენობის რეაქციათა ანალიზს უნდა დაეთმოს. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული კონსტრუქციული სისტემების და მათი შემადგენლების რეაქცია მთლიანობაში კონსტრუქციული სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად ადეკვატურად უნდა მივიჩნიოთ (იმის ნაცვლად, რომ დავეფუძნოთ მხოლოდენ რიცხვით მონაცემებს ან შემადგენელი ელემენტებისა თუ მათი ერთობლიობების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას).
- მდგრადობის გაძლიერებისას უპირატესობა ენიჭება ტრადიციულ მასალებს და ტექნიკას.
- თუ შემოთავაზებულია ახალი მასალები, ისინი არსებულთან თავსებადი და, რამდენადაც ეს საჭიროა, გამძლე უნდა იყოს; თუ ეს პირობები არაა დაკმაყოფილებული, გამოსაძებნი და შესაფასებელია ალტერნატიული წინადადებები.
- ყოველი ნაგებობა და ნებისმიერი შეთავაზებული სამუშაო თავისი ღირსებებით უნდა ფასდებოდეს.
- სეისმური გამაგრების ანალიზი უნდა გამომდინარეობდეს შენობის რეაქციიდან და არა უბრალოდ სტანდარტების და ნორმების გამოყენებაზე, თან ჯეროვნად გასათვალისწინებელი ტექნიკის განვითარების მოტანილი გაუმჯობესებანიც.
- ჩასატარებელი ღონისძიებები დაგეგმილია მოსალოდნელი საშიშროების ალბათობის, ინტენსივობის, და მასთან დაკავ-

შირებული სავარაუდო რისკის რეალისტური შეფასების შესაბამისად.

შენობის სეისმომდეგობის მოდერნიზაციის შესაძლებლობა ყოველთვის უნდა იქნას გამოყენებული შენობის რესტავრაციის, გადაკეთების ან გაფართოების პროგრამის შედგენისას. არსებული შეუფერებელი ან უკანონო კონსტრუქციები, მიშენებები ან გადაკეთებები შეძლებისამებრ უნდა მოიხსნას.

ყველა სახის გამაგრებითი სამუშაოები უნდა იყოს სრულიად დოკუმენტირებული, რათა შეიძლებოდეს გრძელვადიან პერიოდში მათი გადასინჯვით, იგი შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დასასახად მოვიშველიოთ.

6.3.3 მიწისძვრის პროგნოზირების და სეისმო-დეტექციის სისტემები

მიწისძვრის პროგნოზირების და სეისმო-დეტექციის სისტემების შემუშავება მოითხოვს ვრცელ დოკუმენტაციას – ისტორიულსაც და ახლანდელსაც – რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში.

- შეგროვებული და შეჯერებული უნდა იქნას ზუსტი მონაცემები, გეოგრაფიულ რეგიონში მიწისძვრის ალბათობაზე, მათ შორის მისი ტიპის ადგილმდებარეობის, სავარაუდო ინტენსივობის და სიხშირის თაობაზე. საამისოდ საფუძველი უნდა იყოს მომავალი მიწისძვრების და მათი მიზეზების არა მარტო დღევანდელი, გრძელვადიანი მეცნიერული კვლევა, არამედ წარსულის მომხდარ კატასტროფებზე ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის ანალიზიც. მოპოვებული ინფორმაცია რუკის სახით უნდა გამოქვეყნდეს, მონაცემები კი ციფრული ფორმით უნდა შევინახოთ.
- უნდა დაწესდეს მონიტორინგი გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ, მეტეოროლოგიურ და მსგავს ბუნებრივ პროცესებსა და ფაქტორებზე. მათ შორისაა წყლის მიმართულება და დონე, ნიადაგის დახასიათება და ზედაპირისქვეშა გეოლოგია, რომელთა ქმედებამ და კატასტროფასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საკუთრებას, ადამიანთა სიცოცხლეს და კულტურულ მემკვიდრეობას.

- ზოგადი სეისმური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მონაცემები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი გამოდგეს მატერიალური დოვლათის (კერძოდ კი, კულტურული მემკვიდრეობის) კატასტროფების დროს და შესაძლო დაზიანებისა და დანაკარგების შესაფასებლად სისტემატურად უნდა იყოს შეგროვებული და გაანალიზებული.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გაანალიზება გაზრდის მინისძვრის ინტენსივობის და სისშირის ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობას. ასეთი სახის ანალიზი ასევე თავის წვლილს შეიტანს მინისძვრებისთვის მზადყოფნის ზოგად დაგეგმარებაში, რაც მოიცავს მცდელობას მოხდეს:

- შენობის ნაკლები მდგრადობის მინიმინიზაცია. კულტურული ობიექტის გამაგრების, შეკეთების და შენარჩუნებისთვის ტექნიკური და ფინანსური ზომების შემუშავება და დანერგვა;
- ისტორიული ნაგებობების გამოყენების და მასთან დაკავშირებული გადაკეთებების კონტროლი, თუკი რისკი მაღალია და გადაკეთებები ზრდის მას; და
- შემოგარენში (ადგილობრივ და მთელ რეგიონში) მიწათსარგებლობის შეცვლის წინადადებების კონტროლი, თუკი მიწათსარგებლობა აშკარად ზრდის რისკს.

6.3.4 რეაგირების გეგმის შემუშავება

- სეისმური აქტივობის დროს საგანგებო ქმედებებისათვის ეფექტური რეაგირების გეგმის მომზადება მოითხოვს კულტურული ობიექტის ბინადართა, სეისმორეაგირების პროფესიონალებს შორის თანამშრომლობასაც და რიგი ფაქტორების გათვალისწინებასაც.
- რეაგირების გეგმამ უნდა უზრუნველყოს ბინადართა, პერსონალის და სამოქალაქო თავდაცვის, თუ სხვა დაინტერესებული და ჩართული ორგანიზაციების, მათ შორის, სახელმწიფო მოხელეთა წარმომადგენლების წვრთნა აღნუსხვაში, გადარჩენასა და საჩქარო შეკეთების, ბიჯგების და საბჭენების შეყენებაში, საგანგებო დაცვის მეთოდების და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაში, აგრეთვე უსაფრთხოების ზომების გატარებაში ძარცვის, ცეცხლის წაკიდებისა და სხვა კრიმინალური ქმედებებისგან დაცვის მიზნით.

- წვრთნას უნდა ახლდეს ტექნიკური რჩევების, ფიქსაციისა და აღნუსხვის მონაცემების გამოქვეყნება.
- წვრთნა უნდა შეიცავდეს სეისმორეაგირების ვარჯიშს და სასწრაფო განგაშზე რეაგირებას გეგმის თანახმად.
- რეაგირების გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ბინადართა თუ პერსონალის და მიწისძვრაზე რეაგირების პროფესიონალების მოვალეობანი. პასუხისმგებლობის განაწილება საფუძვლიანად უნდა იყოს განხილული და სამომავლოდ მონონებული ორი ჯგუფის მიერ.
- რეაგირების გეგმა უნდა შეიცავდეს მემკვიდრეობის ობიექტების ღირებულებებთან დაკავშირებულ ადეკვატურ დოკუმენტაციას, მათ შორის:
 - შენობის მიმდებარე ლანდშაფტის ღირებულ ელემენტებსა და სივრცეებზე, რომლებზედაც შეძლებისდაგვარად არ უნდა გადიოდეს მისკენ მისასვლელეები და რომელნიც რეაგირებისას საგანგებო მოფრთხილებას იმსახურებს;
 - ნაგებობის მნიშვნელოვან ატრიბუტებზე (მათ შორის შიდა და გარე კაზიმულობასა, დეტალებზე, სივრცეებსა და მორთულობაზე), რომელთაც რეაგირებისას საგანგებო მოფრთხილება უნდა;
 - ინტერიერის მოძრავ ელემენტებზე, რომლებიც საგანგებო მოფრთხილებას იმსახურებს (და მათი გადატანა შესაძლებელია) რეაგირების დროს, მათ შორის გამართულობა, ნივთები, ავეჯი და კოლექციები.

რეაგირების გეგმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ადგილებს, სანყოფებს, სადაც შესაძლებელი იქნება დაზიანებული ნივთების სწრაფად გადატანა. დაუყოვნებლივი დახმარების უზრუნველსაყოფად კონსერვაციის გამოცდილი სპეციალისტების მისაწვდომობის მოგვარებაც რეაგირების გეგმაში ერთ-ერთ ნაწილად უნდა შევიდეს.

6.4 რეაბირება

როგორც ხანძარეაგირების ასევე სეისმორეაგირების გეგმის ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული წინასწარი დაგეგმარების ადეკვატურობაზე. თუმცა, ხანძრისგან განსხვავებით, სეისმური მოვლენის მყისიერების გამო, რეაგირება ხდება მხოლოდ სეისმური მოვლენის შემდეგ, თუმც კი ნაგვიანევი ბიძგების საშიშროების გათვალისწინებით. ამგვარად, მიწისძვრებისთვის რეაგირების ფაზა, არსებითად, აღდგენითი ფაზის ნაწილს წარმოადგენს.

შემდეგი კითხვები დაგეგმარებათ რეაგირებისთვის მომზადების ადეკვატურობის გამორკვევაში:

• მემკვიდრეობის ობიექტის მენეჯერების, ბინადრების და პერსონალისთვის:

- ✓ არის თუ არა შემუშავებული თანამედროვე ღირსშესანიშნავი ადგილის სეისმო-რეაგირების გეგმა?
- ✓ იყო თუ არა ეს გეგმები განხილული შესაბამისი საგანგებო-რეაგირების მოხელეების მიერ?
- ✓ არის თუ არა გეგმის ღონისძიებებში დამაკმაყოფილებლად გათვალისწინებული ზრუნვა ნაგებობის მემკვიდრეობისმიერ ღირებულებებზე?
- ✓ არის თუ არა გეგმა ეფექტიურად მიწოდებული ბინადრებსა და საგანგებო რეაგირების მოხელეებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მის განხორციელებაზე?
- ✓ არის თუ არა შემუშავებული კავშირის (საგანგებოდ დანიშნული პირები ან მათი მოადგილეები; საკომუნიკაციო არხები) საშუალებები საგანგებო სიტუაციის დროს?
- ✓ ჩატარდა თუ არა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ტესტირება და შემოწმდა წვრთნისა ან სასწავლო განგაშის დროს?

• მობინადრეთათვის:

- ✓ აქვთ თუ არა მობინადრებს გაცნობიერებული თავისი პაუხისმგებლობა მიწისძვრის დროს?
- ✓ მიუწვდებათ თუ არა ბინადრებს მუდმივად ხელი რეაგირების გეგმაზე?

- ✓ რამდენად ნაცნობია მათთვის გეგმით გასათვალისწინებელი ღონისძიებები და რამდენად მზად არიან ისინი მათ შესასრულებლად?

• **ადგილობრივი საგანგებო-რეაგირების მოხელეებისთვის:**

- ✓ მემკვიდრეობის ობიექტების მენეჯერებთან თანამშრომლობით თუ შეიმუშავეს და გადასინჯეს პასუხისმგებელმა მოხელეებმა მინისძვრაზე რეაგირების გეგმა?
- ✓ მისაღებია თუ არა მოხელეებისთვის ღონისძიებები, რომელნიც განსაზღვრავს მემკვიდრეობის ელემენტების, გამართულობისა თუ თვისებების მიმართ ყურადღებასა და ზრუნვას?
- ✓ აქვთ თუ არა საგანგებო-რეაგირების გუნდის წევრებს გაცნობიერებული რეაგირების გეგმის ღონისძიებები და თავთავიანთი ვალდებულებები მათ შესასრულებლად?
- ✓ არის თუ არა გეგმა მისაწვდომი საგანგებო რეაგირებისას დაუყოვნებლივი მოხმარების და კონსულტაციის საჭიროებისას?

6.5 ალდგენა

ალდგენის ადრეულ ფაზაზე ყურადღება უნდა მიექცეს ნაგვიანევი სეისმური ბიძგების გაგრძელების ალბათობას, რომლებმაც შესაძლოა გააუარესონ კატასტროფის შემდგომი მდგომარეობა და ხელი შეუშალონ ალდგენის გეგმის განხორციელებას.

მინისძვრის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მდგომარეობის დაუყოვნებლივ შეფასებას გეგმის სასწრაფოდ შესადგენად გადაუდებლად საჭირო სტაბილიზაციის, შეკეთების ან ალდგენის და შემდგომი კვლევისთვის.

დაზიანებულ ელემენტებზე დაუყოვნებლივი დოკუმენტაციის შედგენა (ჩამწერი საშუალებების: კამერების, ვიდეოს, განათების, ბატარეების გამოყენებით – ისინი წინდანინ უნდა იყოს მომზადებული და მოვლილი) და გაანალიზება, რომელიც აჩვენებს:

- მნიშვნელოვანი ობიექტების და მათი ინვენტარის მდგომარეობასა და იმ ობიექტთა განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებს გატანას კონსერვაციის მიზნით;

- ბიჯგებისა და საბჯენების გადაუდებელი შეყენების საჭიროება;
- ნაწილების მდგომარეობა და სტაბილურობა;
- შენობის კონსტრუქციებისა და საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მდგომარეობა;
- საძირკველის მდგომარეობა (ტიპი, სუსტი წერტილები, შინაგანი უსაფრთხოება, ჯდენა);
- რემონტისთვის ხელსაყრელი პირობების და შესაკეთებელი მასალის არსებობას;
- კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების და ხელოსნების მისაწვდომობას, რომელნიც საჭიროა შეკეთებისა და რესტავრაციის განსახორციელებლად; და
- რესტავრაციისა და მოდერნიზაციისთვის ექსპერტული მეთვალყურეობის დაწესების შესაძლებლობას – რათა დაკმაყოფილებულ იქნას ნაგებობაში ცხოვრების, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მიღებული სტანდარტები.

თავდაპირველად მდგომარეობის შეფასება უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი ქმედებებისთვის:

- შენობა სტაბილიზებულ უნდა იქნას ადამიანთა დასაცავად, შემდგომი ზიანის თავიდან ასაცილებლად და სამაშველო სამუშაოების ჩატარებისათვის, მნიშვნელოვანი ნივთებისა თუ კოლექციების გადასარჩენად და ნაგებობის მდგომარეობის დეტალური შეფასებისთვის. მინისძვრის შეფასების გამოცდილი სპეციალისტები უნდა იყვნენ მოწვეულნი ნეგებობის გამძლეობის და კონსტრუქციული სისტემების სტაბილურობის დასადასტურებლად. დაზიანების ალბათობის მინიმიზაციის მიზნით შემდეგი ძალისხმევაა საჭირო: **დაზიანებული კედლები და კონსტრუქციული ელემენტები ბიჯგებით უნდა გამაგრდეს, ხოლო ლიობები საიმედოდ დაცულ იქნას ვანდალიზმის და უკანონო შეღწევის და ქურდობის აღსაკვეთად.**
- მინისძვრის ნეგატიური შედეგებია მოსაგვარებელი, კერძოდ: ღორღი და ნანგრევები უნდა იყოს ფრთხილად მოცილებული დაზიანებული ნივთების ან კაზმულობის საშველად. აღდგენით სამუშაოებს უნდა ახლდეს მდგომარეობის მუდმივი ფიქსაცია – აღნუსხვა.

- უნდა განხორციელდეს მდგომარეობის დეტალური შეფასება. თუ შესაძლებელია თვალთ შიხილავი მდგომარეობაც უნდა იხილოს, ოღონდ არადესტრუქციული ტექნიკის გამოყენებით.
- დასაწყება ნივთების გადარჩენის სამუშაოების აღწერა და დაზიანებული ელემენტებისა და კონსტრუქციის საკონსერვაციო ღონისძიებები. კონსტრუქცია, ფასეული არტეფაქტები და ინვენტარი, მათ შორის გადმოვარდნილი, დაზიანებული ან განადგურების პირას მყოფი უნდა იყოს დაფიქსირებული ფოტოკამერით ან ჩანახატი. ნებისმიერი მოძრავი ერთეული ფრთხილად უნდა იყოს გატანილი კონსერვაციის სპეციალისტთა ზედამხედველობით უსაფრთხოდ ადგილას და ჩაუტარდეს კონსერვაცია საჭიროებისდა მიხედვით. ძეგლის და დაზიანებული ტერიტორიის განმენდისა და ჩამონაქცევის მოცილების მცდელობას მუდმივად თან უნდა ახლდეს აღნუსხვა-ფიქსაცია.
- უსაფრთხოების სახანძრო განგაშის და ცეცხლთან ბრძოლის მოწყობილობა უნდა დაინსტალირდეს და გააქტიურდეს. ძალიან მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის ობიექტის უსაფრთხოების სისტემის სწრაფი აღდგენა, რადგანაც იგი მომდევნო კატასტროფის მიმართ ყველაზე ნაკლებად მდგრადი სწორედ ახლაა.
- მოსამზადებელია დაზიანებული კონსტრუქციის რეკონსტრუქციის ან შეკეთების გეგმები. შემდგომი ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაო – მათ შორის შეკეთება, რეკონსტრუქცია ან დაშლა – უნდა ჩატარდეს მხოლოდ კონსერვაციის სპეციალისტებთან კონსულტაციის და მიწისძვრისგან მოყენებული ზარალისა და მათი შედეგების ექსპერტული შეფასების შემდეგ.

**მაგალითი: National Trust-ის საგანგებო პროცედურები
ისტორიულ სახლებში**

ისტორიულად ღირსშესანიშნავი ან ბუნებრივად მშვენიერი ადგილების ეროვნულმა ფონდმა (National Trust for Places of Historic Interest of Natural Beauty) (ინგლისი) 1980-იან წლებში შეიმუშავა შენობის გაძლოლის დირექტივები, რომელნიც დაეხმარებოდა National Trust-ის კუთვნილი ობიექტების მენეჯერებს საგანგებო ვითარებაში უზრუნველყოთ ადეკვატური

პროცედურები. თავიდან Trust-ის მრავალპროფესიული პერსონალის სამუშაო ჯგუფის მიერ დამუშავებულ დოკუმენტს დიდად ნაადგა დაწვრილებითი რედაქტირება, რაც 1992 წლის აპპარკის გამანადგურებელ ხანძარს მოყვა. საგანგებო ვითარებაში პროცედურების სახელმძღვანელო ჩაფიქრებულ იქნა როგორც სამუშაო დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებდა პერსონალი მზადყოფნის გაუმჯობესებისას, დროთა განმავლობაში დაგროვებული გაკვეთილებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. რადგანაც ორგანიზაციები თავს იკავებენ ასეთი დეტალური პროცედურული დირექტივების შექმნისაგან, იმ მიზეზით, რომ მათ საგანგებო სიტუაციისას არავინ წაიკითხავს, **National Trust-ი** მიიჩნევს, რომ პერსონალისთვის მნიშვნელოვანია მთელი მასალის წინასწარ გაცნობა, რაც საყურადღებოა მათი ინდივიდუალური როლისთვისაც. დოკუმენტი შედგენილია ისტორიული შენობებისთვის განკუთვნილი „საგანგებო პროცედურების“ ძირითადი ინსტრუქციების მიხედვით, ის კი შეცავს შემდეგ სექციებს: საგანგებო დაგეგმარების პასუხისმელობა, გადაუდებელი საგანგებო რეაგირების ტიპი, როლები (მემკვიდრეობის ობიექტი, რეგიონალური ოფისი, მთავარი ოფისი), პერსონალის მოვალეობები, საკომუნიკაციო ხაზები და ურთიერთ კავშირი. ამ ძირითად ბირთვს ახლავს დეტალიზებული დამატებები, მათ შორის **National Trust-ის** შენობებისთვის საგანგებო ვითარების გეგმის შედგენის ძირითადი პრინციპები, საგანგებო მხარდაჭერის ჯგუფების წვრთნას, საგანგებო ვითარებაში ხსნისა და დაცვის ძირითადი პრინციპები (განსხვავებული ამა თუ იმ მასალისა და ნივთის, თუ იმ ვითარების მიხედვით, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ). პრესასთან და მედიასთან ურთიერთობას, ზოგად გამაფრთხილებელ ზომებს წყალდიდობებთან დაკავშირებით და ობიექტის მართვის იერარქიაში **24 განსხვავებული თანამდებობის** მქონე პირის ვალდებულებების დეტალურ აღწერილობას. **ICOM-ის** კატასტროფებისთვის მზადყოფნის სახელმძღვანელოს მსგავსად (**ICOM's Guidelines for Disaster Preparedness**) **National Trust-ის** დოკუმენტი სახავს ინტეგრირებულ მიდგომას რისკისთვის მზადყოფნის საკითხში, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის კეთილდღეობის თანადროულად ადამიანთა სიცოცხლის, საკუთრებისა და გარემოსთვის ზრუნვის საკითხებია ინტეგრირებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
National Trust for Places of Historic Interest of Natural Beauty
36, Queen Anne's Gate
London SW1H 9AS,
United Kingdom

Tel: (+44-171) 222-9251
Fax: (+44-171) 222-5097

Internet: <http://www.ukindex.co.co/nationaltrust>

**მაგალითი: რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის რუკა
რესტავრაციის ცენტრალური ინსტიტუტი
(Istituto Centrale per il Restauro), იტალია**

ინოვაციური მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესებისადმი გატარებულ იქნა იტალიის რესტავრაციის ცენტრალური ინსტიტუტის მიერ. წამოწყების თაოსანი იყო ინსტიტუტის ერთ-ერთი დირექტორი, რიო ბალდი, რომლის მიზანი იყო გადაუდებელი პრევენციული ზომების წინასწარ განსაზღვრა გარემო პირობებთან მიმართებაში, რომელშიც განთავსებულია იტალიის კულტურული მემკვიდრეობა და არსებული პრევენციული ზომების დრო/ხარჯისმიერი ეფექტიურობისას. იტალიური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის და მისი კონსერვაციისთვის ლიმიტირებული დაფინანსების გათვალისწინებით, პროექტი არის ცდა გაზარდოს იტალიის სამთავრობო უწყებების უნარი, უმეტესად კი თანხები მზადყოფნის იმ ღონისძიებებისადმი მიმართოს, რომელიც მემკვიდრეობისთვის ყველაზე მეტად სასიკეთო უნდა იყოს.

პროექტი განვითარების რამდენიმე ფაზას მოიცავს. პირველი ფაზა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას იმ გარემოსმიერი რისკის შესახებ, რომელიც შეიძლება დაემუქროს კულტურულ მემკვიდრეობას, რათა შედგენილ იქნას თემატური რუკები სხვადასხვა რისკის შემცველი რაიონებისთვის, ბუნებრივი იქნება ეს (სეისმური, ვულკანური, წყალმოვარდნის, ჰაერდაბინძურებული და ა.შ) თუ ადამიანისმიერი (ქურდობა, ვანდალიზმი, ტურისტების მომძლავრება და ა.შ). აქ შემოტანილია ასევე მუნიციპალური

მონაცემთა ბანკების ინფორმაცია ც კულტურული მემკვიდრეობის განფენის შესახებ, რაც იძლევა რისკის ფაქტორების მოჭარბებული ზემოქმედების არეალების გამოყოფის საშუალებას.

მეორე ფაზა მოიცავს, ჯერ ერთი, კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ობიექტის და გამოხატულების დეტალურ თუ მათი ნაკლები მდგრადობის, ასევე მეორეც, მათი ამა თუ იმ მდგომარეობის ანალიზს (ქვის ცვეთა, გარემო დაბინძურება და კლიმატის კონტროლი). ამ ფაზის მიზანია დროში შეამოწმოს ამა თუ იმ გარემოში რღვევის ბუნება და ხარისხი და გაზარდოს რუკებზე დატანილი რისკების წინდანინ განსაზღვრის სისუსტე.

ანალიზის დამაბოლოველი ფაზა მოიცავს კომპიუტერული ტექნიკის მოშველიებით სინთეზის მონაცემების, კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მქონე აღიარებული ერთეულების განფენისა და მეტ-ნალები მდგრადობის, ასევე მათი თანმხლები რისკ-ფაქტორების შესახებ; ყოველივე რუკის ფორმითაა მოტანილი. საცდელი პროექტები, რომლებიც შესრულდა რომში, ნეაპოლსა, რავენასა და ტურინში, განხორციელდა შესაბამისი მეთოდოლოგიისა და კომპიუტერული სისტემების ტესტირების მიზნით.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Instituto Centrale per il Restauro
Piazza San Francesco di Paola 9
I- 00184 Rome, Italy

Tel: (+39-06) 488-961

Fax: (+39-06) 481-5704

Internet: <http://www.aec2000.it/aec2000/projects/riskmap>

თავი 7 წყალდიდობა

კულტურული მემკვიდრეობისთვის რისკისთვის მზადყოფნის სტრატეგიის შემუშავება

7.1 ქაზისთვის ზიანის მიყენება

წყალდიდობამ შეიძლება გამანადგურებელი პირდაპირი და არა-პირდაპირი ზიანი მიაყენოს საკუთრებასა და კულტურულ მემკვიდრეობას. წყალდიდობა მრავალი ფორმით გვევლინება, მაგ., ნელ-ნელა ადიდებადი მდინარე, რომელსაც ავსებს მისი შენაკადებიდან მოვარდნილი ღვარები, რაც აიძულებს მოსახლეობას ააგონ ჯებირები და ქვიშის ტომრების სამაგრი წყლის შესაკავებლად, მაგრამ თუ კი წყალმა შემაკავებელი სისტემები გაარღვია, ჩვეულებრივ სველდება შენობათა საძირკველები და ქვედა სართულები და შენობები საკმაო ხნით ნესტიანდება. არის შემთხვევა, როდესაც მდინარის ჯებირების ან კაშხლის მოშლისას უეცრად გამონთავისუფლდება ხოლმე გამანადგურებელი აღვირები. მაშინ წყლის ნაკადი გრიგალისებრი სისწრაფით მოვარდება ხოლმე და წამებში ანგრევს შენობა-ნაგებობებს და დგება დანგრევის და განადგურების საშიშროება.

სინესტისგან მოყენებული ზიანი შეიძლება იყოს გამოწვეული შენობის შიგნით წყალგაყვანილობის დაცილებული ან გატეხილი მილებიდან ან ნაგავგაყვანილობის სისტემის გაჟონვითაც. ვინაიდან წყლის მილები ძირითადად კედლის ან იატაკის შიგნით არის მოთავსებული, გაჟონვის შემჩნევა მაშინლა შეიძლება, როდესაც ფარული სინესტი გააძლიერებს ხის ლპობასა ან კედლებისა თუ ქერის ბათქაშს შეასუსტებს.

წყალდიდობისგან ზიანის მრავალი სახე არსებობს:

• **ნაგებობების და მათი შიგთავსის:**

- შენობის და მათი ნაწილების ნგრევა ან დაძვრა წყლის ნაკადის მონოლის შედეგად;
- შემდგომ, წყლის ნაკადმა შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის ეროზია ნაგებობის ახლოს, ან საძირკვლის ჯდომა, რასაც კვლავ ძვრა მოყვება;
- წყალდიდობამ შეიძლება გამოიწვიოს სუსტად დამაგრებული კონსტრუქციების დაშორიშორება (მაგ., ტერასები, კიბეები, სანვავის კონტეინერები და ა.შ.) და ისინი თავისუფლად მდგარი ობიექტების (მანქანების, საყოფაცხოვრებო ნივთების და ა.შ.) შეიძლება წყალმა წაიღოს. ასე გაჩენილმა ნანგრევებმა შეიძლება დაჯახებითა თუ გადახეხვით დააზიანოს შენობები;
- შენობათა სარდაფებში მოთავსებულ საყოფაცხოვრებო მოწყობილობებს, როგორებიცაა სანვავის კონტეინერები, ღუმელები, ელექტრო მომარაგების სისტემები და საკონტროლო პანელები შეიძლება დაიტბოროს, წყობიდანაც გამოვიდეს და მიუდგომელიც გახდეს;
- წყალდიდობამ აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს სუფთა და ფეკალური წყლის შერევა; წყალი დაბინძურდება, ფეკალური მასები შეაღწევს ნაგებობათა შიგნით და ადამიანების ჯანმრთელობას შეუქმნის საფრთხეს;
- წყალმა და სინესტემ შესაძლოა განსაკუთრებული ზიანი მიაყენოს ნივთებს, ინვენტარს, ავეჯს, კოლექციებს, ბიბლიოთეკებს და საარქივო ჩანაწერებს; მათმა ზიანმა შეიძლება მოიტანოს დანაკარგი, დაცალკავება, თავისი ადგილსამყოფელისა თუ კონტექსტიდან მოწყვეტა; ლითონის დაჟანგვა და კოროზია; კაზმულობის, საღებავისა და ზედაპირის დაშლა; წყობის კირხსნარის ეროზია და წყობის ფორებში წყლისგან გამოწვეული სიბინძურის დაგროვება; ხის და ორგანული მასალის გამრუდება, დაშორიშორება, დაბზარვა და ლპობის გამოწვევა; წყალს შემოყოლილი ქიმიკატების და მიკროორგანიზმების დალექვა და მათ მიერ ნაბილწვა.

• **ისტორიული რაიონების:**

- დაზიანდეს მათი შემადგენელი ნაგებობები და ობიექტები, იმგვარად, როგორც ზემოაღწერილი შენობები და მათი შიგთავსი;
- მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურდეს მუნიციპალური მომსახურება, მათ შორის ელექტრო, სამომხმარებლო გაზით, სასმელი წყლით მომარაგების, საკანალიზაციო და საკომუნიკაციო სისტემები;
- დაზიანდეს ან განადგურდეს მუნიციპალური ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, გზები და ხიდები; ასეთმა სახის დაზიანებებმა შესაძლოა შეაფერხოს საგანგებო რეაგირების ტრანსპორტის მოძრაობა დაზიანებული ადგილებისკენ.

• **კულტურულ ლანდშაფტსა და არქეოლოგიურ ტერიტორიებზე, ზემოთ აღწერილი პრობლემების გარდა:**

- განადგურდეს ან პოტენციურად მოიშალოს ლანდშაფტების ელემენტების და თავისებურების განმსაზღვრელი ნიშნები, როგორცაა ხეები, გზები, მინდვრები და საპარკო სისტემა, გალავნები და ა.შ;
- ლანდშაფტის ფუნქციონირებით დაიძრას გზების საფარი და სანაპირო ზოლები, დანალექის შლამ გამოინვიოს ტალახი, გადაადგილდეს წყლის ზედაპირი და ა.შ;
- დაილექოს წყალდიდობის ნარჩენები, ხეები, ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამორეცხილი მასალები (ავტომობილები, შენობათა კონსტრუქციები, ნივთები და სხვა).

7.2 წყალდიდობისთვის მზადყოფნის სტატეგიის ჩამოყალიბება

წყალდიდობებისთვის მზადყოფნის სტრატეგიამ შესაძლოა შეამციროს კულტურული მემკვიდრეობის პოტენციური დაზიანება. იგი მოითხოვს კარგად ინტეგრირებულ ძალისხმევას როგორც წყალდიდობის კონტროლსა და საგანგებო რეაგირებაზე პასუხისმგებელ, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხის-

მგებელ პირთაგან. ერთობლივი ძალებით მათ უნდა შესძლონ აწონდაწონილი სტრატეგიის შემუშავება ადამიანთა სიცოცხლის, საკუთრების და მემკვიდრეობის დასაცავად.

7.2.1 სტრატეგიის განვითარების პასუხისმგებლობა

წყალდიდობა, მიწისძვრისგან განსხვავებით, კატასტროფაა რომლის სიხშირის წინასწარ დადგენა შესაძლებელია და რომლის შედეგებიც შეიძლება იყოს შერბილებული წინასწარი დაგეგმვით. დასახლებებს, რომლებიც პოტენციური რისკის ქვეშ არიან, ხშირად აქვთ საგანგებო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია წყალდიდობებისგან დაცვაზე. მიუხედავად ამისა, აშშ-ში, რომ კატასტროფებმა, რომელნიც მოხდა, მაგ., ჰოლანდიაში, აშშ-ში, მისისიპის მდინარის გაყოლებაზე, მდ. ოდერზე პოლონეთში და გერმანიაში, დაადასტურა, რომ ექსტრემალურ მდგომარეობაში კარგად მომზადებული დასახლებებიც კი ვერაფერს გახდნენ კატასტროფის წინაშე. ასევე, საგუენაის წყალდიდობამ კვებეკში, გვაჩვენა, რომ კატაკლიზმურ წყალდიდობას ადვილად შეუძლია გაბათილება კარგად მომზადებული საგანგებო პერსონალისა და რეაგირების გეგმის.

როგორც წესი, მუნიციპალიტეტები ყურადღებას ამახვილებენ წყალდიდობის პრევენციისა და მისგან დაცვის ზომებზე მთელი დასახლების მასშტაბით და არა ცალკეული შენობების დაცვის ზომებზე. ერთი რომელიმე ნაგებობისთვის განკუთვნილი ზომები შეიძლება მიღებული იყოს განახლებისას, რადგან თანამედროვე სამშენებლო კანონმდებლობა ზოგადად ითხოვს შენობების მოდერნიზაციას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ყველა ასპექტის (ხანძარ და მიწისძვრის სანინაალმდეგო, ხოლო სადაც ამის საშიშროებაა, წყალდიდობის სანინაალმდეგო) ახლანდელ სტანდარტებთან შესაბამისობას.

კულტურულ ძეგლებზე, თვით წყალდიდობისთვის კარგად მომზადებულ დასახლებებშიც, მათზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ერთ პირს ან ჯგუფს, რომელიც მუდმივად შეძლებს ობიექტზე წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებათა მეთვალყურეობას. ობიექტის წყალდიდობისგან დაცვის მოხელემ (შეიძლება ხანძრის, მიწისძვრის და ზოგადად კატაკლიზმებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელიც იყოს) უნდა მჭიდროდ ითანამშრომლოს მუნიციპალურ და სახელმწიფო მოხელეებთან ობიექტის, მისი მოსახლეობისთვის, შიგთავსისა და მემკვიდრეობის

ღირებულებებისთვის შესაფერისი წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.

7.2.2 სტრატეგიის ელემენტები

წყალდიდობების მაღალი რისკის ზონებში ყურადღება ექცევა წყლის შესაკავებლად ჯგებირების და მინაყრილების მომზადებას. ეს მცდელობა მხოლოდ ნაწილია ობიექტების მემკვიდრეობის ცალკეული წყალდიდობებისთვის მზადების სტრატეგიისა. წყალდიდობებისგან დაცვის სტრატეგიამ უნდა გაამახვილოს ყურადღება წყალდიდობის გამომწვევი მიზეზების კონტროლირებაზე. სტრატეგია ასევე უნდა შეიცავდეს ზომებს, რომელნიც ნაადგება:

- წყალდიდობის მიმართ მემკვიდრეობის ცალკეულ ობიექტთა გაზრდას;
- წყალდიდობის აღმოჩენისა და მონიტორინგის გაუმჯობესებას; და
- შესაბამისი რეაგირების ადგილობრივი გეგმის შემუშავებას.

სტრატეგია უნდა სთავაზობდეს უსაფრთხოების ისეთ გზებს, რომლებიც გაითვალისწინებს მემკვიდრეობის ღირებულებებს, თან კი წყალდიდობისგან დაცვის ზომებსაც გააუმჯობესებს.

წყალდიდობისგან დაცვის სრული და ეფექტური სტრატეგია მემკვიდრეობის ობიექტისთვის უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რისკის შემცირება, წყალდიდობის მიმართ გამძლეობის გაზრდა, წყალდიდობის პროგნოზირების და აღმოჩენის სრულყოფა, რეაგირების დაგეგმვა.

ეს საკითხები დეტალურად ქვევითაა განხილული.

7.2.3 რისკის შემცირება

- მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტებისთვის დასახლებებზე და მათ შემადგენელ ნაგებობებზე წყალდიდობის ზემოქმედების ძალისხმევა უნდა ითვალისწინებდეს;
- სახურავების, წყალსადინარი ღარების და სადრენაჟო სისტემების მოვლას;
- შესაძლებლობისდაგვარად ხიფათის შემცველი ფუნქციები (ე.ი. ისეთი, რამაც დიდი ალბათობით შეუძლია მოუტანოს ზიანი ადამიანთა სიცოცხლეს, ქონებასა და მემკვიდრეობას) მაღალი

რისკის ზონების გარეთ იქნას გატანილი;

- მთლიანი დასახლების მასშტაბით დამცავი ჯებირების ან მიწაყრილების გაძლიერება; და
- რეგიონის მასშტაბით წყლის მენეჯმენტის ზომების მიღება, რომ მოხდეს წყლის სპეციალურ შემკრებებში მიმართვა.

• **ისტორიული ობიექტებისთვის:**

- ცალკეული შენობის წყალდიდობისათვის მზადყოფნა მოითხოვს მაღალი დონის რეგულარულ მოვლას, რათა შენობას ყოველთვის შეეძლოს გაუძლოს წყალდიდობას;
- ელექტრო მაკონტროლირებელი პანელების და გადამრთველების და HVAC კონტროლის მექანიზმები მოთავსებული უნდა იყოს წყლის სავარაუდო დონის მაღლა; ასეთი სისტემების ადვილად დაზიანებადი კომპონენტები შენობაში ყველაზე მაღალდასაშვებ ნერტილებზე უნდა იყოს მოთავსებული;
- ღირებული ნივთები ქვედა სართულებზე მუდმივ იატაკიდან მაღლა უნდა იყოს მოთავსებული; მოსაფიქრებელია, ხომ არ აჯობებს მათ ზედა სართულებზე შენახვა.

7.2.4 წყალდიდობისას ნაგებობის გამძლეობის გაზრდა

• **ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს** შენობის და მისი კომპონენტების წყალდიდობის დროს გამძლეობის გაძლიერებაზე, საამისოდ უნდა მოხდეს:

- ექსტრემალური წყალდიდობის დროს შენობის მედეგობის გაანალიზება და შესაბამისი რეაგირების ზომებისთვის მომზადება (მაგ., ლიობების დამცავი საფარველების მომარაგება; ნაგებობისთვის ჯებირების ასაგებად მასალის გამოძებნა) წყლის შეღწევის შესაძლებლობის შესამცირებლად;
- კონსტრუქციული სისტემების გამყარება (ნაგებობისა და საძირკველის კავშირის და საძირკველისა და ნიადაგის კავშირის გაძლიერება).

ძეგლებზე კონსტრუქციების გამყარების, შეუღლებათა გაძლიერების და გარეთ გამავალი ღობეების დაცვის ზომები ისეთი

უნდა იყოს, რომ მინიმალურად ახდენდეს ზემოქმედებას ობიექტის მემკვიდრეობისმიერ ღირებულებებზე.

7.2.5 წყალდიდობის აღმოჩენა და მონიტორინგი

საამისო ქმედებები უნდა შეცავდეს:

- ძალისხმევას წყალდიდობის მოსალოდნელი მოვარდნისა და შესაძლო ინტენსივობის ადეკვატურ პროგნოზირებას;
- მდინარეთა სისტემების გასწვრივ მონიტორინგის სადგურების დამონტაჟებას; მცირე მასშტაბის ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურების მოწყობას, რომლებიც მოახდენენ ნალექიანობის დონის მონიტორინგს; ინტეგრირებული ანალიზის და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების უზრუნველყოფას, რათა მოხერხდეს მოსალოდნელი წყალდიდობის მოვარდნისა და ინტენსივობის შესახებ წინასწარ გაფრთხილება; და
- წყალდიდობის ინტენსივობის და მდებარეობის დასადგენი უსაფრთხო, გამძლე სისტემების და ინფორმაციის გადაცემის უზრუნველყოფას საგანგებო რეაგირების ცენტრებისთვის.

7.2.6 წყალდიდობაზე რეაგირების დაგეგმვა

უნდა მოითხოვდეს იმ ზომებს, რომლებიც დაეხმარება მოსახლეობასა და საგანგებო რეაგირების მოხელეებს წყალდიდობებისთვის მომზადებაში – ესაა:

- მოსახლეობისა და წყალდიდობის რეაგირების მოხელეთა მონაწილეობა ცალკეული ობიექტების და ზონების რისკის გაანალიზებაში და წყალდიდობისგან დაცვის საჭიროების განსაზღვრისას; მუნიციპალური და რეგიონალური გეგმები უნდა მიუთითებდეს ობიექტებს და შენობებს, რომლებიც იმსახურებს განსაკუთრებულ ზრუნვას წყალდიდობის დროს;
- წყალდიდობაზე რეაგირების დეტალური გეგმის ჩამოყალიბება;
- მოსახლეობისთვის და საგანგებო რეაგირების ჯგუფებისათვის ვარჯიშების და წვრთნის ჩატარება.

• **ისტორიული ობიექტებისთვის რეაგირების გეგმა უნდა შეიცავდეს:**

- შენობის მტვრევადი და მნიშვნელოვანი ელემენტების, რომელნიც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, ნივთების და გამართულობის აღწერილობასა და დოკუმენტაციას (შესაძლო გადატანას და კონსერვაციასაც) წყალდიდობამდე ან მის შემდეგ;
- ადგილზე გადარჩენის, დაცვის და რესტავრაციისთვის ადეკვატური რაოდენობის მასალების მომარაგებას;
- საგანგებო უსაფრთხო საცავი ადგილების გამონახვას, სადაც შეინახება გადმოტანილი ობიექტები და მოხდება დანესტიანებული მასალების კონსერვაცია (გაყინვის საშუალებების ჩათვლით);
- მცდელობას, რათა საგანგებო რეაგირების ოპერაციის დროს მისაწვდომი იყოს კონსერვაციის განაწესი და გამოცდილი სპეციალისტების (არქიტექტორები, ინჟინრები, მგეგმავები, არქეოლოგები, ისტორიკოსები და ა.შ.), ხელოსნების და მშენებლების, ადგილობრივი პასუხისმგებელი პირების მასშველი რაზმი, რათა მოხდეს შეფასება, სტაბილიზაცია და სარესტავრაციო ჩარევების დაგეგმვა;
- წყალდიდობისგან დაცვის წვრთნის უზრუნველყოფას, რომელმაც უნდა შეაგრძნობინოს მოხელეებს მემკვიდრეობის ნაგებობათა და ობიექტების ბუნების აღქმაში და მათდამი შესაბამისი ზრუნვის აუცილებლობა.

ობიექტის წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგია უნდა იყოს მუდმივი მონიტორინგისა და განხილვის საგანი, რათა მოხდეს შესაძლო გაუმჯობესების იდენტიფიკაცია.

მნიშვნელოვანია, რომ წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგია ხისტად არ უნდა გამოიყენებოდეს. დადგენილი ზომების პაკეტი უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების და სტაბილურობის ძირითად მოთხოვნებს, ამასთან, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი უნდა მიადგეს ისტორიული ობიექტის ღირებულებებს. სამშენებლო ცვლილებები იმ მინიმალური ოდენობისა უნდა იყოს, რაც აუცილებელია წყალდიდობისგან დაცვის მისაღებ დონემდე ასაყვანად.

წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგია ცალკეული ობიექტებისთვის უნდა პასუხობდეს ადამიანების, მემკვიდრეობის ობიექტისა თუ საგნების უსაფრთხოების ყველა სტანდარტს, რაც შეიძლება

ნაკლებად აზარალებდეს მემკვიდრეობისმიერ ღირებულებებს და რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდეს.

7.3 სტრატეგიის ჩამოყალიბება: დაგეგმვა და ტექნიკური ზომები

ეს თავი გვთავაზობს სპეციფიკურ გეგმარებითსა და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც სასარგებლო იქნება წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგიის შემუშავებისას. ისინი შეიძლება ძეგლებისა და მემკვიდრეობის ობიექტისთვის სპეციფიკური სეისმოდაცვის სტრატეგიის შემუშავებისას მიახლოებით კითხვარად მოვიშველიოთ.

7.3.1 რისკის შემცირება

წყალდიდობისგან მიყენებული ზიანის რისკის შესამცირებლად მიმართული ძალისხმევა შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს წყალდიდობისგან დაცვის სტრატეგიისთვის. იგი ფაქტორის დეტალურ შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს. მათ შორის:

- წყალდიდობების ხანგრძლივობა და შესაძლო სიხშირე;
- ნაკლებად მდგრადი ადგილების რუკაზე მონიშვნა, ე.ი. იმ ზონებისა, რომლებიც დაიტბორება ნიაღვრის მოვარდნისა თუ სხვადასხვა ინტენსივობის წყალდიდობის დროს;
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მაქსიმალურად მოკლევადიან ნალექიანობასა და წყალდიდობებზე;
- ინფილტრაცია (ნიადაგის, ქვეწიწკის და გეოლოგიის, სეზონური ფაქტორების და მცენარეულობის) და ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ინფილტრაციაზე (ბალახის საფარის მოსპობა, ტყის გაჩანაგება, ნიადაგის განადგურება, ტრანსპორტის მოძრაობა);
- ღირსშესანიშნავი ადგილის ტოპოგრაფია (წყალგამყოფისგან დაცემა, ფერდობები, შემალეობა, დაგუბების შესაძლებლობა);
- წყლისა და წვიმის ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის

ობიექტებზე, განსაკუთრებით ნაგებობების არგაუმტარობა და ელემენტების პირდაპირი დაზიანების შესაძლებლობა, აგრეთვე მეორადი ზემოქმედების (მაგ., მომატებული ტენიანობის გავლენა) შეფასება;

- წყალდიდობის მოქმედება საძირკველსა და ქვედა სართულებზე, კონსტრუქციულ ელემენტებზე (კედლები და იატაკი), არაკონსტრუქციულ ელემენტებზე, მოკაზმულობასა და გამართულობაზე;
- დატბორილი ზონიდან დრენაჟის შესაძლო გაუმჯობესების შეფასება.

ამ შეფასებების საფუძველზე სამოსახლეობისა და მისი შემადგენელი ობიექტების დაცვის გაუმჯობესების მიზნით ჩატერებული ზომები შეიძლება მოიცავდნენ:

- შენობის დასაცავი ჯებირების, დამბების და სადრენაჟო თხრილების მოწყობას;
- წყალგაუმტარი ფასადების ქვიშის ტომრებით და ამოსატუმბი და საშრობი საშუალებებით უზრუნველყოფას;
- მნიშვნელოვანი დეტალების და არტეფაქტების წინასწარ გათვალისწინებულ უსაფრთხო საცავებში კონტროლის ქვეშ გადაადგილების დაგეგმვას;
- მინათსარგებლობის კონტროლს, მინის უმართებულო გამოყენების წინასწარ აღკვეთას;
- სადინარების და მილგაყვანილობის მოვლის კარგად დადასტურებას;
- მნიშვნელოვანი ობიექტებისა და გამართულობის იატაკიდან აცილებას (დაახლოებით 20 სმ-ის სიმაღლეზე), გაუთვალისწინებელი წყალდიდობისას დაზიანების ასაცილებლად და პირველადი დაზიანების მისვლამდე დროის დასაზოგად;
- პერსონალის წვრთნას დაზიანებული ობიექტების (მეტადრეწიგნების) საკონსერვაციოდ გაყინვისა და გამოშრობის ტექნიკის ასათვისებლად.

7.3.2 წყალმოვარდნის საწინააღმდეგო მდგრადობის გაუმჯობესება

ლონისძიებები შენობის წყალმოვარდნისადმი მდგრადობის გაძლიერებისთვის უნდა ეფუძნებოდეს ნაგებობის, მისი კონსტრუქციის, საშენი მასალის და ტექნიკის, მისი ევოლუციის, ისტორიის, კონსერვაციის, საძირკვლის დრენაჟის, სახურავებისა და წყალგადამყვანი მილების მდგომარეობის, ობიექტის მემკვიდრეობისმიერი ღირებულებების და მის წყალმოვარდნისას სავარაუდო მოქმედების ადეკვატურ გააზრებას.

ყველა ფიზიკური ცვლილება წყალდიდობისადმი მდგრადობის გასაუმჯობესებლად დაფუძნებული უნდა იყოს ადეკვატურ ფიქსაციაზე და უნდა პასუხობდეს ადგილობრივი ხელისუფლების დანებებულ მოთხოვნებს.

ფიზიკური შეკეთების დაგეგმვა გულისხმობს:

- ყველანაირი შემოთავაზებული სარემონტო და სამოდერნიზაციო სამუშაო არ უნდა იწვევდეს ისტორიული ობიექტის საგულისხმო თვისებების ან სიმრთელის დაკარგვას ანდა თუნდაც შელახვას;
- თუ შემოთავაზებულია თანამედროვე მასალებისა და გამაგრების ტექნიკის გამოყენება, ისინი უნდა იყოს თავსებადი არსებულ მასალებთან და, რამდენადაც ეს პრაქტიკულია, გამძლე და რევერსიული, თუ ეს პირობები ვერ იქნა დაკმაყოფილებული, გამოსაძენი და შესაფასებელია ალტერნატიული წინადადებები;
- საძირკვლის და მიწის ზედაპირთან ახლოს მყოფი ნაწილის წყლის მიმართ გამძლეობის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში – მისი მოდერნიზაცია, გარე დრენაჟის გაუმჯობესების და წყალგაუმტარი საფარველების გამოყენების მეშვეობით;
- სახურავების და მათი წყალგამტარობის (მათ შორის დრენაჟის) შეფასება და ამ სისტემათა ელემენტების სასიკეთოდ ყველა საჭირო ზომის განხორციელება;
- ანალიზი ზომებისა, თუ როგორ მოხდეს – მეტადრე საძირკვლისა და პირველი სართულის დონეზე – შენობის ღიობების სპეციალური დარაბებით აღჭურვა ან დროებითი დასახურების დამონტაჟება წყლის შეღწევის თავიდან აცილების მიზნით;

- სამზადისი საფრთხის ქვეშ მყოფი ობიექტების გადასარჩენად, მათ შორის მნიშვნელოვანი ობიექტების იდენტიფიკაცია და განლაგება, მათ შესანახად და გადაუდებელი კონსერვაციისთვის ადგილის გამოძებნა.

წყალმოვარდნისადმი მდგრადობის მოდერნიზაციის შესაძლებლობა ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული თუ მზადდება შენობის რესტავრაციის, გადაკეთების ან გაფართოების პროგრამა.

ყველანაირი შესაკეთებელი და გამაგრებითი სამუშაოები სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული, რათა შესაძლებელი იყოს შენობის მოქცევის მონიტორინგი და მოდერნიზაცია, მისი სიცოცხლის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის ახლანდელ სამშენებლო სტანდარტებთან შესატყვისობაში მოსაყვანად.

7.3.3 წყალდიდობის პროგნოზირების და დეტექციის სისტემები

წყალმოვარდნის პროგნოზირების საშუალებების და ნიაღვრების დეტექციის სისტემების შემუშავება მოითხოვს რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში მუდმივ დოკუმენტიზაციას:

- მეტეოროლოგიური ჩანაწერებისა და პროგნოზების ნალექიანობის შესაძლო დონეების შესახებ;
- წარსულში მდინარეთა სისტემაზე წყლის დინების დანალექის გავლენის ცოდნას;
- წყლის დინებისა და დონის გაზომვა მდინარეთა სისტემაში არსებული მონიტორინგის სადგურების მიერ;
- წყლის ნაკადის კონტროლის ზომებისა და მდინარეთა სისტემაში მათი ისტორიული ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია.

7.3.4 რეაგირების გეგმის შემუშავება.

წყალდიდობის შემთხვევაში რეაგირების გეგმის სამზადისი უნდა ეთანადებოდეს შემდეგ დებულებებს:

- ძეგლების ბინადარნი რეაგირების ადეკვატური გეგმის შესამუშავებლად უნდა თანამშრომლობდნენ წყალდიდობისგან დაცვის მოხელეებთან. ეს თანამშრომლობა გამოკვეთს:

- დაუყოვნებლივი ქმედებების პრიორიტეტებს;
 - გადაუდებელი რეაგირების დროს მაცხოვრებლების, ობიექტის, მომხმარებელთა და რეაგირების მოხელეთა საკეთებელს;
 - სპეციალურ ზომებს მნიშვნელოვანი ობიექტების და ობიექტის ინვენტარის იდენტიფიკაციის, გადარჩენისა და კონსერვაციის მიზნით;
 - მდგომარეობის წინასწარ შეფასებას, სტაბილიზაციის აღდგენა-შეკეთებისა და მდგომარეობის შემდგომი შეფასებისთვის პრიორიტეტული საჭიროებების დასადგენად.
- ადგილობრივი კანონების შესაბამისად, უნდა ეწყობოდეს წვრთნა მემკვიდრეობის ობიექტის ბინადართა და პერსონალისთვის რეგიონის სამოქალაქო თავდაცვისა და საზოგადოებრივ უწყებებთან ერთად – აღნუსხვასა და გადარჩენის, გადაუდებელი შეკეთების, ბიჯგების და საბჭენების შეყენების, დაცვის საგანგებო მეთოდების და პრაქტიკის, ქურდობის, ცეცხლის წაკიდებისა და სხვა კრიმინალურ ქმედებათა საწინააღმდეგო უშიშროების ზომების ასათვისებლად. საწვრთნელ ღონისძიებებს თან უნდა ერთვოდეს ტექნიკური მითითებების კრებულის გამოცემა მონაცემების აღწერასა და დაფიქსირებაზე, აგრეთვე რეგულარული პრაქტიკის და ვარჯიშების შესახებ;
 - გადაუდებელ ღონისძიებათა მოხელეებმა უნდა გაიარონ წვრთნა თავისი მოვალეობის აღსრულებისას მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობისთვის ზრუნვის ზომების ასათვისებლად. ასეთი წვრთნა გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებათა უკეთ გაცნობიერებას და მისი კონსერვაციისა და მოფრთხილების შესაბამისი ზომების უზრუნველყოფას.

7.4 რეაბირება

როგორც ხანძარსაწინააღმდეგო და სეისმორეაგირების, ასევე წყალმოვარდნაზე რეაგირების გეგმის ეფექტურობა დიდწილადაა დამოკიდებული წინასწარი დაგეგმარების ადეკვატურობაზე.

კატასტროფის დროს მოსახლეობა, პერსონალი და გადაუ-

დებელ ღონისძიებათა მოხელენი უნდა მიყვინენ წინასწარ მომზადებულ გეგმას და მის თანახმად იმოქმედონ წყალმოვარდნის შესაკავებლად და მისი ზემოქმედების შესარბილებლად.

შემდეგი კითხვები დაგეხმარებათ წყალმოვარდნის მიმართ ადეკვატური რეაგირების გეგმის მომზადების გამოვლენაში.

საგანგებო წყალმოვარდნაზე რეაგირების პერსონალისთვის:

- ✓ შემუშავებულია თუ არა ღირსშესანიშნავი ადგილების წყალმოვარდნაზე-რეაგირების თანამედროვე გეგმები?
- ✓ იყო თუ არა ეს გეგმები განხილული საგანგებო რეაგირების შესაბამის მოხელეთა მიერ?
- ✓ ჯეროვნად ითვალისწინებენ თუ არა გეგმაში შეტანილი ღონისძიებების ზრუნვას ღირსშესანიშნავი ადგილის მემკვიდრეობის მიერ ღირებულებებზე?
- ✓ არის თუ არა გეგმა შესრულებადი, ეფექტურად მიწოდებული მობინადრეებისათვის, პერსონალისა თუ საგანგებო რეაგირების რაზმისთვის?
- ✓ არის თუ არა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ტესტირებული და აპრობირებული წვრთნისა და წყალმოვარდნის სასწავლო განგაშის დროს?

მობინადრეთათვის:

- ✓ აქვთ თუ არა მობინადრეებს გაცნობიერებული თავისი პასუხისმგებლობა წყალდიდობის დროს?
- ✓ მიუწვდებათ თუა არა მობინადრეებს მუდმივად ხელი რეაგირების გეგმაზე?
- ✓ რამდენად ნაცნობია მათთვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება და რამდენად მზად არიან ისინი მათ შესასრულებლად?

ადგილობრივი საგანგებო-რეაგირების წარმომადგენლებისთვის:

- ✓ მემკვიდრეობის მენეჯერებთან თანამშრომლობით თუ შეიმუშავეს და გადასინჯეს პასუხისმგებელმა მოხელეებმა წყალმოვარდნაზე რეაგირების გეგმა?

- ✓ მისაღებია თუ არა მოხელეებისთვის ღონისძიებები, რომელნიც განსაზღვრავს მემკვიდრეობის ელემენტების, გამართულობისა თუ თვისებების მიმართ ყურადღებასა და ზრუნვას?
- ✓ აქვთ თუ არა საგანგებო რეაგირების გუნდის წევრებს გაცნობიერებული რეაგირების გეგმის ღონისძიებები და ვალდებულებები მათ შესასრულებლად?
- ✓ არის თუ არა გეგმა მისაწვდომი საგანგებო რეაგირებისას დაუყოვნებლივი მოხმარების და კონსულტაციის საჭიროებისას?

7.5 აღდგენა

წყალდიდობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მდგომარეობის დაუყოვნებლივ შეფასებას საჭირო სტაბილიზაციის, შეკეთების და აღდგენითი სამუშაოების დასაგეგმად. ანალიზმა უნდა შეაფასოს:

- ✓ შენობაში წყლის შემოღწევის ადგილების მდგომარეობა და კონსტრუქციული სანდოობა;
- ✓ კონსტრუქციული ნაწილების მდგომარეობა და სტაბილურობა;
- ✓ გაუმკლავდება თუ არა შენობის სახურავი, სადინარი მილების და დრენაჟის სისტემა წვიმას;
- ✓ ნაგებობაში დარჩენილი წყლის და ნესტის არსებობა, განსაკუთრებით მიუწვდომელ ადგილებში და ამოტუმბვის და გაშრობის საჭიროება;
- ✓ კონსტრუქციული თუ სხვა ზიანის შეფასება, რომელიც გამომწვეულია წყლის მიერ მოტანილი ნაზრევებით;
- ✓ რემონტისთვის საჭირო პირობების და შესაკეთებელი მასალების არსებობა;
- ✓ კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების და ხელოსნების მისაწვდომობა, რომელნიც საჭიროა შეკეთებისა და რესტავრაციის განსახორციელებლად;
- ✓ არსებითი შეკეთებისა და მოდერნიზაციისთვის ექსპერტული მეთვალყურეობის დაწესების შესაძლებლობა;

- ✓ საძირკველის მდგომარეობა; ნიადაგის ძვრის შედეგად გვერდითი საყრდენის ან დასაბჯენის გამოცლა; და
- ✓ მნიშვნელოვანი არტეფაქტების გატანის აუცილებლობა.

თავდაპირველი მდგომარეობის შეფასება უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი ქმედებებისთვის:

- შენობა უნდა იქნას სტაბილურ მდგომარეობამდე მიყვანილი, რომ შესაძლებელი იყოს შემდგომი ზიანის თავიდან აცილება და სამაშველო სამუშაოების დაწყება მნიშვნელოვანი ნივთების, კოლექციების გადასარჩენად, ასევე ნაგებობის მდგომარეობის დეტალური შეფასებისთვის. წყალმოვარდნისგან დაზიანებული შენობის შეფასებისას გამოცდილი სპეციალისტები უნდა იყვნენ მონაწილეები, რათა დადგინდეს ნაგებობის გამძლეობის და, მათ შორის, ელექტრო, საწვავის მიწოდების და HVAC-ს სისტემების სიმტკიცე, სტაბილურობა და სისაფე. დაზიანების მინიმიაზაციის მიზნით, უნდა მიღებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები: ღიობები უნდა დაიხუროს და შენობა საიმედოდ იქნას დაცული ვანდალიზმისა და ძარცვისგან.
- წყალდიდობის ნეგატიური შედეგების მოსაგვარებლად დარჩენილი წყალი, შლამი და ნანგრევები უნდა იქნეს გატანილი მექანიკური და ფიზიკური საშუალებებით (ამოსატუმბი საშუალებები, ღრუბლები, ტილოები და სხვა). უნდა მოხდეს შენობის გამოშრობა ჰაერის ნაკადის და დეჰუმილიზატორების მეშვეობით.
- უნდა მოხდეს წყალმოვარდნით დაზიანებული შენობის მდგომარეობის დეტალური შეფასება. თუ შესაძლებელია, თვალთუხილავი მდგომარეობაც უნდა ინახოს, ოღონდ არადესტრუქციული ტექნიკის გამოყენებით; უნდა განხორციელდეს სინესტის მონიტორინგის საშუალებების დაინსტალირება

თავი 8 შეიარაღებული კონფლიქტები

კულტურული მემკვიდრეობისთვის სპეციალური სტრატეგიის შემუშავება რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების მიზნით

8.1 ქველავის დაზიანება

არ არსებობს დაზიანების კონკრეტული ტიპი, რომელიც მხოლოდ შეიარაღებულ კონფლიქტთან იყოს დაკავშირებული. ზიანი დამოკიდებულია იარაღის ტიპზე, რომელსაც იყენებენ და კონფლიქტების თანმდევ მეორად ზიანთან (მაგ., ხანძარი და წყალდიდობა) რასაც ისეთივე შედეგი შეიძლება ჰქონდეს, რაც რომელიმე ერთ ან ყველა ბუნებრივ კატასტროფას.

შეიარაღებული კონფლიქტებისას გამოწვეული დაზიანებებისგან შემდეგი ტიპებია ყურადსაღები:

ნაგებობებისა და მათი შიგთავსის დაზიანება;

- შენობისა და მისი შიგთავსის სრული ან ნაწილობრივი დანგრევა ბომბების, ნალმების და მათი აფეთქებით გამოწვეული ხანძრისგან.
- სტაბილურობის ან ავდრის მიმართ გამძლეობის მოშლა დაბომბვის შედეგად, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აზიანებს კედლებსა და სახურავს;
- ნივთების, კოლექციების და ინტერიერის მნიშვნელოვანი თავისებურებებისა და გამართულობის დაზიანება სიმხურვალის, კვამლის და წვის შედეგად;
- ხანძრის ჩაქრობის დროს წყლით მიყენებული ზიანი.

ისტორიული რეგიონების, კულტურული ლანდშაფტების და არქეოლოგიური ტერიტორიებისთვის:

- ისტორიულ რეგიონებში, კულტურულ ლანდშაფტებში, არქეოლოგიურ ტერიტორიებზე არსებული შენობების და ინტერიერების დაზიანება ისევე, როგორც შენობებისთვის ზემოაღწერილი დაზიანებები;
- ლანდშაფტის ნაწილების და თავისებურებების განადგურება დაბომბვისა და მისგან გამონვეული ხანძრის შედეგად;
- მცენარეების, ცხოველების და მათი საცხოვრისის განადგურება;
- მინაში შეიარაღებული ძალების მიერ ჩატოვებული ნაღმების შედეგად ნაგებობების და ადამიანების დაშავების პოტენციური შესაძლებლობა.

8.2 შეიარაღებული კონფლიქტისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია

1899 და 1907 წლებში, ჰააგაში და 1935 წელს, ვაშინგტონში მიღებულ იქნა კონვენციები და შეთანხმებები იმ წესების განსაზღვრებად, რომელთა მიხედვით სახელმწიფოები შეთანხმდნენ ალიარონ და დაიცვან სხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა. 1954 წლის მაისში მიღებულ იქნა შეიარაღებული კონფლიქტებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict), ცნობილი აგრეთვე როგორც ჰააგის 1954 წლის კონვენცია.

1997 წლის 30 აპრილისთვის 90 ქვეყანა შეუერთდა თავად კონვენციას, ხოლო 77 ქვეყანა მიერთებულია ოქმს. კულტურული მემკვიდრეობის ძალზე თვალსაჩინო დანაკარგებმა, როგორცაა 1991 წლის ომი სპარსეთის ყურეში და ა.შ. მთელ მსოფლიოში წარმოშვა კითხვები ჰააგის კონვენციის ქმედითუნარიანობის შესახებ. კონვენციის სიმბოლო – „ბლუ შილდი“ (the Blue Shield – „ცისფერი ფარი“) – რომელიც განკუთვნილი იყო კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციისა და დაცვისთვის ხშირად ნაუბილწავთ ამ კონფლიქტების დროს; მისმა არსებობამ ვერ აკრძალა საომარი შემოტევები, უფრო მეტიც, ეს სიმბოლო გახდა ერთგვარი სამიზნე მათთვის, ვინც ცდილობდა მოწინააღმდეგის ბანაკში

გაენადგურებინა სხვასთან ერთად მნიშვნელოვანი კულტურული სიმბოლოები.

ამ უთუო სირთულეების პირისპირ მრავალი ქვეყნის უკმაყოფილებისა და კონვენციის ეფექტურობაზე განუქარვებელი ზრუნვის შედეგად 1990-იანი წლების დასაწყისში UNESCO-შეუდგა კონვენციის ქმედითობის შესწავლას.

1993 წლის ნოემბერში UNESCO-ს გენერალურმა კონფერენციამ კვლავ დაადასტურა, რომ ჰააგის კონვენციის მიზანი და განზრახვა კვლავაც მართებული და რეალისტურია და რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ფუნდამენტური პრინციპები შეიარაღებული კონფლიქტის დროს შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის ნაწილი. თანდართული ანალიზი აჩვენებს, რომ კონვენციის ამოცანები უკეთ იქნება გადაჭრილი მისი მოქმედების ეფექტიურობის გაზრდის მცდელობით, ვიდრე ზოგიერთი იმასაც სთავაზობდა, რომ მომხდარიყო კონვენციის ახლით ჩანაცვლება.

ქვემოთ მოყვანილია კონვენციის რამდენიმე დებულება, რომელიც საგანგებო ყურადღების ღირსია.

1.კონვენცია ითვალისწინებს როგორც მოძრავ, ასევე უძრავ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს; კონვენციის კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრება მოცემულია 1 მუხლში (კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრება) – „წარმოშობის ან მესაკუთრის მიუხედავად“ – განმარტავს:

ა) მოძრავი და უძრავი ობიექტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობისთვის, როგორცაა არქიტექტურული, ხელოვნებისა და ისტორიული, რელიგიური თუ საერო ძეგლები, არქეოლოგიური ტერიტორიები, ნაგებობათა ჯგუფები, რომლებიც მთლიანობაში საგულისხმოა ისტორიული ან ხელოვნების თვალსაზრისით; ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, წიგნები და სხვა ობიექტები, რომლებიც საგულისხმოა ხელოვნების ისტორიული ან არქეოლოგიური თვალსაზრისით; ასევე სამეცნიერო კოლექციები და წიგნები, არქივები ან ზემოთ ხსენებული მემკვიდრეობის ობიექტების რეპროდუქციები.

- ბ) შენობები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა შენახვა და გამოფენა მოძრავი კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც ნახსენებია (ა) ქვეპარაგრაფში, როგორებიცაა მუზეუმები, დიდი ბიბლიოთეკები და არქივები და თავშესაფრები, სადაც შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაცული იქნება ქვეპარაგრაფში განსაზღვრული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობა.
- გ) ცენტრები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, რომლებიც ნახსენებია ქვეპარაგრაფში (ა) და (ბ) რომელიც იწოდება „ძეგლების შემცველ ცენტრებად“.

2. კონვენციის უმთავრესი მიზნები მოცემულია: მუხლ 3-ში, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ და მუხლ 4-ში, „კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილება“. ქვეყნები, რომლებიც არიან ჩართულნი კონფლიქტებში, შეთანხმდნენ მშვიდობის დროს მოამზადონ შესაბამისი სტრატეგიები კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ორივე მხარე თავს იკავებს კულტურული ძეგლების და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისეთი გამოყენებისა ანდა მის დასაცავად ისეთი მიზნებისთვის გამოყენების მოშველიებისაგან, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან მას და, მეორე მხრივ, თავს იკავებს ამგვარი ობიექტების მიმართ მტრული ქმედებისაგან.

მუხლი 3

„მაღალი მონაწილე მხარეები მშვიდობიანობის დროს ემზადებიან მათ საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის შეიარაღებული კონფლიქტისთვის განჭვრეტადი ზემოქმედებისგან დაცვისთვის და იღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც მათ შესაფერისად მიაჩნიათ.“

მუხლი 4

„1. მაღალი მონაწილე მხარეები უფრთხილდებიან კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც განლაგებულია როგორც მათ საკუთარ, ასევე მათ მეორე მაღალი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თავს იკავებენ მემკვიდრეობის ობიექტების და მისი მიმდებარე ტერიტორიების ყველანაირი ისეთი გამოყენებისა ანდა მის

დასაცავად ისეთი მიზნებისთვის გამოყენების მოშველიებისგან, რომელთაც შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტისას ისინი განადგურებისა ან დაზიანებისთვის განიროს; თავს იკავებენ ასევე ამგვარი ობიექტების მიმართ რაიმე სამტრო ქმედებისგან.

3. მაღალი მონაწილე მხარეები კრძალავენ, გამაფრთხილებელ ზომებს იღებენ და, თუ საჭიროა, აღკვეთენ ძარცვას, დატაცებას და არაშესაბამისად მოპყრობას, ასევე კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ნებისმიერ ვანდალურ ქმედებას. ისინი თავს იკავებენ მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების გატანისგან, რომლებიც მდებარეობენ მეორე მაღალი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

4. ისინი თავს შეიკავებენ ყველანაირი შურისმაძიებლობითი ქმედებისგან კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.“

3. კონვენციის მე-6 მუხლი ეხება „კულტურული მემკვიდრეობის განმასხვავებელ მარკირებას“, მე-10 მუხლი – „იდენტიფიკაცია და კონტროლი“ – გვთავაზობს განმასხვავებელი ემბლემის გამოყენებას მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციისთვის.

მუხლი 6

მე-16 პარაგრაფის დადგენილებების თანახმად, კულტურულ ობიექტს შეიძლება ჰქონდეს განმასხვავებელი ემბლემა მისი გამოცნობის გასაადვილებლად.

მუხლი 10


„შეიარაღებული კონფლიქტის დროს საგანგებოდ დაცული კულტურული მემკვიდრეობა აღინიშნება განმასხვავებელი ემბლემით, რომელიც აღწერილია მე-16 მუხლში და მისანვდომი იქნება საერთაშორისო კონტროლისთვის, როგორც ამას ადგენს კონვენციის აღსრულების წესი“.

მუხლი 16 ეხება კონვენციის ემბლემას და მე-17 მუხლი – ემბლემის გამოყენებას. იგი დაწვრილებით გვაცნობს „ბლუ შილდის“ ემბლემის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოყენების მიზნობრიობას.

მუხლი 16

„1. კონვენციის განმასხვავებელ ემბლემას ქვევითკენ ნაწვეტებული ფარის ფორმა აქვს, ცისფერსა და თეთრ ფერებში (ფარი შედგება ცისფერი კვადრატისაგან, რომლის ერთი კუთხე ქმნის ფარის წვერს და ცისფერი სამკუთხედისგან კვადრატის ზემოთ, ხოლო მათ შორის სივრცეს ავსებს ორი თეთრი სამკუთხედი).

2 ემბლემა შეიძლება დატანილი იქნას მარტო ან განმეორდეს სამჯერ, სამკუთხედად დალაგებული (ერთი ფარი-ქვევით) პირობები იხილეთ მე-17 მუხლში.”



მუხლი 17

„1. სამჯერ განმეორებული განსაზღვრული ემბლემა შეიძლება გამოყენებული იქნას საიდენტიფიკაციოდ მხოლოდ:

- ა) საგანგებოდ დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის აღსანიშნავად.
- ბ) კულტურული მემკვიდრეობის ტრანსპორტის აღსანიშნავად მე-12 და მე-13 მუხლებში აღწერილი პირობების თანახმად;
- გ) სახელდახელო თავშესაფრების აღსანიშნავად კონვენციის აღსრულების წესების თანახმად.

2. განმასხვავებელი ემბლემა ერთჯერადად შეიძლება გამოყენებულ იქნას საიდენტიფიკაციოდ:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის აღსანიშნავად, რომელიც არ არის საგანგებოდ დაცული;
- ბ) პასუხისმგებელი პირების აღსანიშნავად, რომლებსაც აკისრიათ კონტროლის მოვალეობა კონვენციის აღსრულების რეგულაციების თანახმად;
- გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვით დასაქმებული პერსონალის აღსანიშნავად;
- დ) საიდენტიფიკაციო ბარათებისთვის, რომლებიც ასევე ნახსენებია კონვენციის აღსრულების რეგულაციებში.

4. დარეგისტრირებული კულტურული მემკვიდრეობის საგანგებოდ დაცვისა და მოძრავი მემკვიდრეობის შესანახად გათვალისწინებული მცირერიცხოვანი თავშესაფრების შესახებ განწესებანი მოცემულია მე-8 მუხლში „საგანგებოდ დაცვის მინიჭება“ და მე-9 მუხლში „საგანგებოდ დაცული კულტურული მემკვიდრეობის იმუნიტეტი“. მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის თავშესაფრებს ენიჭებათ იმავე ტიპის დაცვა, როგორც რეგისტრირებულ კულტურულ მემკვიდრეობას.

მუხლი 8.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის შესანახად გათვალისწინებულია მცირერიცხოვანი ცენტრები, რომლებიც მოიცავენ მოძრავ ძეგლებს და საგანგებოდ უნდა იყვნენ დაცული, თუ ისინი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) უნდა იქნენ განლაგებულნი დიდი ინდუსტრიული ცენტრებისა ან შედარებით მნიშვნელოვანი ნავსადგურის, მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტებისგან (რომლებიც ნაკლებადაა საშიშროებისგან დაცული) ადეკვატური მანძილის მოშორებით (მაგ., აეროდრომი, რადიო მაუწყებლობის სადგური, რაციონალური თავდაცვისათვის მომუშავე დანესებულება, საგანგებოდ ან სარკინიგზო სადგური ან კომუნიკაციის მთავარი ხაზი;
- ბ) არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისთვის.

2) თავშესაფარი მოძრავი კულტურული მემკვიდრეობისთვის აგრეთვე უნდა იყოს საგანგებოდ დაცული, მიუხედავად იმისა,

თუ რა გამძლეობის შენობაა (მაგ., თუ ისეა აგებული, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არ დაზიანდება დაბომბვის დროს).

ნ. საგანგებო დაცვა კულტურულ მემკვიდრეობას ენიჭება მაშინ, როდესაც იგი ხვდება „განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში“ (**International Register of Cultural property under Special Protection.**) აქ შეტანა ხდება მხოლოდ ამ კონვენციის განწესებათა თანახმად და „კონვენციის აღსრულების რეგულაციის“ პირობების დაცვით.

1993 წლის გენერალური კონფერენციის რეკომენდაციების თანახმად, UNESCO დაუკავშირდა ჰააგის კონვენციის ხელმომწერ მხარეებს და სთხოვა მათ განეხილათ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების „განსაკუთრებული ზრუნვის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის“ საერთაშორისო რეესტრში ნომირების შესაძლებლობა. დღესდღეობით რამდენიმე სახელმწიფომ მიმართა UNESCO-ს მათი კუთვნილი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების რეესტრში შეყვანის თხოვნით.

მუხლი 9

„მაღალი მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ საგანგებოდ დაცული კულტურული მემკვიდრეობის იმუნიტეტს. საერთაშორისო რეესტრში მისი შეყვანისთანავე თავს შეიკავებენ რა ყველა სახის და (მუხლ 8-ის 3-5 პარაგრაფით გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით) ასეთი ობიექტების და მათი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებისგან.“

5. მე-18 მუხლი – „კონვენციის განხორციელება“, აღწერს პირობებს, რომლის დროსაც უნდა მივმართოდ კონვენციას.

მუხლი 18

„1. გარდა იმ განწესებისა, რომელიც უნდა აღსრულდეს მშვიდობიანობის დროს, წინამდებარე კონვენცია ასევე უნდა გამოიყენებოდეს მაღალი მონაწილე მხარეებს შორის გამოცხადებული ომისა თუ ნებისმიერი სხვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, თუ საომარი მდგომარეობა ოფიციალურად არაა აღიარებული მასში ჩართული ერთი ან მეტი მხარის მიერ.

2. კონვენცია აგრეთვე გამოიყენება რომელიმე მაღალი მონაწილე მხარის ტერიტორიის მთლიანი თუ ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში, განურჩევლად შეიარაღებული თუ სხვა სახის ოკუპაციისა“.

3. თუკი შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული რომელიმე მხარე არ არის ამ კონვენციის წევრი, ის ძალები, რომლებიც კონვენციის წევრები არიან, მაინც იქნებიან ვალდებული დაიცვან იგი თავის ორმხრივ ურთიერთობაში. შემდგომ, ისინი ვალდებული არიან დაიცვან კონვენცია ზემოხსენებულ ძალასთან მიმართებაშიც“.

6. კონვენციის წევრი სახელმწიფოები თანახმები არიან იკისრონ პასუხისმგებლობა გაავრცელონ იგი და ანგარიში წარმოადგინონ თავისი მოქმედებების შესახებ. ეს წარმოდგენილია 25-ე მუხლში „კონვენციის გაავრცელება“ და 26-ე მუხლში – „თარგმანები, ანგარიშები.“

მუხლი 25

„მაღალი მონაწილე მხარეები, როგორც მშვიდობის ასევე კონფლიქტის დროს, კისრულობენ პასუხისმგებლობას რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ თავთავიანთ ქვეყნებში არსებული კონვენციის ტექსტი და მისი გამოყენების რეგულაციები. საამისოდ ისინი, კერძოდ, შეიტანენ კონვენციის სწავლებას სამხედრო და, თუ შესაძლებელია, სამოქალაქო წვრთნის პროგრამებში, რათა მათი პრინციპები ცნობილი გახდეს მთელი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში“.

მუხლი 26

„...გარდა ამისა, სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ, ისინი ვალდებული არიან გაუგზავნონ გენერალურ დირექტორს ანგარიში, რომელიც შეიცავს მათ მიერ შესაფერისად მიჩნეულ ინფორმაციას იმ ზომებთან დაკავშირებით, რაც მიღებულია, განზრახული თუ მოფიქრებული მათი შესაბამისი ადმინისტრაციის მიერ ამ კონვენციისა და რეგულაციების აღსასრულებლად“.

8.3 შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შემუშავება

შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შემუშავება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო და რეგიონალურ დონეზე, ცალკეული ობიექტებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასეთი სტრატეგიების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პუნქტები:

- ყველა ქმედებისა და პრევენციული ზომის გეგმა შემუშავებული უნდა იქნეს მშვიდობიანობის დროს, სამხედრო ძალების ადგილობრივი ხელისუფლების იურისტების და მემკვიდრეობის ექსპერტების ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. მათი კოორდინირება შეიძლება ითავოს კონვენციის მრჩეველთა ეროვნულმა კომიტეტმა;
- მშვიდობის დროს მიღებული პრევენციული ზომები უნდა მოიცავდეს შემდეგ პრევენციულ ქმედებებს შეიარაღებული კონფლიქტების მიერ გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით; ხანძარსა და სანაღმდეგო პრევენციის ზომები, რომელნიც აღწერილია მე-5 თავში, აქ აღარ იქნება გამეორებული.
- მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტის იდენტიფიკაცია და 1995 წლის ჰააგის კონვენციით გათვალისწინებულ რეესტრში შეყვანა;
- ჰააგის კონვენციის – „ბლუ შილდის“ – ემბლემის რეგისტრირებულ კულტურულ ობიექტზე მოთავსება, როგორც ის გათვალისწინებულია კონვენციით;
- თავშესაფრების იდენტიფიკაცია, სადაც მოხდება მნიშვნელოვანი მოძრავი მემკვიდრეობის ტრანსპორტირება და დაცვა კონფლიქტის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია ჰააგის კონვენციით;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მოგვარება და გავრცელება შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში;

- სახელმძღვანელოების მომზადება მემკვიდრეობის ობიექტთა მენეჯერებისთვის და მფლობელებისთვის დაცვის ტექნიკასა და პრინციპებთან დაკავშირებით და სამხედრო ტექნოლოგიის ევოლუციის გათვალისწინებით;
 - პირდაპირი დახმარების განევა რეგისტრირებულ თუ მნიშვნელოვან კულტურულ ობიექტთა მენეჯერებისთვის ნაგებობების, მისი ნაწილების და ნივთების ფიზიკური ბუფერებით და დამცავი საბურველებით უზრუნველსაყოფად;
 - წინასწარ უნდა იყოს გამორკვეული ყველაზე ეფექტური საშუალებები მემკვიდრეობის ექსპერტთა ადგილზე მისაყვანად შენობის დაბომბვის ან იერიშის შედეგად დაზიანების შემთხვევაში დაზიანების ხარისხის შესაფასებლად;
 - საგნების შესანახად განკუთვნილი თავშესაფრებისთვის სტაბილური პირობების, საკონსერვაციო მასალის, იარაღების, სამუშაო ადგილის და საგნებისთვის პირველადი დახმარების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა;
 - ადვილად გასაგები, არა-ტექნიკური ენით სამხედრო პერსონალისთვის დაწერილი სახელმძღვანელოების შედგენა, სადაც განმარტებული იქნება, რას ნიშნავს ჰააგის კონვენციის გამოყენება და მოცემული იქნება რუკები დაცული ღირსშესანიშნავი ადგილისა და ძეგლის მითითებით; და
 - სამხედრო ძალების წვრთნა რათა მათ მჭიდროდ ითანამშრომლონ კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტებთან და უკეთ გააცნობიერონ, რა ქმედებებია მიზანშეწონილი კონფლიქტის დროს. მაღალი ნოდების მეთაურებს წვრთნა უნდა ჩაუტარდეს, რომელთაც ძალა შესწევთ კონფლიქტის დროს გაატარებინონ ჰააგის კონვენციისა თუ მსგავსი შეთანხმებების განწესებანი.
- სამხედრო ძალებმა შესაძლოა მოითხოვონ მემკვიდრეობის დაცვის მოხელის დანიშვნა, რომელიც დახმარებას გაუწევს პრევენციული ზომების მიღებაში, მიღებული ზომების აღსრულებაში და უზრუნველყოს მემკვიდრეობის მეთვალყურეობა და მასზე ზრუნვა კონფლიქტის დროს. ამგვარი მოხელის მოვალეობებში უნდა შედიოდეს:
- რჩევის მიცემა მთავარსარდლებისთვის იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც კულტურული მემკვიდრეობა მოიპოვება;

- სამხედრო მოქმედებების დროს კულტურული ობიექტებისადმი ფრთხილი მოპყრობის ხელშეწყობა რუკების დამზადების, ინფორმაციის გავრცელებისა და წვრთნის მეშვეობით;
- საგანგებო ვითარების დროს დახმარების გასაწევად ან გადასარჩენად რეკომენდაციების და რჩევების მომზადება;
- ისტორიული შენობების სამხედრო მიზნით გამოყენების თავიდან აცილება.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი და ინსპექცია უნდა განხორციელდეს როგორც შემდგომი ქმედების საფუძველი. მემკვიდრეობის დაცვის მოხელეს ან გამოყოფილ სამხედრო პირებს მოუხდებათ:

- გადაუდებელი რჩევის მიცემა დახმარების, საფრთხის ქვეშ მყოფი საგნების საგანგებო ვითარებაში გადატანის, კონსერვაციის განაწესების გამოყენებისა და თავშესაფრების სტატუსისა და გამოყენების გამო;
- მოლაპარაკების წარმოება იმათთან, ვისგანაც შეიძლება ხიფათი შეექმნას აღრიცხულსა და სიებში შეტანილ კულტურულ მემკვიდრეობას, რათა მით უფრო მეტად გაითვალისწინონ ჰააგის კონვენციის განწესებანი;
- საჩქაროდ საჭირო ანგარიშებისა და დოკუმენტაციის შედგენა დაზიანებული ან საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის შესახებ;
- კონვენციის სპეციალისტების ტრანსპორტაციის უზრუნველყოფა, მათი მობილურობის გაზრდის მიზნით;
- გადაუდებელი შესაკეთებელი სამუშაოების თვალყურის დევნება 1954 წლის ჰააგის კონვენციის მითითებათა ფარგლებში (მუხლი 5);
- დახმარება გაუწიონ კულტურულ მემკვიდრეობაზე მზრუნველ ადგილობრივ ხელისუფალთ დაზიანებული ძეგლებისთვის სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავებაში.

შესაბამისი განკარგულებების გამოყენება კულტურული მემკვიდრეობის სასტიკ ძარცვასა ან დაზიანებაზე პასუხისმგებელ პირთა დასასჯელად.

თავი 9 **სსპა სახის საფრთხეები**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის სპეციალური სტრატეგიის შემუშავება რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ბევრმა სხვა სახის ბუნებრივმა (ცუნამი, მენყერი, ზვავი, ქარიშხალი და ტროპიკული შტორმი), თუ ადამიანის მიერმა საშიშროებამ (არაადეკვატური მოვლა, ინდუსტრიული დაბინძურება და უბედური შემთხვევები) შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. ამგვარი საშიშროებები ქვემოთ ნაკლებად დეტალურად არის განხილული, ვიდრე წინა თავებში წარმოდგენილი, თუმცა კი, მიუხედავად ამისა, მათი უგულვებელყოფაც შეუძლებელია ყოველსმომცველი რისკისთვის მზადყოფნის სტრატეგიის შემუშავებისას. ამ და სხვა გარემოებებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

9.1 ცუნამი

ცუნამი (ანუ მოქცევის ტალღები) არის კატასტროფა, რომელსაც სანაპირო რეგიონებისთვის პოტენციურად დიდი მნიშვნელობა აქვს. საშიშროებისთვის მზადების დაგეგმვისას ცუნამის მიმართ შემდეგი უნდა იქნას გათვალისწინებული:

- ალბათობა ცუნამის გამოჩენისა ამა თუ იმ რეგიონში ანდა მის ახლო მიდამოებში, რამაც შეიძლება რეგიონზეც იმოქმედოს;
- ცუნამის სავარაუდო სიმაღლე და ხმელეთზე შეღწევალობა;

რუკაზე უნდა დატანილ იქნეს ზონები, რომლებიც შესაძლოა დაიფაროს სხვადასხვა სიმძლავრის ტალღების მიერ;

- რეგიონის ამა თუ იმ კულტურული მემკვიდრეობის ცუნამის ტიპის ტალღების მიმართ მგრძნობელობა.

სანაპიროს დაცვის შესაძლო საშუალებები ცუნამისგან შეზღუდულია. ერთი მათგანია დარტყმის ასარიდებლად სანაპიროს ჯებირების აშენება. შემარბილებელი ზომები ძირითადად მიმართული არის ნაგებობების გაძლიერებისკენ განთავსებული მაღალი შეღწევადობის ზონაში.

9.2 მენყერაჲი, ზვაჲეჲი და ღჲარცოჲეჲი

მენყერეჲი და ზვაჲეჲი მთა-გორიანი რეგიონებისათვის მნიშვნელოვანი საშიშროებეჲია. ისინი სხვა საშიშროებეჲს შეიძლება მოყვეს; მენყერი ხშირად წყალმოვარდნის დროს ხდება, ისეთ რეგიონებში, სადაც წვიმის მაღალი პროცენტულობაა აღნიშნული და სადაც მინის ზედა შრე მოცილებული ან ეროზირებულია.

მენყერეჲისა და ზვაჲეჲის საშიშროებისთვის მზადების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- წარსულში მომხდარი მენყერეჲისა და ზვაჲეჲის გავრცელების რუკების გამოყენება;
- ფერდობების სტაბილურობის შეფასება; ნიადაგის ფენების ტიპი და შემადგენლობა; და ნიადაგის ზოგადი მიდრეკილება დამენყერეჲისა და ჩამოზვაჲეჲისკენ (წარსული მოვლენების გათვალისწინებით);
- ზვაჲეჲის, მენყერეჲის და ღჲარცოჲეჲის გავრცელების გზაზე არსებული წინაღობეჲი; სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, გარეშე ფაქტორეჲი, როგორიცაა წყლით გაჟღენთვა და სეისმური აქტივობა.
- სისტემატური აგეგმვა იმ რეგიონებისა, რომელთაც ემუქრება საშიშროება შესაძლო მენყერეჲისა და ზვაჲეჲისაგან.

შესაძლო დამცავი ზომეჲსა და სამუშაოეჲს შორის არის:

- o ფერდობების დრენაჲი და წყლის ინფილტრაციის ჟონვის შენელება;

- სამაგრი კედლებისა და ნარგავების გამოყენება;
- კვლევების ჩატარება ტყის და მიწის სხვა საფარის ფუნქციის უკეთესად გასაანალიზებლად;
- მიწის გამოყენებასა და ექსპლუატაციაზე კონტროლის დანესება;

9.3 ქარები ან ტროპიკული ბრიბალაზი (ქარიშხლები, ტაიფუნები და ა.შ)

შტორმები, რომლებიც ძლიერ ქარებსა და დიდი რაოდენობით ნალექებს უკავშირდება, სანაპირო ზოლის რაიონებისთვის, ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატისთვის არიან დამახასიათებელი.

ასეთი სახის კატასტროფებისთვის მზადების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ:

- შტორმების შესაძლო ინტენსივობის და სიხშირის შეფასება. მონაცემებმა უნდა აჩვენოს ქარის სისწრაფე, ხანგრძლივობა და გაბატონებული მიმართულება;
- ტოპოგრაფიული თავისებურებები, რომლებსაც შესწევთ უნარი დაიცვან ან, პირიქით, საფრთხეში ჩააგდონ მემკვიდრეობის ობიექტები;
- საფრთხის წინაშე მყოფ ელემენტებზე სხვა შენობების, მცენარეებისა ან ლანდშაფტური ელემენტების შესაძლო (ნეგატიური ან პოზიტიური) ზემოქმედება;
- სახურავის საბურველის და მზიდი კონსტრუქციების ადეკვატურობა ქარის ძალის გასაძლევად (ე.ი. უნარი შეენინააღმდეგოს ქარისგან აყრას, სიძლიერე, საკეტები და ა. შ.);
- კოშკების, შპილების, პინაკლების, პარაპეტების, გუმბათების და სხვა ადვილად დაზიანებადი ელემენტების სტაბილურობა და მათი შესაძლო დამატებითი შემაგრება;
- დიდი, უსაყრდენო კედლების იდენტიფიკაცია, კონსტრუქციის გამძლეობის უნარის გაძლიერება, სარკმლების და ღიობების წყლით ატაცებული ნანგრევებისგან დაცვა.

9.4 ადამიანისმიერი საშიშროებანი

ანთროპოგენური საშიშროებანი მოიცავს ვანდალიზმს, ძარცვას, ცეცხლის წაკიდებას, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებას (როგორცაა მოლოტოვის კოკტილი) და უბედურ შემთხვევებს (მაგ., ავტოავარიები).

სტრატეგიის ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნას არასასურველი შეღწევისა და მათთან დაკავშირებული ზიანის თავიდან ასაცილებლად.

9.5 არაადეკვატური მოვლა

მოვლის დაბალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს შენობის სიცოცხლისუნარიანობის შემცირება და გაიზარდოს მის მიერ მოტანილი საშიშროებების ალბათობა. ასეთი საშიშროებებია მაგ., აგურის ან ქვის წყობის მოშლა და ჩამოყრა, კონსტრუქციების და შენობის საძირკვლის ნგრევა (შესაძლოა, მაკავშირებლების მოშლამ ან გამოუვლენელმა ლპობამ შეასუსტოს). მემკვიდრეობის ობიექტის ჯანსაღი გაძღოლის უმთავრესი ელემენტი სწორედ მოვლის მაღალი დონისთვის თავის გადადებაა.

9.6 ინდუსტრიული დაზინძურება და კატასტროფები.

ინდუსტრია წარმოადგენს პოტენციური საფრთხის წყაროს. ინდუსტრია აქტივობისას ჰაერში შერეულ დამბინძურებლებს აფრქევს, რაც ილექება ან ნვიმის სახით ედება შენობას და საბოლოოდ ქვის დაშლას იწვევს. ხშირად ტოქსინები მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგში ან წყალში გამოიყოფა. ინდუსტრიულმა უბედურმა შემთხვევებმა, ბოლოს, შესაძლოა გააცამტვეროს არა მარტო ის ობიექტი რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს, არამედ მის მიმდებარედ განლაგებული ობიექტებიც.

მემკვიდრეობის ობიექტის მზადყოფნის სტრატეგიის დაგეგმვისას ეს ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული, მით უმეტეს, თუ ობიექტი ინდუსტრიული დიდი ნაგებობის ახლოს ან ინდუსტრიულ დასახლებაში მდებარეობს.

მზადყოფნის გეგმამ მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტებისთვის უნდა მოიცვას სიფრთხილის ზომები ყველა შესაძლო ინდუსტრიული საშიშროების მიმართ. საგანმანათლებლო პროგრამებით უნდა გაიწვრთნას ჯარისკაცები, პოლიციელები და ყველა, ვინც საზოგადოებრივი უშიშროებისთვის მუშაობს კატასტროფებზე რეაგირების ინტეგრირებული სტრატეგიის გასაცნობად. ამას გარდა, წვრთნის პროგრამებმა უნდა ნათელყოს კონკრეტული საშიშროებანი კულტურულ მემკვიდრეობაზე და მიუთითოს შველის შესაბამის ღონისძიებებზე.

III. ავამოქმედოთ რისკისათვის მზაობა

თავი 10

ცალკეული ქაბლისთვის განკუთვნილი მზადყოფნის გეგმის შემუშავების ძირითადი პრინციპები

შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები განკუთვნილია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯერების დასახმარებლად, რომლებიც მონაწილეობენ თავიანთი ღირსშესანიშნავი ადგილების მზადყოფნის გეგმის შემუშავებაში. ეს ზომები მიმართულია კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფაქტორებზე ყურადღების გასამახვილებლად, რისკისთვის მზადყოფნის უკვე წარმოდგენილი ზოგადი სტრუქტურის შესავსებად. ზომების ჩამონათვალი კატასტროფებსა და კონფლიქტებამდე მათ დროსა და შემდგომ გამოსაყენებლად. დასასრულს „ზიანის შეფასების კითხვარი“ საგანგებო რეაგირების დროს მოსაშველიებლადაა განკუთვნილი.

10.1 ღირებულებები წინასწარი დაგეგმვისთვის

- **დოკუმენტაცია, აღწერილობა და ფიქსაცია**
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტის მონიშვნა, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ მზრუნველობას საგანგებო ვითარების დროს.
- ✓ მონიშნული ობიექტების ღირებულებების და თვისებების ანალიზი.
- ✓ თანამედროვე დოკუმენტაცია მემკვიდრეობის ობიექტების (ინტერიერი და ექსტერიერი) ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოდგება რეკონსტრუქციისა თუ ელემენტთა ჩასანაცვლებლად.

- ✓ მუდმივი მუშაობა არქიტექტორებისა და ინჟინრებისათვის მშენებლობის ტრადიციული მეთოდების გასაცნობად, რომლებიც ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული რეაგირების დროს.
- ✓ მემკვიდრეობის ობიექტზე კატასტროფებზე რეაგირების, შეძლებისდაგვარად, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე გაკვეთილების წარმოჩენითურთ.

- **რისკის ანალიზი**

- ✓ საფრთხის საშიშროებებში, საშიშროებების ხარისხის არასაკმაო მდგრადობა და შესაბამისი რისკი;
- ✓ იმ არეთა შეფასება, რომელნიც არასაკმაოდ მდგრადნი შეიძლება აღმოჩნდნენ ავდრის დამაზიანებელი მოვლენებისადმი, თანადროული რეკომენდაციებით პოტენციური დაზიანების შესამცირებლად;
- ✓ შენობის კონსტრუქციის სადრენაჟო სისტემის, წყალგაყვანილობის, გაზის, ელექტროობის, ტელეფონის და სხვა გაყვანილობათა მიმართ რისკის შეფასება და რეკომენდაციები საგანგებო ვითარებაში მათი უკეთ დაცვის შესახებ;
- ✓ რისკის თემატური რუკები, რომლებიც ასურათებს ცალკეული საშიშროებების ზემოქმედების არეებს;
- ✓ დაზღვევა რისკის შედეგების დასაფარავად; დაზღვევამ უნდა დაფაროს ყველა სახის საშიშროება, ყველა ქმედება, რათა დაფაროს საგანგებო რეაგირების დავალიანება და ყველა საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაო;
- ✓ საგანგებო ვითარების დროს საგანგებო რეაგირების გეგმის შემუშავება მოსალოდნელი ხელმძღვანელობა-უფლებამოსილებათა ჯაჭვის გამოკვლევა;
- ✓ ყველა პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი განკარგულებების ადეკვატური ცოდნის უზრუნველყოფა;
- ✓ საგანგებო რეაგირების გუნდების მომზადება (სპეციალიზაცია და რესურსები); საგანგებო რეაგირების გუნდებისთვის და დამხმარე ღონისძიებებისთვის სამოქმედო ბაზის შექმნა (სანვაი, გენერატორი, საგანგებო განათებით და საგანგებო ნუსხებით);

- ✓ საგანგებო ჯგუფის მომზადებისას უნდა მოხდეს მათი მონაცემთა ბაზის შედგენა და შენახვა (საგანგებო გუნდის ლიდერი, წევრები და მათი ტელეფონის ნომრები, მნიშვნელოვანი საკონტაქტო პირების ტელეფონის ნომრები, მათ შორის, საგებობის მეპატრონის, ღირსშესანიშნავი ადგილის მენეჯერის, მისი კატასტროფებზე რეაგირების მოხელეების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, სახანძრო და პოლიციის განყოფილებების, ხელმისაწვდომი ექსპერტების, ტრანსპორტაციის კომპანიების და კონსერვაციის (რეფორგერაცია) წყალსადენის ოსტატის, ელექტრიკოსის და დარაჯის ან მეეზოვის);
- ✓ რეაგირების გეგმა: პრიორიტეტების, მოქმედების და ვალდებულების გამოკვლევა; სამოქმედო გეგმა არ უნდა იყოს ხისტი და ერგებოდეს სხვადასხვა პირობებსა და საჭიროებებს;
- ✓ ყურადღება უნდა გამახვილდეს პერსონალის წვრთნაზე. თუ პერსონალი გაცნობილია რეაგირების გეგმის შინაარსს და იზიარებს მის კონცეფციას, მას უნარი შესწევს რეაგირების მითითებებს მისდიოს და გასწიოს საგანგებო რეაგირების გუნდის წევრების მაგივრობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გუნდის რომელიმე წევრი მოუხელთებელი აღმოჩნდა;
- ✓ რეაგირების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის ზომებს ყველა მოსალოდნელი საშიშროების დროს;
- ✓ შემოტანილი უნდა იქნას მემკვიდრეობის ობიექტის რეაგირების გეგმის მუდმივი განხილვისა და მოდერნიზაციის მექანიზმი, მათ შორის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის საკვანძო პირებისთვის გადაცემა;
- ✓ უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს (უსაფრთხოების შემონმებასთან ერთად), რომ საგანგებო ვითარებაზე რეაგირების მონონებული გეგმები ტესტირებულია და ყოველწამ დღევანდლობას შეთანხმებული;
- ✓ უნდა შემუშავდეს და ყოველწამ დღევანდლობას შეთანხმებული იყოს გადარჩენისა და კონსერვაციისათვის მომზადებული კვალიფიციური კონსერვაციის სპეციალისტების ნუსხა.

- **ქმედებანი კატასტროფის წინასწარ შესარბილებლად**
- ✓ კონსტრუქციების გამაძლიერებელი ზომების მიღება (ქარიშხლების ზონაში სახურავების სეისმური მდგრადობის);
- ✓ საფრთხის ქვეშ მყოფი ობიექტებისთვის და ღირსშესანიშნავი ადგილების შესანახი ადგილის ტრანსპორტირება და დაცვის უზრუნველყოფა;
- ✓ წყლით დაზიანებული კოლექციების გასაყინად და მშრალი ყინულით აღჭურვილ სახელოსნოებში დაზიანებული ობიექტის შესაკეთებლად მისატანად;
- ✓ შერბილების გამოცდილებისა და მოდელების მისაწვდომობის გაუმჯობესება.
- **ფინანსური ჩარჩო**
- ✓ გადაუდებელი საჭიროებისას საგანგებო დაფინანსების მისაწვდომობის უზრუნველყოფა; და
- ✓ გრძელვადიანი დაფინანსების მოპოვება საჭირო შეკეთებისა და რეკონსტრუქციისთვის.

10.2 კატასტროფისა და კონფლიქტის დროს რეაგირების ძირითადი პრინციპები

ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია-რეაგირების გეგმის გამოსაყენებლად. რეაგირების გეგმამ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები და შესაბამისი ზომები რათა:

- ✓ უზრუნველყოს უსაფრთხოება ადგილზე საგანგებო ზომების მიღებამდე;
- ✓ გადაარჩინოს ხალხი;
- ✓ გააფრთხილოს სხვები, მათ შორის, საგანგებო ვითარებათა ადგილობრივი ცენტრები და სამაშველო ერთეულები;
- ✓ გადაარჩინოს პირადი ქონება, მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და კოლექციები;

- ✓ შეძლებისდაგვარად შეზღუდოს ან შეაჩეროს საშიშროების გავრცელება;
- ✓ დაგეგმოს და გააგრძელოს საგანგებო მომსახურება.
- რეაგირების საგანგებო ჯგუფების მობილიზაცია.
- ✓ მოსვლისთანავე საგანგებო გუნდი მზად უნდა იყოს პრიორიტეტი მიაწოდოს შემდეგს:
 - ✓ მუნიციპალურ, რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე საგანგებო რეაგირების სააგენტოებთან კომუნიკაციას;
 - ✓ სამოქმედო უფლებების და მანდატის ნათელყოფას, ადგილზე ბანაკის და კავშირების გამართვას. მოაგვაროს ადგილზე დაბინავების და კავშირურთიერთობების საკითხები;
 - ✓ დამოუკიდებელი კონსერვაციის სპეციალისტების მიერ უნდა ჩატარდეს შეფასება და დოკუმენტაცია, რათა გაირკვეს:
 - ✓ მოკლევადიანი სტაბილიზაციის, უსაფრთხოებისა და უშიშროებისთვის საჭირო ზომები;
 - ✓ გრძელვადიანი შეკეთების პრიორიტეტები;
 - ✓ დანაკარგის და კვლავ გარდაუვალი დანაკარგის შემთხვევები; და
 - ✓ შემდგომი დეტალური დათვალერების საჭიროება.

„ზიარის შეფასების კითხვარის“ გამოყენება, რომელიც მოყვანილია სექციაში 10.4 რეკომენდირებულია როგორც კოლექციის სისტემატიზაციისა და შესაბამისი ინფორმაციის ორგანიზების საშუალება.

10.3 საშიშროებას და კონფლიქტის შემდგომი ქმედების ძირითადი პრინციპები

აღდგენა და რეკონსტრუქცია.

- ✓ კონსერვაციის გამოსაყენებელი სტანდარტების და პრინციპების გაგება;

- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებების მინიჭების და პროექტების სტანდარტების დადგენაში მონაწილეობა;
- ✓ საგანმანათლებლო და წვრთნის პროგრამები მოსახლეობის, მოიჯარეთათვის, დამპროექტებლებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის;
- ✓ საჭირო შესაკეთებელი მასალების წყაროებისა და მისაწვდომობის, ასევე მომარაგებათა დადგენა;
- ✓ დაზიანებული ობიექტების გამოსაყენებლად უსაფრთხო ადგილების შემოსაზღვრა;
- ✓ კომუნალური სისტემების საგულდაგულო ინსპექციის გზით დაზიანებული ელექტრო გაყვანილობის, გაზის გატეხილი მილების, გათბობებისა და წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო და დრენაჟის სისტემების შემოწმება;
- ✓ რეაგირების გეგმის, მზადყოფნის სისტემების და სახელმძღვანელოების შემდგომი გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების ეფექტურობის შეფასება.

10.4 ზიანის შეფასების მიახლოებითი კითხვარი

„დაზიანების შეფასების“ წინამდებარე „მიახლოებითი კითხვარი“ გვაძლევს იმ მნიშვნელოვანი სფეროების ზოგად მიმოხილვას, რომელთა დაფარვა უნდა იყოს ზიანის პირველადი შეფასების მიზანი

- ფორმა ივსება (ვის მიერ):
- ობიექტის სახელწოდება:
- მისამართი:
- აშენების თარიღი:
- გამოიყენება (საცხოვრებლად, რელიგიური, სამოქალაქო, ან სხვა):
- აღწერა (ზომა, კონსტრუქცია, მასალები, სტილი):
- მფლობელის სახელი:
- პასუხისმგებელი პირი:

დაზიანების შეფასება

- დაზიანების თარიღი:
- დაზიანების ტიპი – 1: გარეგანი დაზიანება.
- წყარო: მოუვლელიობა, უგულებელყოფა, ხანძარი, კვამლი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შეიარაღებული კონფლიქტი (მცირე კალიბრის იარაღი, ნაღმტყორცნი, ჭურვი, ყუმბარა და სხვა), თანმდევი სხვა (დააზუსტეთ) გავლენა (დააკონკრეტეთ):
- მსუბუქი დაზიანება (სახურავი, კედელი, დეკორი):
- კონსტრუქციული დაზიანება:
- მძიმე დაზიანება რეკონსტრუქციის გარეშე ვერ იქნება გამოყენებული განადგურებული (მხოლოდ საძირკველია დარჩენილი):

მძიმე დაზიანების ტიპი – 2: შიდა დაზიანება.

- წყარო: ძარცვა, ვანდალიზმი, ხანძარი, მიწისძვრა, შეიარაღებული კონფლიქტი, სხვა (დააკონკრეტეთ) კონსტრუქციული გავლენა (დააკონკრეტეთ):
- დაზიანებულია შენობის ინტერიერი (კედლები, დეკორი, ქერი) შიგთავსი მოპარული ან დაზიანებული (ტილოები, სანათურები, ავეჯი, დეკორი):
- სანყოფი (გადარჩენილი ობიექტებისთვის):

ვის ენიჭება პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო? რა მდგომარეობაშია მიმდებარე გარემო?

- დაზიანებული
- ხელუხლებელი

მოპოვებული ინფორმაციის წყაროები:

- პირდაპირი დათვალიერება
- დოკუმენტები (სახელმძღვანელოები, სურათები, საგანგებო ზომები)
- ადგილობრივი ხელისუფლება

- ადგილობრივი მოსახლეობა
- თვითმხილველები
 - სახელი
 - მისამართი
 - მზადაა ტესტირებისთვის?

დაზიანების შემდეგ ჩასატარებელი ზომები:

- შესასვლელები ლიმიტირებულია თუ დახურული?
- მოთავსებულია თუ არა ობიექტზე საშიშროების მანიშნებლები?
- ბარიერები შესვლის შესაზღუდად
- გადაუდებელი სამუშაოები (სახურავის გადახურვა, კედლების და კონსტრუქციების გამაგრება (დროებითი), გადარჩენილი ობიექტების ტრანსპორტაცია)
- შეკეთება და სარესტავრაციო სამუშაოები

შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამართლებრივი სტატუსი:

- არიან თუ არა სახელმწიფოები ჰააგის კონვენციის წევრები? თუ ასეა, ასრულებენ თუ არა ისინი მის განაწესებს?
- იყო თუ არა მოთავსებული ნაგებობებზე ჰააგის კონვენციის ემბლემა?

თავი 11

კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესება ეროვნულ დონეზე

11.1 შესავალი

მემკვიდრეობის ცალკეულ ობიექტთა მენეჯერების შესაძლებლობა გააუმჯობესონ კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნა დიდადაა დამოკიდებული რისკისთვის მზადყოფნისადმი საზოგადო მიმართებაზე ეროვნულ, რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე განხორციელებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე. განხილვის ღირსია წამძლოლი პირობების და მენეჯმენტის პრაქტიკის ურთიერთმიმართება ჩვენს სფეროში.

მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც კონსერვაციის და რისკის მზადყოფნის სფეროები ყოველდღიურად თანამშრომლობს. ჰოლანდიამ უკვე დიდი ხანია გამოიჩინა ინტერესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართ შეარაღებული კონფლიქტებისა და კატასტროფების პირისპირ, რაც აჩვენა ჰააგის კონვენციის მის მიერ მხარდაჭერამ. შვეიცარიის სამოქალაქო თავდაცვის ფედერალური ოფისის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონფლიქტებისა და კატასტროფების კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის და დაცვის საკმაოდ რთული პროგრამა, აშშ-ს მენეჯმენტის ფედერალურმა სააგენტომ (FEMA) დაიწყო აშშ-ს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობა რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად. ICOMOS-ის და უწყებათაშორისო ჯგუფის მხარდაჭერით ICOMOS-ის კომიტეტმა კანადაში და შრი-ლანკაში წამოიწყო ეროვნული მზადყოფნის მოდელების ჩამოყალიბება კულტურული მემკვიდრეობისთვის, რომელიც მათ განსაკუთრებულ გარემოებებს ასახავს.

უმეტეს ქვეყნებში, სადაც ეროვნულ და რეგიონალურ ხელისუფლებას უფლებამოსილება მიენიჭათ დაამყარონ ყველასათვის

სასიკეთო წესრიგი და უსაფრთხოება, საგანგებო რეაგირების მაღალი თანამდებობის მოხელეებს ენიჭებათ უფლება დახმარება გაუწიონ ადგილობრივ შექმნილ საგანგებო სიტუაციებისას. თუ ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე არ ჩანს გულისყური მემკვიდრეობის საჭიროებათა მიმართ, მაშინ მათ შეიძლება ზარალი ნახონ რეაგირებისა და აღდგენის ვითარებაში.

11.2 რისკისთვის გაუმჯობესება მზადყოფნის ელემენტები

მნიშვნელოვანია, რომ მათ, ვინც ცდილობს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დამიკვიდებულების გაუმჯობესებას კატასტროფის ან კონფლიქტის დროს, იმუშაონ საგანგებო რეაგირების ეროვნული და რეგიონალური დონის მოხელეების მზაობისა და უნარის ასამაღლებლად, არსებულ პრაქტიკაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაც ჩართონ.

ამგვარ მცდელობას მრავალი მიზანი შეიძლება ჰქონდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის და საჭიროების მიხედვით, ამ მიზნებს შორის უნდა იყოს:

- მემკვიდრეობის კონსერვაციის სპეციალისტებსა და საგანგებო მზადყოფნის მოხელეებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:
 - სიმპოზიუმების ჩატარება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, რაც საშუალებას იძლევა გამოირკვეს სპეციალისტებს და მოხელეებს შორის თანამშრომლობის დადებითი მხარეები;
 - ორივე სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება მემკვიდრეობის და საგანგებო დაგეგმვის სფეროების სტრუქტურული სახით ინტეგრაციის მიზნით;
 - ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც გააადვილებს ორი სფეროს სპეციალისტებს შორის ურთიერთკავშირს;
 - კატასტროფის წინ, მოლაპარაკებების გამართვა სახელმწიფოს რეგიონალურ და ადგილობრივ მოხელეებს შორის საგანგებო ვითარებაში კულტურული მემკვიდრეობის დაც-

ვისთვის რეაგირების საჭირო ზომების და პროცედურების წინასწარ განსაზღვრის მიზნით;

- შესაბამისი საკონსერვაციო ექსპერტიზის მისაწვდომობის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციის დროს, მათ შორის ექსპერტთა მონაცემთა ბაზის შედგენა.
- დაფინანსების გაუმჯობესება კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად;
- ეროვნული და რეგიონალური სარეზერვო ფონდების გამოძებნა, რომელნიც კატასტროფის დროს საჩქაროდ იქნება გამოყენებული მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის სტაბილიზაციის და აღდგენისთვის;
- საგანგებო რეაგირების მექანიზმების მხრიდან კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინების მზადყოფნის გაუმჯობესება: იმის უზრუნველყოფა, რომ სხვადასხვა ხელმძღვანელი სტრუქტურების წევრებს შეგნებულიც აქვთ და დაინტერესებულნიც არიან რეაგირების იმგვარი ზომების შემოსაღებად, რაც დაიცავს და სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს საფრთხეში მყოფ კულტურულ მემკვიდრეობას;
- დოკუმენტაციის ისეთი რესურსის შესაქმნელად მცდელობის გაძლიერება, რომელიც ადეკვატურად უზრუნველყოფს მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას და დაცვას რეაგირებისას, მათ შორის:
 - უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ ეროვნული ან რეგიონალური სახელმძღვანელო პრინციპები შეიცავდნენ კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვისა და დოკუმენტაციის სტანდარტებს; ამ მხრივ ჩინებული ნიმუშია ICOMOS-ის მიერ წარმოდგენილი აღნუსხვისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო მონაცემთა ინტეგრირებული ბაზა, რომელიც შეიქმნა ძეგლების, მათი ღირებულებებისა და მათთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის გაზიარების ხარისხის გასაზრდელად;
 - კულტურული მემკვიდრეობის მენეჯერების, პერსონალის და მოსახლეობის წვრთნის, სასწავლო მასალების და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც გულისხმობს:
 - არსებული საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო ინფრა-

სტრუქტურების გამოყენებას კურსებისა და ძეგლებზე სახელმძღვანელო პრინციპების დასამუშავებლად, სანვრთნელი მასალების შესამუშავებლად ცალკეული პერსონალისთვის კულტურული ღირსშესანიშნავი ადგილების საგანგებო მზადყოფნის ხელშეწყობის მიზნით.

- საზოგადოებაში რისკის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის ღირებულების შეგნების ამაღლება;
- საზოგადოებრივი ინტერესის განვითარების სარეკლამო მექანიზმების (მათ შორის ვიდეო, მედია კლიპები, ხანძრისგან დაცვის ყოველწლიური დღეები, და ა. შ.) შემუშავების ხელშეწყობა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის საგანგებო რეაგირების ინფრასტრუქტურაში ინტეგრაციის გასაძლიერებლად.

11.3 კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების პროცესის მოდელი

პროცესის მოდელი, რომელიც მოცემულია ქვემოთ, ითვალისწინებს კანადის მიერ ICOMOS-ის კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის კანადური მოდელის შემუშავების გამოცდილებას. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციამ, კანადის ICOMOS-მა შეიმუშავა თანამშრომლობის ჩარჩო, რომელშიც პარტნიორები არა მარტო მონიშნავენ კოლექტიურ სტრატეგიას, არამედ ანვითარებენ საკუთარ პროგრამებს თავიანთ სფეროში.

თუმცა კანადური მოდელის კონტექსტი სამართლებრივი კანადისთვის დამახასიათებელი ურთიერთობანია (სადაც კონსტიტუციით ხდება საკუთრებაზე უფლებების დაცვა, რაც ასევე ვრცელდება კულტურულ მემკვიდრეობაზე) პასუხისმგებლობის პროვინციულ დონეზე დელეგირებას, რის გამოც ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სტრუქტურებს შორის კოორდინაცია ძალზე სუსტია. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი შესწავლის ღირსიანებისმიერი ქვეყნის მხრიდან, რომელიც დაინტერესებულია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის ეროვნული ჩარჩოს გაუმჯობესებაში.

ნაბიჯი 1. ეროვნული სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება

შესაფერის პირთა სამუშაო ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს, რათა დააკვალიანოს მოხალისეთა სანყისი მცდელობა და ხელი შეუწყოს ამ დარგის გამძღოლ ინსტიტუტებსა და სახელმწიფო სააგენტოების უფრო ფართოდ დაინტერესებას.

ნაბიჯი 2. ცხადი მიზანდასახულობის გამოკვეთა

პირველი საუბრისას უნდა განისაზღვროს ცხადი, მიღწევადი მიზნები, ეს მიზნები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, როდესაც კვლევებია და გარემოებათა ცვლილება განსხვავებულ საჭიროებებს გამოაჩენს.

ნაბიჯი 3. პოტენციური პარტნიორების გასაზღვრა

სანყის ეტაპებზევე ძალისხმევაა საჭირო, რათა შედგეს ჯგუფების ჩამონათვალი, რომლებიც ეროვნულ დონეზე პოტენციურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურული მემკვიდრეობის კატასტროფების წინაშე მზადყოფნის მომზადებაში. წინასწარი შეხვედრები დაეხმარებათ მონაწილეებს ერთობლივ საქმეში თანაზიარობის გრძნობის განვითარებაში, ამასთან კი, იმ ჯგუფების განსაზღვრაშიც, რაც აკლია საერთო მსჯელობას. წინასწარმა შეხვედრებმა შესაძლოა იმ პარტნიორების მოძებნასაც შეუწყოს ხელი, რომლებიც ჩაერთვებიან მოქმედებაში და უფრო მეტად ისეთებისაც, ვინც დაინტერესებულია ინფორმაციის გავრცელებაში.

ნაბიჯი 4. საცდელი პროექტის განსაზღვრა პოტენციურ პარტნიორებში ინტერესისა და თავდადების გასაღვივებლად

რეალური მოკლევადიანი პროექტი უნდა შემუშავდეს, რათა სხვადასხვა პარტნიორებს მიეცეს შესაძლებლობა მათი ენერგია სწორი მიმართულებით მომართონ და გრძელვადიანი ურთიერთობებიც შეიმუშავონ.

კანადის ICOMOS-ის პროექტი გახლდათ ის შეხვედრა, რომელმაც თავი მოუყარა 70 პოტენციურ პარტნიორს, ხელისუფლების 430 წარმომადგენელს ეროვნულ თუ მუნიციპალურ დონეზე; კონსერვაციის სფეროს ყველა სექტორიდან, მათ შორის კოლექციების და ნივთების კონსერვაციის სპეციალისტებს; აგრეთვე საგანგებო რეაგირების სფეროდან. შეხვედრის მიზანი კი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ეროვნული ფორუმის დაფუძნება იყო.

ნაბიჯი 5. შესაბამისი დაბრკოლებების და შესაძლებლობების გამოკვლევა

როგორც კი დაიწყება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ჩასატარებელია კვლევა ვითარებისა და მასთან დაკავშირებულ განსხვავებულ საჭიროებათა უკეთ გასაცნობად, რათა მაშინათვე დასახოს დარგში მიმდინარე მთელი საქმიანობის სურათი. მან კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად უმთავრესი დაბრკოლებანი და შესაძლებლობანი უნდა გამოავლინოს.

ნაბიჯი 6. პარტნიორების ვალდებულების დადგენა

პოტენციური პარტნიორების და მათი სამოქმედო სფეროს დადგენის შემდეგ უნდა დადგინდეს მათი მომზადების ხარისხი ამა თუ იმ დაბრკოლების დასაძლევად ან შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

კანადის ICOMOS-ის შეხვედრაზე მიღებული დეკლარაცია ეხებოდა კულტურული მემკვიდრეობის საპირისპირო განსაზღვრულ გარემოებათა დაბალი დონის კოორდინაციის სიძნელეების და ზრუნვის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეგნების ჩამოყალიბებას, თანამშრომლობას, ინდივიდუალურ და მოსახლეობის დონეზე უნართა გამოუმუშავებას და ყველაფერი ამის პოტენციურ პარტნიორებთან დაკავშირებას.

ნაბიჯი 7. პარტნიორების ვალდებულების გრძნობის გაძლიერება

უნდა შემოწმდეს თანამშრომლობის მთლიანი ჩარჩო: აკლია თუ არა პარტნიორები? საჭიროა თუ არა რეგულირება?

ვალდებულების გრძნობის დონე ძირითად პარტნიორებს შორის, როგორც ეტყობა, იზრდება დროთა განმავლობაში თუ მიზნები, რომლებსაც ისინი ემსახურებიან, შეფარდებულია მათ რეგულარულ ბიუჯეტსა და გეგმიურ ციკლებს.

ნაბიჯი 8. სამომავლო მსვლელობის კოორდინირება

მნიშვნელოვანია, რომ პროცესის განვითარებას კვალდაკვალ მისდევს ურთიერთობათა ქსელის ეფექტურობის კონსოლიდაციაც (დამტკიცებული პროექტების გაზიარება ყველა პარტნიორს აძლევს თავისი წვლილის შეტანის შესაძლებლობას), ასევე ყველა მიმართულებით თანამშრომლობის დამყარებაც.

**მაგალითი: ნიდერლანდების მთავრობის სახელმძღვანელო
საგანგებო სიტუაციებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
შესახებ (იანვარი, 1991 წელი)**

ეს სახელმძღვანელო (რომლის ინგლისური თარგმანი წარმოდგენილია პატრიკ ჯ. ბოილანის შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის 1993 წლის მიმოხილვის მე-9 დანართში) წარმოგვიჩენს როგორ დანიშნულებულა ნიდერლანდების მთავრობა რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში. სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა ყველა იმ პირის და სააგენტოსთვის დახმარების გასანევაად, ვინც მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო ვითარებებში (მშვიდობიანობის დროს მომხდარი კატასტროფებისა თუ ყველა სამთავრობო დონეზე საერთაშორისო დაძაბულობის) დაცვაში. სახელმძღვანელო მონიშნავს: სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების ვალდებულებებს ჰოლანდიის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექტორატის (Cultural Protection Inspectorate, ICB) კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულ და წარმართულ ჩარჩოში; დასაცავ ობიექტებსა და ძეგლებს, აგრეთვე იმ საშიშროებებს, რომელთაგანაც არის საჭირო დაცვა; როდის და როგორაა საჭირო დაცვა; მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო, პრაქტიკულ და პრევენციულ ზომებსა და ქმედებათა დაფინანსებას; ის მოიცავს კულტურული ღირებულების მქონე „უმაღლესი ღირსების 100 ნაგებობისა“ და „უმაღლესი ღირსების 10 ობიექტის“ ნუსხებსაც.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საორგანიზაციო მხარე, რომელიც დიდადაა დამოკიდებული ურთიერთთანამშრომლობაზე პროვინციულ, რეგიონალურ და მთავარ ინსპექტორატს შორის. მოდელის გამოყენება ასევე საინტერესოა ფინანსური თვალსაზრისითაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოდელი ნაკლებხარჯიანია და ეფექტური.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Ministerie van O. C. W., directie Cultureel Erfgoed
Postbus 2500
2700 LZ, Zoetermeer
The Netherlands

Fax: (+31-79)323-4944
E-mail: dce@minocw.nl

მაგალითი: კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის შვეიცარული სისტემა

შვეიცარიის კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების ეროვნული სისტემა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია. მთავრობამ გამოიჩინა განსაკუთრებული დაინტერესება ინტეგრირებული პოლიტიკის საშუალებების და მექანიზმების ჩამოყალიბებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად.

კულტურული დოვლათის დაცვის სისტემა (PBC-ის Protection des biens culturels) მუშაობს რამდენიმე დონეზე სხვადასხვა მექანიზმის ერთიანად ამოქმედების უზრუნველსაყოფად. ფედერალურ დონეზე, სადაც “Service de la PBC” თანამშრომლობს იუსტიციის, პოლიციის და სამოქალაქო დაცვის ფედერალურ დეპარტამენტებთან; ყოველ კანტონს აქვს რეგიონალური ოფისი; ხოლო მუნიციპალურ დონეზე PBC-ის პერსონალი ჩართულია სამოქალაქო დაცვის ღონისძიებებში, რომელიც ფუნქციონირებს ჰააგის კონვენციის „ბლუ შილდის“ ემბლემით.

დაცვის შვეიცარული პროგრამა შეიცავს დეტალურ რუკას, რომელზედაც ნაჩვენებია ყველა აღნუსხული კულტურული ობიექტი. რუკაზე გამოხატულია, როგორც ქალაქის, ისე სოფლის გარშემო არსებული მემკვიდრეობის ობიექტები.

PBC რომელიც „ბლუ შილდის“ სიმბოლოს ეგიდით მუშაობს შეიქმნა შვეიცარიის კულტურული მემკვიდრეობის შეიარაღებული კონფლიქტებისგან უკეთ დასაცავად, ხოლო მშვიდობის დროს სხვადასხვა დამცავი ზომის გასატარებლად: კულტურული „დოვლათის“ დაცვის სისტემის მომსახურების გაუმჯობესება, დოკუმენტირება (საკმაოდ დაზიანებული ობიექტებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების სარეკონსტრუქციოდ), კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის ჩატარება, თავშესაფრების შექმნა საფრთხეში მყოფი ობიექტებისა და ა.შ. ამ ღონისძიებებს მხარს უმაგრებს მზადყოფნის სახელმძღვანელოების სერიები და ნვრთნის კურსებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:
Office federal de la protection civile (OFPC)
Service de la protection de biens culturels
3003 Berne, Switzerland

**მაგალითი:
მსოფლიო ძეგლების ფონდი და მსოფლიო
ძეგლების მეთვალყურეობა**

მსოფლიო ძეგლების მეთვალყურეობის პროგრამა დაფუძნებულ იქნა 1995 წელს კერძო არამომგებიანი მსოფლიო ძეგლების ფონდის მიერ (WMF); მისი მთავარი მიზანია რისკის ქვეშ მყოფი ძეგლების და არეალების აღნუსხვა საზოგადოების ყურადღებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად. WMF-ის ღონისძიებებს მხარს უჭერს American Express Company, რომელმაც 1996-2001 წლებში 5 მილიონი დოლარი გამოყო ნუსხაში შეტანილი ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისთვის; ამ დაფინანსებამ, თავის მხრივ, მოიზიდა თითქმის იმავე რაოდენობის თანხები სხვა წყაროებიდან.

1996 წელს მსოფლიო ძეგლების მეთვალყურეობამ გამოსცა პირველი „100 ყველაზე დიდი საშიშროების ქვეშ მყოფი ძეგლის ნუსხა.“ შემდეგი 100 ძეგლის სია გამოიცა 1998 წელს. ეს ნუსხა შეიცავდა 24 ძეგლს წინა გამოცემიდან. WMF განაცხადა, რომ ამგვარ გამოცემას ყოველ ორ წელიწადში გაიმეორებს, შესაბამისი ნუსხა გამიზნულია მთავრობების სტიმულირებისთვის, მიიღონ საჭირო ზომები საფრთხის ქვეშ მყოფი ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისთვის, ხელი შეუწყონ მოსახლეობის და ადგილობრივი სააგენტოების ჩართვას საკონსერვაციო საქმიანობაში და ნააქვზონ მოსახლეობის და კერძო სექტორის მიერ მემკვიდრების ღირსშესანიშნავი ადგილების დაფინანსება.

WMF-ი ჩამოყალიბებას 1965 წელს (სახელწოდებით „ძეგლების საერთაშორისო ფონდი“) ბიძგი მისცა მსოფლიო ძეგლების მეთვალყურეობის პროექტმა და იგი გადაიზარდა უფრო ფართო პროფილის ორგანიზაციად, რომელიც უმთავრეს მახვილს ინფორმაციის გავრცელებაზე სვამს, როგორც საფრთხეში მყოფი ღირსშესანიშნავი ადგილებისადმი ყურადღების მიპყრობის საშუალებაზე. WMF პროცესი მოქმედებს სამთავრობო ჩარჩოს მიღმა,

რადგანაც მან შეუძლოა ზოგჯერ ჩაახშოს კრიტიკა და შეაყოვნოს რეაგირების პროცესი. ამის ნაცვლად საზოგადოებას მოუწოდებს რა, მიხედოს დასახელებულ ღირსშესანიშნავ ადგილებს და ცდილობს აქეთ-იქიდან მოპოვებული ფულის შეზღუდული თანხების შეშველებას. პროგრამა ეფუძვნება საზოგადოებრივ ინტერესებს. პირდაპირი წარმატების ხარისხის მაჩვენებლად შეიძლება ჩათვალოს პირველად დასახელებული ღირსშესანიშნავი ადგილების 75%-ის სიიდან „ამორიცხვა“. იქნებ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ, როგორც ეტყობა, ბევრად უკეთ გააცნობიერებინა საზოგადოებას რაოდენ ინტენსიურია საშიშროება, რაც კულტურულ მემკვიდრეობას ემუქრება.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ :

World Monuments Fund
949 Park Avenue
New York, NY 10028
USA

Tel: (+1-212)517-9367

Fax:(+1-212)517-9494

Internet:<http://www.worldmonuments.org>

დანართი 1. კვებეკის დეკლარაცია

ICOMOS კანადა, ბლუ შილდის (Blue Shield) შეხვედრა, კვებეკ სიტი, 16-17 სექტემბერი, 1996 წელი

კვებეკის ცივილიზაციის მუზეუმმა უმასპინძლა პირველ კანადურ შეხვედრას კულტურული მემკვიდრეობისა და საშიშროებისთვის მზადყოფნის საკითხებზე 1996 წლის 16 და 17 სექტემბერს. კანადის ICOMOS-ის მიერ UNESCO-ს კვებეკის ეროვნული მთავარი კომისიის, კანადის ICOM-ის, კანადის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის და მონრეალის უნივერსიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებულ შეხვედრაზე თავი მოიყარა კულტურული მემკვიდრეობის საკმაოდ ფართო სპექტრის წარმომადგენლებმა (არქივები და მუზეუმები, კონსერვაციის სპეციალისტთა ორგანიზაციები, არქიტექტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები) და საშიშროებისთვის მზადყოფნის სამოქალაქო თავდაცვის სფეროდან, რათა შეემნიღყო თანამშრომლობის ახლებური კავშირები გასაუმჯობესებლად, რომელსაც ბუნებრივი თუ ადამიანისმიერი კატასტროფები ემუქრება. კულტურული მემკვიდრეობაზე ზრუნვის მონაწილეებმა ჰოლანდიიდან, შვეიცარიიდან, იაპონიიდან, ყოფილი იუგოსლავიის, მაკედონიის რესპუბლიკიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, UNESCO-დან, ICOMOS და ICOM-ის წარმომადგენლებმა გაუზიარეს თავისი გამოცდილება კანადის მემკვიდრეობის დეპარტამენტს, კანადის ეროვნული არქივის, კანადის კონსერვაციის ინსტიტუტის, კანადის ICOMOS-ის, კანადის ICOM-ის, კვებეკის სამოქალაქო თავდაცვის, მონრეალის ურბანული დასახლების საგანგებო ვითარებებისთვის მზადყოფნის ქვეგანყოფს ეროვნული დედაქალაქის, კვებეკის მთავარი კომისიის და სხვათა წარმომადგენლებს.

ორდღიან მსჯელობას წინ უძღოდა 15 სექტემბერს ჩიკოუტიმი-სა და საგენაის მონახულება, მონყობილი კვებეკის კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ. ტური მიზნად ისახავდა ზაფხულის წყალდიდობებისგან დაზარალებული რეგიონების მონახულებას და მოსახლეობასთან მათი გამოცდილების შესახებ საუბარს. ასევე გამოცდილების გაზიარებას „კვებეკის დეკლარაციის“ ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ასახავს მონაწილეთა საზიარო შეხედულებებს იმ სირთულეებსა და შესაძლებლობებზე,

რაც ახლავს მოცემულ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობას. მოშველიებულ იქნა ათიოდე საერთაშორისო, თუ ეროვნული მასშტაბის სამუშაო შეხვედრის შედეგებიც.

შეხვედრა პირველი დიდი ნაბიჯი იყო კანადის **ICOMOS-ის** მიერ **ICOMOS International-ის** მოწოდებაზე (ბლუ შილდის ინიციატივის კონტექსტში) **ICOMOS-ის** ეროვნულ კომიტეტების მიმართ, ნაციონალურ დონეზე შეემუშავენათ რისკის ქვეშ მყოფ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში თანამშრომლობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მოდელები. საბოლოო სხდომას თავმჯდომარეობდა როლანდ აპრინი, კვებეკის ცივილიზაციის მუზეუმის დირექტორი. მონაწილეებმა მიაღწიეს კონსენსუსს დეკლარაციის მუხლების თაობაზე. **UNESCO-ს** კულტურული მემკვიდრეობის განყოფილებამ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა აღმოუჩინოს კანადის **ICOMOS-ს** მხარდაჭერა, „კანადური მოდელის“ განვითარებისთვის, რომ მან შეიმუშაოს „კანადური მოდელი“, რათა მისი მორგება შეიძლებოდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ამგვარადვე რთული კანონმდებლობითი კონტექსტისთვის.

კვებეკის დეკლარაცია

ვალარებთ რა შემდეგ გამოწვევებს

არსებულ და მზარდ საფრთხეს როგორც კანადის, ასევე მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, რომ ძეგლები სულ უფრო ნაკლებად მდგრადია მათი არსებობისათვის საზიანო კატასტროფებისა და სხვა მოვლენებისადმი;

საგანგებო ვითარებების დროს კანადის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისადმი ზოგადად სუსტ მზადყოფნას სახელმწიფოს მხრიდან;

ადმინისტრაციული წინააღობების არსებობას, რომელიც ზღუდავს ეფექტურ თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ და ჩართულ უწყებას შორის როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რომელიც პასუხისმგებელია როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მოვლა-პატრონობაზე, ასევე მათზე საგანგებო რეაგირების უზრუნველყოფაზე.

შესაძლებლობები

კანადაში არსებობს საგანგებო რეაგირების ინფრასტრუქტურა

და მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ კულტურული მემკვიდრეობისთვის ზრუნვის ინტეგრირება. აგრეთვე დასტურდება აშკარა ინტერესი საგანგებო რეაგირების მოხელეთა მხრიდან კულტურული მემკვიდრეობისადმი ზრუნვისა და ყურადღების გაზრდის მცდელობაზე.

ზოგიერთი კანადური დაწესებულების (მაგ., კანადის ეროვნული არქივი) პირველობა მზადყოფნის მოდელის შემუშავების მიმართულებით, რომლებიც ფასეული და საინტერესოა სხვა ჯგუფებისა და დაწესებულებებისთვის.

საერთაშორისო „ბლუ შილდის“ მიერ შეთავაზებული ინიციატივა, რომელიც მიმართულია კანადაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ:

- კანადელებს საკვანძო ადგილი უჭირავთ საერთაშორისო მოძრაობაში (IATF-ში ICOMO-ის მიერ ამ საკითხზე გამართულ მრგვალ მაგიდასთან შეხვედრებში, რომელიც პარიზში 1992 წლიდან რეგულარულად ტარდება).
- UNESCO და ICOMOS დაინტერესებულია კანადური მოდელის განვითარებით.
- გარკვეულ პოტენციალს გვთავაზობს საერთაშორისო „ბლუ შილდის“ კომიტეტის შექმნა, რომლის პირველი ქმედება საგენის წყალდიდობებზე იყო.

ამგვარად, ჩვენ, 16-17 სექტემბერს კვებეკში, ცივილიზაციის მუზეუმში გამართული მემკვიდრეობისა და რისკისთვის მზადყოფნის კანადის პირველი ეროვნული სამიტის მონაწილეები ვთანხმდებით დავისახოთ მიზნები შემდეგ სფეროებში:

გაცნობიერება

მემკვიდრეობისა და საგანგებო რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის კულტურული მემკვიდრეობის ბუნების და ღირებულების დაფასების გაძლიერება მემკვიდრეობისათვის საშიში ბუნებრივი, ტექნოლოგიური თუ სოციალური პოტენციური რისკისა და მისი შედეგების ცოდნისა და გაზიარების გაუმჯობესება.

საგანგებო რეაგირების მენეჯმენტის და კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის საზრუნავთა ორმხრივი გაცნობიერების გაზრდა:

- კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის მინიჭება იმ ობიექტებისათვის, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრება;
- მჭიდრო კავშირის აღიარება მემკვიდრეობის ეფექტურ დაცვა-სა და ნაშენ გარემოში მემკვიდრეობის მიერ ღირებულის იდენტიფიცირებას შორის;
- საზოგადოების, ახალგაზრდობის და მედიის უკეთ ჩართვასა და გათვითცნობიერებას ამ დარგში.
- ადგილობრივი ხელისუფლების თვითშეგნების ამაღლება და უკეთ ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის დარგში.

თანამშრომლობა

დამყარდეს მუდმივი სტრუქტურული კავშირი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებულ (არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ნაშენი გარემო) და საგანგებო რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის (სამოქალაქო უსაფრთხოება და დაცვა, საგანგებო რეაგირება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, თავდაცვა);

- მოხდეს პოტენციური პარტნიორებისა თუ მათი ინტერესების იდენტიფიკაცია (მთავრობა, ადგილობრივი დაწესებულებები, კორპორაციები თუ კერძო პირები);
- ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე მათ შორის გაცვლა-გამოცვლის ქსელის(ების) ჩამოყალიბება, ანუ პასუხისმგებელი რგოლის შექმნა;
- ქსელის მონაწილეთა შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა (მაგ. ელექტრონული ფოსტა, ჟურნალი);
- დრო და დრო ფორუმების (მათ შორის ამ შეხვედრის კვალად) ჩატარება ქსელის წევრებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით;
- სამიტის დროს შეიქმნას მიზნობრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც გაუძღვება თანამშრომლობას შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება

ნათელი გახდეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლე-

ბის როლი და პასუხისმგებლობა ამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში (საგანგებო ვითარების დროს გადანაცვების მიმღები სტრუქტურები; გარემოს დაცვითი ტერიტორიული დაგეგმარების და მენეჯმენტის პოლიტიკა).

ადგილობრივი ხელისუფლების, სამსახურებისა და ადგილობრივი ინსტიტუციების შესაძლებლობების გაუმჯობესება რათა უკეთესი რეაგირება მოახდინონ კატასტროფების საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვაზე.

- რისკისთვის მზადყოფნის და საგანგებო რეაგირების არსებულ სტრუქტურებში კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის ინტეგრაცია (მაგ., რისკის შეფასების მეთოდების დაგეგმვა და განხორციელების გზები)
- შესაბამისი „მოდულების“ სხვა კონტექსტებში ცოდნის ამაღლება;
- პასუხისმგებელი პირებისა და მენეჯერებისთვის წვრთნის გაუმჯობესება;
- მოხალისეთა მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა.

მემკვიდრეობის დაცვის გაძლიერება

ადგილობრივ, რეგიონალურ, პროვინციულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე:

- პროგნოზირებისა და ზედამხედველობის სისტემების შემუშავება და დაინსტალირება;
- დადებითი გამოცდილებისა და წარმატებების შესახებ მონაცემთა საკონსულტაციო ბაზის გაუმჯობესება; მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომლობის გაუმჯობესება;
- კატასტროფის დროს შესაბამისი პროფესიონალების მობილიზაციაზე პასუხისმგებელი პირების შემართების უზრუნველყოფა;
- საგანგებო რეაგირების მობილიზაციის გეგმების შემუშავება.

კვებეკი, 17 სექტემბერი, 1996 წელი.

დანართი 2. კობე/ტოკიოს დეკლარაცია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ

კობე/ტოკიოს შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ, რომელიც 1997 წლის იანვარში გაიმართა, მომზადებულ იქნა იაპონიის კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელ პირთა მონადინებით, იმის გამოსაკვლევად, თუ რა გაკვეთილების მიღება შეიძლებოდა 1995 წლის იანვარში კობეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად. განხილვაში ამგვარი თემატიკით დაინტერესებული სხვა ქვეყნები და სააგენტოებიც მონაწილეობდნენ.

ამ შეხვედრის დროს (მისი სხდომათა გამოქვეყნებული ოქმები მონაწილეს სამსჯელო თემების ფართო სპექტრის და მსჯელობაში მონაწილე ქვეყნების მრავალფეროვნებას) შემუშავდა ქვევით გამოქვეყნებული „დეკლარაცია“. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს დაეხმაროს ხელისუფლებას გააუმჯობესოს საგანგებო ვითარების დაგეგმვა და მასზე რეაგირების სტრუქტურებში კულტურულ მემკვიდრეობაზე რისკის პრევენციის ინტეგრირების უნარი.

UNESCO-მ შეძლო ამ დოკუმენტის რამდენიმე მნიშვნელოვან შემთხვევაში გამოყენება ამა თუ იმ ქვეყნის რისკისთვის მზადყოფნის მდგომარეობის გამოსწორების დასახმარებლად.

კობე/ტოკიოს დეკლარაცია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნაზე

მოკლე შინაარსი
იანვარი, 1997 წელი

დიდი ჰანსინ-ავაჯის მიწისძვრის მეორე წლისთავზე, კობეში (19 იანვარს, 1997 წელს) და ტოკიოში (22-25 იანვარს, 1997 წელს) ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო ტოკიოს ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის მიერ, იაპონიის მთავრობის, კულტურული ღონისძიებების სააგენტოს ჰიეგოს პრეფექტურის განათლების საბჭოს, ქალაქ კობეს განათლების საბჭოს და მათთან კავშირში მყოფი ორგა-

ნიზაციების მხარდაჭერით. კოლოქვიუმი ორგანიზებული იყო საერთაშორისო უწყებათაშორისო ჯგუფის IATF-ის (მასში შედიან UNESCO, ICOMOS, ICOM, ICCROM, ICA და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები) შემოთავაზებით, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის კატასტროფისგან კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და განადგურების მინიმიზაციისთვის სტრატეგიების და ქმედებების იდენტიფიკაციას და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

კობესა და ტოკიოს შეხვედრებში 20 ქვეყნიდან ჩამოსულმა 726 პირმა, მათ შორის UNESCO, ICCROM, ევროპის საბჭოს, ICA, ICOM, ICOMOS-ს წარმომადგენლებმა, მიიღო მონაწილეობა. პრეზენტაციების და მსჯელობის დროს განხილულ იქნა მოძრავ და უძრავ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრის მსვლელობისას, ჩამოყალიბებულ იქნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა დეკლარაციის პროექტის მომზადება.

დეკლარაციის მიზანია წარმოადგინოს სტრატეგიული ორიენტაცია დაგეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღებისას როგორც კულტურული მემკვიდრეობის ასევე რისკისთვის მზადყოფნის ადმინისტრატორებისთვის, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში განხორციელებული ღონისძიებების გასაუმჯობესებლად. იგი ყურადღებას ამახვილებს კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო ვითარების დაგეგმვასა და მათზე რეაგირებაზე არსებულ ინფრასტრუქტურებში (და არა პარალელური სტრუქტურებისა და პროგრამების შექმნის მნიშვნელობაზე).

დეკლარაცია აღიარებს ამ სფეროში ზომასა და ინიციატივას, რომელთაც ემყარება მისი რეკომენდაციები. იგი ადასტურებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების იდენტურობის, უწყვეტობის და მესხიერების შეუცვლელ წყაროს და კატასტროფების მზადყოფნის დაგეგმარებაში იმსახურებს ისეთივე ყურადღებას, როგორც ადამიანის სიცოცხლე, საკუთრება და გარემოსმიერი ღირებულებები. ის განსაზღვრავს საჭიროებებს და გვთავაზობს შესაბამის რეკომენდაციებს საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის ჩარჩოს გაძლიერებისთვის და დაფინანსების, საგანგებო რეაგირების, დოკუმენტაციის და კვლევის, განათლების, წვრთნის დაგაცნობიერების პროგრამების

შემუშავებისა ან გაუმჯობესების მიზნით (როგორც აღნიშნულია „ბლუ შილდის“ IATF-ის რისკისთვის მზადყოფნის და კულტურული მემკვიდრეობის პროგრამაში).

დეკლარაცია უნდა გახდეს სასარგებლო ინსტუმენტი როგორც იაპონიაში ასევე საერთაშორისო დონეზე ამ სფეროში მსჯელობის წარსამართავად.

კოხე/ტოკიოს დეკლარაცია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ

წინასიტყვაობა

დიდი ჰანსინ-ავაჯის მიწისძვრის მეორე წლისთავზე, კობეში (19 იანვარს, 1997 წელს) და ტოკიოში (22-25 იანვარს, 1997 წელს) ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო ტოკიოს ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის მიერ იაპონიის მთავრობის, კულტურული ღონისძიებების სააგენტოს ჰიეგოს პრეფექტურის განათლების საბჭოს, ქალაქ კობეს განათლების საბჭოს და მათთან კავშირში მყოფი ორგანიზაციების მხარდაჭერით. კოლოქიუმი ორგანიზებული იყო საერთაშორისო IATF-ის (მასში შედიან UNESCO, ICOMOS, ICOM, ICCROM, ICA და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები) შემოთავაზებულ შეხვედრის პასუხად ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის კატასტროფისგან კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და განადგურების მინიმინიზაციისთვის სტრატეგიების და ქმედებების იდენტიფიკაციის მიზნით.

კობესა და ტოკიოს შეხვედრებში 20 ქვეყნიდან ჩამოსულმა 726 პირმა, მათ შორის UNESCO, ICCROM, ევროპის საბჭოს, ICA, ICOM, ICOMOS-ს წარმომადგენლებმა, მიიღო მონაწილეობა. პრეზენტაციების დამსჯელობის დროს განხილულ იქნა მოძრავ და უძრავ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები.

საერთაშორისო სომპოზიუმის მონაწილეებს კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ სურთ გამოხატონ კმაყოფილება და მადლიერება სიმპოზიუმის ორგანიზატორების მიმართ აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და იმ გამბედაობის გამოც, რაც მათ გამოიჩინეს, აქციეს რა ეროვნული უბედურება ყველა ადამიანისთვის სასიკეთო გაკვეთილად.

კობე/ტოკიოს საერთაშორისო სომპოზიუმის მონაწილეები კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის შესახებ აღიარებენ რა, რომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა

- მოძრავი თუ უძრავი ობიექტები წარმოადგენენ ერთ განუყოფელ მთლიანობას;
- წარმოადგენს იდენტურობის უწყვეტობის და მეხსიერების არსებრივ წყაროს ცალკე პირთა და ადამიანთა ერთობებისთვის და გამდიდრებულია მისი მრავალფეროვნებით;
- წარმოადგენს არა-განახლებად რესურსს, რომლის კონსერვაციის მიზანია შეინარჩუნოს და ნათელყოს ადამიანთა ძიებისა და შემოქმედებითი გამომხატველობის მოწმობანი და რომელიც უსაფრთხო, ჯანსაღ და აზრიან სიცოცხლეზე ერთიანი საზრუნავის ნაწილია.
- ისევე როგორც ადამიანთა სიცოცხლე, რისკის ქვეშაა საგანგებო ვითარებების დროს არსებული საფრთხის გამო.
- ყველასთვის საზიაროა და, შესაბამისად, მისი დაცვა ყველას ვალდია.

ადასტურებენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის ზომებია:

- თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე შემდეგნაირად:
 - თანამშრომლობის გაუმჯობესება კულტურული მემკვიდრეობისა და კატასტროფისთვის მზადყოფნისთვის პასუხისმგებელ მოქალაქეებს, არა-სამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობათა შორის ორგანიზაციებს და მთავრობებს შორის;

- ინტეგრირებული სტრატეგიების მოშველიებით მუშაობა მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენისას, საგანგებო ვითარებაში, მათ შორის და შემდეგ;
 - საგანგებო რეაგირების ინფრასტრუქტურებში კულტურული მემკვიდრეობის როლის განმტკიცება;
 - კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ბუნებისა თუ ადამიანისმიერი რისკის შემცირება სისტემური მონიტორინგის, რეგულარული მოვლის რისკის შეფასების და შესაბამისი პრევენციული მზრუნველობის გზით.
- რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობისთვის გამიზნული ქმედებების და მექანიზმების გაძლიერება „ბლუ შილდის“ მსგავსი საერთაშორისო თაოსნობების მეშვეობით, განსაკუთრებით მცდელობა, მიღწეულ იქნას კერძოდ:
 - რიგითი მოქალაქეების (ეროვნულ დონეზე) მხარდაჭერის მოპოვება;
 - ეროვნული, საკუთარ კონტექსტს მისადაგებული მოდელის შემუშავებით, ზოგადი მიდგომების მისადაგება ადგილობრივი გარემოებებისადმი;
 - გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთ გაზიარება მოდელების დანყვილების და საცდელი პროექტების შედეგად;
 - რისკისთვის მზადყოფნის პროგრამის ჩამოყალიბება, რომელიც ფოკუსირებული იქნება ხუთ მთავარ საჭიროებაზე (დაფინანსება, საგანგებო რეაგირება, დოკუმენტაცია და კვლევა, განათლება და წვრთნა, გაცნობიერება).

შემდეგი საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც იდენტიფიცირებულ იყო კობე/ტოკიოს სიმპოზიუმზე გამართული მსჯელობისას

- თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობა, საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, შემდეგი ზომების გატარებით:
 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ განწესებათა გაძლიერება კატა-

სტროფებზე რეაგირების დაგეგმვისას;

- რისკისთვის მზადყოფნის ღონისძიებების კოორდინირების გაუმჯობესება მომიჯნავე რეგიონებში, რომელნიც საზიარო რისკის პირისპირ დგანან;
 - პრინციპებისა და საცნობარო მასალების წინდანი შემოღება საგანგებო ვითარებებში გადაწყვეტილების მიღების მოსაშველიებლად;
 - განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნიკური შესაძლებლობების და რესურსების უფრო მეტად გაზიარება;
 - საგანგებო ვითარებაში დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის მკურნალობისას კონსერვაციის პრინციპებისა და სტანდარტების ჯეროვანი გამოყენების ხელშეწყობა.
- პროგრამული ღონისძიებების გაძლიერება და განვითარება შემდეგ სფეროებში საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, რათა მიღწეულ იქნას:

დაფინანსება

მისაწვდომი რესურსების გაზრდა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნისთვის და საერთაშორისო რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე რესურსების გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება.

საგანგებო რეაგირება

- საშიშროების ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობისთვის საგანგებო რეაგირების პრიორიტეტულობის გაზრდა საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე;
- მთავრობისა და მუნიციპალიტეტების დაწესებული მოსახლეობის უსაფრთხოების სტანდარტების შექმნისდაგვარად დაცვა ისეთი საშუალებებით, რომელნიც პატივს დასდებს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს;

დოკუმენტაცია და კვლევა

- კატასტროფის წინ, მის დროს და შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის აღნუსხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის სისტემის უფრო მეტად გამოყენება;
- საგანგებო ვითარებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისთვის მიყენებული ზიანის შებრძოლების მეთოდების, ტექნიკისა და მიდგომების კვლევის გაძლიერება.

განათლება და წვრთნა

- რისკის ქვეშ მყოფი კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის განათლებისა და წვრთნის გაუმჯობესება.

გაცნობიერება

რისკისთვის მზადყოფნის და მენეჯმენტის პოლიტიკაში, პროცედურებსა და პროგრამებში კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრაციის მნიშვნელობის გაცნობიერების დონის გაუმჯობესება.

სამისოდ მონაწილენი რეკომენდაციას უწევენ შემდეგ სტრატეგიებს და ქმედებებს, რომლებიც შეიმუშავა IATF-მა და მისმა მონაწილე თუ მსგავსი მიზნების მქონე ორგანიზაციებმა

- **იმისთვის, რომ განმტკიცდეს თანამშრომლობის ჩარჩო საერთაშორისო რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე:**
 - ხელი შეეწყოს ეროვნულ მთავრობებს, წაქეზება მოხდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის ინტეგრაციაზე კატასტროფებისთვის მზადყოფნის დაგეგმარების და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფარგლებში;
 - ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტების ჩამოყალიბების მხარდაჭერა და წახალისება, (როგორცაა ბლუ შილდის პანელი), რომელიც შედგება მთავრობის სპეციალისტების მთავრობათშორისო და არასამთავრობო ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის და რისკისთვის მზადყოფნის ექსპერტებისგან;

- ეროვნულ დონეზე რისკისთვის მზადყოფნის ხელსაყრელი მოდელების წინ წამოწევა;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (მოძრავი/უძრავი) რისკისთვის მზადყოფნის შესაბამისი პრინციპების განსაზღვრა და დაკანონება, კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის „მზადყოფნის ქარტიის“ ფორმით, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
 - დათვალიერება-სტაბილიზაცია. დოკუმენტაცია პირობებისა კატასტროფამდე და მის შემდეგ;
 - რისკის შეფასება, პრევენცია და შერბილება;
 - გადაწყვეტილების მიღების იერარქიის გარკვევა;
 - არსებული შენობების შენარჩუნება და მოდერნიზაცია;
 - კანონების, სტანდარტების და აღწერილობების მოხერხებული გამოყენების მხარდაჭერა;
 - IATF-ის (და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების) მონაწილე ორგანიზაციების ვალდებულებების გაძლიერება IATF-ის მხარდასაჭერად და მისი და მსგავსი მიზნების დასახვა სფეროში პრევენციული ღონისძიებების მიღწევაში;
 - ექსპერტთა ქსელის შესაბამისი გამოყენება და მისი შემდგომი განვითარება;
 - რეგიონებსშორისი თანამშრომლობის თაოსნობათა მხარდაჭერა;
 - წითელი ჯვრის მოდელით შექმნილი, შემოთავაზებული საერთაშორისო ინიციატივის განხორციელების მხარდაჭერა, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობისთვის ხელმისაწვდომი დახმარების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის ყოვლისმომცველი საერთაშორისო ჩარჩოს შემუშავება, „წითელი ჯვრის“ სულისკვეთებით დამუშავებული მოდელით წარმართული მზრუნველობითი მიდგომისა და IATF-ის პრევენციული მიდგომის ინტეგრირების ცდისას.

- პროგრამით გათვალისწინებული ინიციატივების გასაძლიერებლად და გასავითარებლად შემდეგ სფეროებში საერთაშორისო, რეგიონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საჭიროა:

დაფინანსება

- რისკისთვის მზადყოფნის პროგრამისთვის რესურსების გაზრდა, კერძოდ, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დაფუძვნება, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსების ეფექტურ განაწილებას და მოზიდვას.
- მულტიეროვნული საბანკო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული განვითარების პროექტების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის ზომების გათვალისწინება:
- კვლევისა და წვრთნისთვის ადეკვატური დაფინანსების დონეების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მცდელობისთვის მხარის დაჭერა (ადგილობრივი არასამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციების მეოხებით) ადგილობრივი საჭიროებისთვის თანხის მოსაძებნად.

საგანგებო რეაგირება

- საგანგებო ვითარების დროს კულტურული მემკვიდრეობის რაც შეიძლება ფართო სპექტრისთვის თანაბარი დაცვის უზრუნველყოფა;
- საგანგებო ვითარების დაგეგმვისთვის შესაფერისი საკომუნიკაციო ქსელების (მათ შორის, ბრძანების გაცემის სტრუქტურებისა და უკუგებითი სისტემების) უკეთ და უკეთ გაგების უზრუნველყოფა;
- მედიის, როგორც პოზიტიური ძალის, გამოყენება კულტურული მემკვიდრეობის ადგილის შესახებ რისკისთვის მზადყოფნის რეაგირების და აღდგენისას საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად;
- ეუნკოს ჰააგის კონვენციის წევრ სახელმწიფოებსა და სხვებს, რომ „ბლუ შილდის“ საერთაშორისო კომიტეტი (International Committee of the Blue Shield - ICBS), მისი წევრი

ინსტიტუტები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები მზადაა რჩევა მიანოდონ პრევენციულსა თუ საგანგებო რეაგირების ქმედებათა შესახებ.

დოკუმენტაცია და კვლევა

კულტურული მემკვიდრეობის ბუნებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაუმჯობესება, მისი ღირებულებების უკეთ და საგანგებო სიტუაციისას დაცვის საშუალებების საჭიროებების უკეთ გასაგებად;

- რისკის შეფასებისა და პროგნოზირების წინასწარი გაფრთხილებისთვის კარგად ორგანიზებული მონაცემთა ბაზების და საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება და გაძლიერება.
- საგანგებო ვითარების დროს კულტურული მემკვიდრეობის დანაკარგის ან დაზიანების შესახებ დოკუმენტაციის მიმართ სისტემატური მიდგომის ადაპტაცია.
- კვლევის საერთაშორისო განრიგის შემუშავება კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრისა და შესაბამისი რესურსების გამოსაყოფად.

განათლება და წვრთნა

არსებულ საგანმანათლებლო სისტემებში (მათ შორის, უნივერსიტეტის ქსელში), საინსტიტუციო ჩარჩოსა და როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე კატასტროფებისთვის მზადყოფნის სფეროებში დახმარების ღონისძიებებში შესაბამისი საგანმანათლებლო საწვრთნელი მუშაობის ინტეგრაციის გაუმჯობესება.

- პრაქტიკული წვრთნის სახელმძღვანელოების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალების მუდმივი დამუშავებისა და გამოყენების ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გამოცდილებისა და პრაქტიკის სისტემატური გაცვლის შესაძლებლობების გაზრდა საერთაშორისო ფორუმებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით;
- სპეციალიზებულ რეგიონალურ და საერთაშორისო საწვრთნელ ცენტრებში შესაბამისი წამოწყებების შემუშავებისადმი კოორდინირებული მიდგომის უზრუნველყოფა.

გაცნობიერება

ამ საქმეში ჩართული ყველა პირის (მემკვიდრეობის სპეციალისტები, ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯერები, პოლიტიკისა და პროგრამების ადმინისტრატორები, პოლიტიკოსები, მესაკუთრეები და მომხმარებლები, სამხედრო პერსონალი, მოხალისეები, მედია და საზოგადოება) მიერ კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის ეფექტური მზადყოფნის სარგებლობისა და საამისო მოთხოვნილების უკეთ შეგრძნება;

- ეფექტური საგანგებო რეაგირების მექანიზმების შემუშავებისას ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფაქტორების უკეთ გაცნობიერება.
- მოძრავი თუ უძრავი კულტურული მემკვიდრეობისადმი ადეკვატურ მოვლასა და პრევენციულ ზრუნვაზე დამყარებული მიდგომის მიმართ გულისყურის გაძლიერება.
- რისკისთვის მზადყოფნის, შეფასების და შერბილების ტრადიციული ტექნიკისა და პრაქტიკის უფრო მეტად დაფასება და გამოყენება.

განსაზღვრებები:

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი, მოიცავს ნივთებს, ნიმუშებს არქიტექტურულ-ისტორიული, მხატვრული, სოციალურ და/ან სამეცნიერო ღირებულებების მქონე ღირსშესანიშნავ ადგილებს ან არეალებს.

ბლუ შილდი „UNESCO-ს შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის“ ემბლემაა (1954 წლის ჰააგის კონვენცია)

- „ბლუ შილდი“ გამოიყენება IATF-ის რისკისთვის მზადების ადამიანისმიერი პროგრამის მიერ და ბუნებრივი კატასტროფის პირისპირ მყოფი მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.
- საგანგებო რეაგირების სფეროში, რისკისთვის მზადყოფნის საკუთრივ პროგრამის გამართულ მსჯელობას მოჰყვა 1996 წლის ივლისში „ბლუ შილდის“ საერთაშორისო კომიტეტის (ICBS) დაარსება, რომელიც კატასტროფების დროს ეწევა ICOMOS, ICOM, ICA და IFLA-ს პოტენციური ქმედებების კოორდინირებას.

ზოგადად, ბლუ შილდისა და წინამდებარე დეკლარაციის კონტექსტში რისკისთვის მზადყოფნა აღნიშნავს მზადყოფნის რეაგირებასა და აღდგენისათვის თანაბარ ზრუნვას.

პრევენციული ზრუნვა მოიცავს ღონისძიებებს ისეთი კულტურული მემკვიდრეობის დანაკარგის შესარბილებლად, რომლებიც მიმართულია მისი სიცოცხლისთვის საჭირო პირობების გაუმჯობესებისკენ.

მკურნალობითი ზრუნვა მოიცავს პირდაპირ ღონისძიებებს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური შემადგენლობის მზრუნველობითად, მისი ფიზიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის და კულტურული ღირებულებების უკეთ გამომჟღავნების მიზნით.

სამადლობელი

კობე/ტოკიოს დეკლარაცია კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნისა და მასთან დაკავშირებული მსჯელობა ამ სფეროში ბევრ მნიშვნელოვან წამოწყებასა და მონაპოვარს ემყარება. მათ შორისაა:

- 1995 წლის 17 იანვარს დიდ ჰანსინ-ავაჯის მინისძვრის შემდეგ ექსტრაორდინარული აღდგენითი ღონისძიებები ჩატარებული იაპონელი სპეციალისტების, ინსტიტუტების და მოქალაქეების მიერ;
- ბუნებრივი კატასტროფების საერთაშორისო ათწლეულის მიღწევები ჰუმანიტარული და კატასტროფების შემდგომი კოორდინაციის დახმარების საკითხში, მათ შორის 1994 წლის იოკოჰამა IDNDR უსაფრთხო 21-ე საუკუნის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმა.
- ახლანდელი მცდელობა UNESCO-ს 1954 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ჰააგის კონვენციის 1972 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციისა და 1970 წლის კულტურული მემკვიდრეობის უკანონო იმპორტის კონვენციის ექსპორტის და ტრანსფერის აკრძალვის ზომების სისრულეში მოყვანის ღონისძიებების გასაძლიერებლად.
- UNESCO-ს და ნითელი ჯგერის მიერ ჰააგის კონვენციის

პრევენციული ზომების განსახორციელებლად წვრთნის მოწყობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სამხედრო-თათვის;

- მუდმივი მცდელობა - UNESCO-ს 2001 წლისთვის გარდამავალი გეგმის განხორციელების, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის უბედურებათა შერბილებისა და პრევენციული ზომების წინსვლის ხელშეწყობა;
- ICOMOS-ს 1992 წლის თაოსნობა იმ ორგანიზაციებისა და ექსპერტების პირველი საერთაშორისო მრგვალი მაგიდის, რომელიც შეაშფოთა კულტურული მემკვიდრეობის დანაკარგთა მატებამ, ბუნებრივი კატასტროფებისა და შეარაღებული კონფლიქტების შედეგად, რასაც მოჰყვა 1994 წელს IATF-ის ჩამოყალიბება საერთაშორისო ღონისძიებების უკეთესი კოორდინაციის მიზნით ყოველწლიური შეხვედრების მეშვეობით. IATF-ს მიერ გატარებული ღონისძიებები მოიცავს:
- კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის გაუმჯობესებული მზადყოფნის ეროვნული მოდელების შემუშავებას, მათ შორის, შრი ლანკაში, კანადასა და შვედეთში;
- ICOM/ UNESCO-ს შესაბამისი ძირითადი პრინციპების UNESCO-ს რეკომენდაციების, - ICOMOS-ის დოქტრინალური ტექსტებს და - ICOMOS-ის

UNESCO-მიერ ამ სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ შემფასებელი ანგარიში (1995წ.) გავრცელდა;

- 1995 წლის დეკემბერში ჩამოყალიბებული მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მხარდაჭერით კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის ძირითადი პრინციპების მომზადებას;
- საგანგებო ვითარებისას ექსპერტთა ქსელის შექმნისა და შესაბამისი მოხმარების სტრატეგიის განვითარება;
- 1996 წელს ჩამოყალიბებული „ბლუ შილდის“ საერთაშორისო კომიტეტის დაარსება საერთაშორისო დონეზე საგანგებო რეაგირებისთვის კოორდინირების მექანიზმის მოსაგვარებლად;

- შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციას შორის რეგიონალურ დონეზე, მათ შორის, ინგლისური რეგიონალური თანამშრომლობის სამხ. აზიის ასოციაციის ექსპერტთა შეხვედრა, რომელიც გაიმართა კოლომბოში, შრი ლანკაში, 1995 წლის ივნისში კულტურული მემკვიდრეობის და საარქივო მასალების თაობაზე.
- კონსერვაციის ორგანიზაციის „NATO-ს პარტნიორობა მშენებლობისთვის“ მიერ კრაკოვში, პოლონეთში, 1996 წლის ივნისში ჩატარებული კონფერენცია კატაკლიზმებისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და ევროსაბჭოს სხვადასხვა შეხვედრა არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის დაბინძურების, მინისძვრების და უკანონო ქმედებებისგან დაცვის შესახებ;
- ეროვნულ დონეზე რისკისთვის მზადყოფნის რეაგირების და აღდგენის ოპერაციების ინიციატივების განხორციელება და კოორდინაცია.
- ტოკიოს ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორ ჰირაიამას, UNESCO-ს კეთილი ნების ელჩის ძალისხმევა (წითელი ჯვრის მიდგომის სულისკვეთებისა და აზიაში, აბრეშუმის გზის გაყოლებით, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საკუთარი გამოცდილების მოშველიებით კატასტროფით, კონფლიქტით და დაუდევრობით დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის მკურნალობითი ზრუნვის საერთაშორისო მექანიზმის დასანერგად).

დანართი 3. „ბლუ შილდის“ მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობის რისკისთვის მზადყოფნის გასაუმჯობესებლად

IATF-ს წამოწყებულმა მსჯელობამ ბიძგი მისცა საერთაშორისო დონეზე აზრთა სხვათა მიერ გაცვლა-გამოცვლას. ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა 1996 და 1997 წელს კანადასა და იაპონიაში.

- 1996 წელს, სექტემბერში, კვებეკში, კანადის - ICOMOS-ის კულტურული მემკვიდრეობისა და რისკისთვის მზადყოფნის 70-ოდე კანადელმა და სხვა ქვეყნის წარმომადგენელმა სპეციალისტმა განიხილა რისკისთვის ხელმყოფი კულტურული მემკვიდრეობის პირობების გაუმჯობესების საკითხი. მსჯელობის შედეგად მიღებული იქნა კვებეკის დეკლარაცია, რომელიც უნდა დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს და პროფესიონალებს არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებაში.
- 1997 წელს, იანვარში, კობეში, დიდი ჰანსი, ავაჯის მინისტრის მეორე წლისთავზე დაახლოებით 150 პროფესიონალმა და 550-მა დამკვირვებელმა მიიღო მონაწილეობა კობესა და ტოკიოს შეხვედრებში იაპონიასა და მთელ მსოფლიოს ყურადღების ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე პირობების გაუმჯობესების თაობაზე. ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნა საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის კობე/ტოკიოს დეკლარაცია, რომელიც ფოკუსირებულია კულტურული მემკვიდრეობის მზადყოფნის ზომების ინტეგრაციის გაუმჯობესებაზე რისკისთვის მზადყოფნის არსებულ ინფრასტრუქტურებში, რაც გადამწყვეტი იქნება ეფექტურობის გასაზრდელად.

რეგიონალურ დონეზე 1995წ. ივნისში შრი ლანკაში გამართულ რეგიონალური თანამშრომლობის სამხ. აზიის ასოციაციაში (SAARC) შემავალი ქვეყნების კულტურის მინისტრების შეხვედრაზე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აიღეს ვალდებულება ამ სფეროში თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

აგრეთვე რეგიონალურ დონეზე აღმ. ევროპის 20 ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის და სამოქალაქო თავდაცვის პროფესიონალებმა 1997წ. სექტემბერში მოაწყვეს შეხვედრა სკოპიეში

(ყოფილი იუგოსლავია, მაკედონიის რესპუბლიკა), რათა განეხილათ რისკისთვის მზადყოფნის საკითხები.

Getty კონსერვაციის ინსტიტუტის და შეერთებული შტატების ICOMOS-ის მხარდაჭერით გამართულმა ამ შეხვედრამ შესაძლებელი გახადა მონაწილე ქვეყნების კატასტროფებისთვის მზადყოფნის საშუალებების მოდერნიზაცია.

ეროვნულ დონეზე, საკითხის შესწავლის მიზნობრივმა ჯგუფებმა, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს აშშ-ში FEMA-ს GCI და NIC-ის მიერ, კულტურული ინსტიტუტების და სხვათა დასახმარებლად შეიმუშავა მზადყოფნის გაუმჯობესების პრაქტიკული ზომები.

- ადგილობრივ დონეზე 1997 წლის მაისში, მონრეალში ჩატარებულმა სემინარმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მა წარმომადგენელმა 29 მუნიციპალიტეტიდან, მემკვიდრეობის დაცვის ჯგუფებმა და კულტურულმა ინსტიტუტებმა, დასაბამი მისცა კოორდინირებული ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას მზადყოფნის გაუმჯობესების მიზნით. ამ შეხვედრებზე წარმოჩენილ იქნა მზადყოფნის და რეაგირების არსებული სასარგებლო მოდერნები: კანადის ეროვნული არქივის მიერ, წყლის მიერ მისი შენობების დაზიანების კვალად შემუშავებული საგანგებო გეგმა.

მზადყოფნის გეგმა შემუშავებულ იქნა ანდრე ვან დერ გუს, ნიდერლანდებში ამერონგენის სასახლის კურატორის მიერ; 1970-იან წლებში შვეიცარიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობისათვის საგანგებო მზადყოფნის ეროვნული სქემა და სხვა მრავალი.

ამ მსჯელობამ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავად კონსერვაციის, როგორც დარგის განვითარებაში და საკონსერვაციო პრაქტიკასაც ახალი მიმართულება მისცა. არსებითად რისკისთვის მზადყოფნაზე ზრუნვას ყურადღება მიდგომიდან პრევენციულისკენ გადააქვს. უპირატესი ზრუნვა მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის საარსებო პირობებზე, დიდი ხანია პრიორიტეტულია სამუზეუმოსა და არქეოლოგიურ კონსერვაციაში. მართალია ძირითადი დოქტრინალური ტექსტები ნაგები მემკვიდრეობის კონსერვაციის თაობაზე, მათ შორის ვენეციის ქარტია, უწინარესად ინტერვენციაზეა მიმართული—ანუ როგორ ვუმკურნალოთ ძეგლს ან ღირსშესანიშნავ ადგილს „ჯეროვნად“, თუმცა ვენეციის ქარტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენ-

ტები მიუთითებენ მნიშვნელობას „მოვლისა“ – რაც თავისთავად პრევენციული კონსერვაციის უაღრესად მნიშვნელოვანი ფორმაა, – ეს მითითებები ხშირად არაა შემტკიცებული უპატრონობისა თუ დაყოვნებული მოვლის უარყოფითი შედეგების ჩვენებით. რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობისადმი მიდგომა გვარწმუნებს, რომ კულტურული მემკვიდრეობა მუდამ საფრთხის წინაშეა, კატაკლიზმებისგანაც და ყოველდღიური ცვეთის და დაშლისგან, ამიტომ იგი გვთავაზობს ვრცელ დაგეგმვის ჩარჩოს. სამუშაოს და მოვლას კატასტროფებისთვის მზადყოფნას უკავშირებს. ასეთი ჩარჩოს მიღება არა მარტო აადვილებს თანხების დაბანდებას რისკის შესამცირებლად, არამედ ისიც მნიშვნელოვანია, რომ მას ძალუძს შეამციროს ძეგლზე ჩარევების რაოდენობა.

შესაძლებელია, ყველაზე ხელშესახები სასიკეთო შედეგი 1992 წლის შემდეგ ჩატარებული IATF შეხვედრისა, იყო 1996 წლის ივლისში ბლუ შილდის საერთაშორისო კომიტეტის დაარსება. იგი ჩაფიქრებულია როგორც ანალოგი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა, რომელიც დაფუძნებულია ჟენევის კონვენციის ფარგლებში საგანგებო ვითარებაში დახმარების აღმოსაჩენად. ICBS უზრუნველყოფს ინტეგრირებულ საგანგებო რეაგირების მექანიზმს და ერთმანეთს უკავშირებს ICMOS, ICOM, ICA და IFLA-ს. გათვალისწინებული იყო, რომ საგანგებო ვითარებაში UNESCO მიმართავს ICBS-ს რომ მან უზრუნველყოს რეაგირება და უზრუნველყოს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კოლექციების, არქივების, ნაგები მემკვიდრეობის ინტეგრირებული მკურნალობა. ICBS-ს პირველი ღონისძიება იყო რჩევით დახმარების აღმოჩენა კანადის პრემიერ-მინისტრის ჟან კრეტიენისადმი უშუალოდ საგუენაის გამანადგურებელი წყალდიდობის შემდეგ, 1996 წლის ივლისის გასულს.

ბლუ შილდის საერთაშორისო კომიტეტის (ICBS) შეთანხმების პროექტის მუხლები

1.1 ICA, ICOM, ICOMOS და IFLA (შემადგენელი ორგანიზაციები) შეთანხმდნენ ჩამოაყალიბონ ICBS. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები შესაძლოა იყვნენ მოწვეულნი შემადგენელი ორგანიზაციების მიერ, რათა გაერთიანდნენ კომიტეტში ან მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.

1.2. კომიტეტის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- a) განსაზღვრული საშიშროების შემთხვევაში, ბუნებრივი თუ ადამიანისმიერი მიზეზებით გამოწვეული საგანგებო ვითარებისას, მეტადრე შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მიანოდოს რჩევა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად;
 - b) საშიშროებებსა ან საგანგებო ვითარებებზე საერთაშორისო რეაგირების გაადვილება მონაწილე და ეროვნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მეშვეობით;
 - c) შეასრულოს მრჩევლის მოვალეობა ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეთანადება შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ჰააგის 1954 წლის კონვენციას.
 - d) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოფრთხილების, განსაკუთრებით რისკისთვის მზადყოფნის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა;
 - e) კონსულტირება და თანამშრომლობა მსგავსი ან შესაბამისი ინტერესების მქონე ორგანიზაციებთან, მათ შორის: **UNESCO**, **ICCROM** და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (**ICRC**);
 - f) ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე პროფესიული ღონისძიებებისთვის ხელის შეწყობა კატასტროფების პრევენციის, კონტროლის და აღდგენის;
3. კომიტეტის წევრები ყოველთვის იქნებიან მთავარი აღმსრულებლები ყოველი მონაწილე ორგანიზაციისა, ან მისი დასახელებული წარმომადგენლების.
4. კომიტეტი გამართავს სულ მცირე ერთ შეხვედრას ყოველწლიურად. ამას გარდა, ის გამართავს საგანგებო სესიას ნებისმიერი წევრი ორგანიზაციის ან პასუხისმგებელი ორგანოს მოთხოვნით.
5. შემადგენელი ორგანიზაციები მონაწილეობას მიიღებენ ადმინისტრაციულ საქმიანობაში და ადმინისტრაციულ ხარჯებში ცალკეული (სპეციალური) მოლაპარაკების თანახმად.
6. კომიტეტის მოქმედების წესები შემუშავებულ იქნება დროულად და იქნება ცალკეული შეთანხმების საგანი.

4 აპრილი, 1996 წელი.

დანართი 4. ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების აღრიცხვის პრინციპები

(ტექსტი რატიფიცირებულია ICOMOS-ის მე-11 გენერალური ასამბლეის მიერ, სოფია, ბულგარეთი, 1996)

რადგანაც კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს კაცობრიობის მიღწევების უნიკალურ გამოხატულებას;

და რადგანაც ეს კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად საფრთხეშია;

და რადგანაც აღრიცხვა არის ერთ-ერთი მთავარი ჩვენს ხელთ არსებული გზა, მივანიჭოთ საზრისი, გაგება, განსაზღვრება და აღიარება კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს;

და რადგანაც პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და კონსერვაციაზე ეკისრება არა მხოლოდ მათ მესაკუთრეებს, არამედ ასევე კონსერვაციის სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, მენეჯერებს, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მომუშავე პოლიტიკოსებსა და ადმინისტრატორებს და საზოგადოებას;

და რადგანაც ვენეციის ქარტიის მე-16 მუხლის შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა აღრიცხონ კულტურული მემკვიდრეობის რაობა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის ძირითადი მიზეზები, პასუხისმგებლობები, დაგეგმვის მეთოდები, შინაარსი, მართვისა და საზოგადოებისთვის მიწოდების მეთოდები.

დოკუმენტში გამოყენებულ სიტყვათა განმარტებები:

კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ძეგლებს, შენობათა ჯგუფებსა და კულტურული ღირებულების მქონე ღირსშესანიშნავ ადგილებს, რომლებიც შეადგენენ ისტორიულ ან განაშენიანებულ გარემოს.

აღრიცხვა გულისხმობს აღწერითი ინფორმაციის შეგროვებას ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ფიზიკური კონფიგურაციის, მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ დროის გარკვეულ მომენტში. აღრიცხვა წარმოადგენს კონსერვაციის პროცესის არსებით ნაწილს.

სააღრიცხვო მონაცემები ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ მონუმენტებს. ისინი შეადგენს დოკუმენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების გაგებას.

აღრიცხვის მიზეზები

1. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს:

- ცოდნის დაგროვება და კულტურული მემკვიდრეობის, მისი ღირებულებებისა და განვითარების გაგების გაუმჯობესება;
- აღრიცხული ინფორმაციის გავრცელების გზით მემკვიდრეობის დაცვით საზოგადოების დაინტერესებისა და ამ საქმეში მისი ჩაბმის ხელშეწყობა;
- სამშენებლო სამუშაოებისა და კულტურული მემკვიდრეობის ყველანაირი ცვლილების ინფორმირებული მართვა და კონტროლი;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მემკვიდრეობის მოვლა და კონსერვაცია იქნება ფაქიზი მისი ფიზიკური ფორმის, მასალების, კონსტრუქციებისა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელოვანების მიმართ.

2. აღრიცხვა უნდა მოხდეს იმდენად დეტალურად, რომ უზრუნველყოფილ იქნას:

- ინფორმაციის მიწოდება მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის, გაგების, ინტერპრეტაციისა და პრეზერვაციისათვის, ასევე საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისათვის;
- ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მუდმივი აღრიცხვის წარმოება, რომლებსაც ემუ-

ქრებათ დანგრევის, რამენაირად გადაკეთების ან ადამიანის საქმიანობით ან ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული სხვა საფრთხე;

- ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრატორებისა და დამგეგმარებლებისათვის ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე, რათა დაგეგმვა, განვითარების კონტროლის პოლიტიკის შემუშავება და გადამწყვეტილებების მიღება სათანადოდ ფაქიზი იყოს;
- ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესაბამისი და მდგრადი გამოყენება, ასევე ეფექტური კვლევის, მართვის, მოვლის პროგრამების და სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა.

3. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა უნდა განიხილებოდეს, როგორც პრიორიტეტი და უნდა განხორციელდეს განსაკუთრებით შემდეგ შემთხვევებში:

- ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ინვენტარიზაციის დროს;
- კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოებისას, როგორც მათი განუყოფელი ნაწილი;
- ნებისმიერი შეკეთების, გადაკეთების ან სხვა ჩარევის წინ, განმავლობაში და შემდგომ და ასევე მაშინ, როცა მსგავსი სამუშაოებისას გამოვლენილია ობიექტის ისტორიის მონუმბანი;
- ნაწილობრივი ან სრული დაშლის, დანგრევის, მიტოვებისა და გადატანის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევებში, როცა მემკვიდრეობას ემუქრება გარეშე ადამიანისმიერი ან ბუნებრივი ძალების გავლენით დაზიანება;
- შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი არეულობის დროს, რომელიც აზიანებს კულტურულ მემკვიდრეობას და მის შემდეგ;

- როცა ხდება ფუნქციის ან მართვის ანდა კონტროლზე პასუხისმგებლობის ცვლილება.

აღრიცხვაზე პასუხისმგებლობა

1. მემკვიდრეობის კონსერვაციის ვალდებულება ეროვნულ დონეზე მოითხოვს აღრიცხვის პროცესზე თანაბარ ვალდებულებასაც.
2. აღრიცხვისა და ინტერპრეტაციის პროცესების სირთულე მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი უნარის, ცოდნისა და შეგნების მქონე პროფესიონალთა დასაქმებას. საამისოდ აუცილებელია წვრთნის პროგრამების გამართვა.
3. აღრიცხვის პროცესში, ჩვეულებრივ, ჩართულნი არიან ერთობლივად მომუშავე ცალკეული პირები: მემკვიდრეობის აღრიცხვის სპეციალისტები, ამზომველები, კონსერვაციის სპეციალისტები, არქიტექტორები, ინჟინრები, მკვლევარები, არქიტექტურის ისტორიკოსები, არქეოლოგები და სხვა სპეციალობის მრჩეველები.
4. კულტურული მემკვიდრეობის ყველა მენეჯერი პასუხისმგებელია მემკვიდრეობის სათანადო აღრიცხვაზე, დოკუმენტაციის ხარისხსა და მის განახლებაზე.

აღრიცხვის დაგეგმვა

1. სანამ ახალი სააღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდება, მოძიებულ და შემონგებულ უნდა იქნას არსებული საინფორმაციო წყაროები.
 - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ასეთი ტიპის ინფორმაციას, მოძიებულ უნდა იქნას კვლევებში, ნახაზებში, ფოტოებში, გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ანგარიშებში და აღწერებში და სხვა მათგან დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ძეგლის შექმნასა და ისტორიას. მნიშვნელოვანია მოპოვებულ იქნეს როგორც ახალი, ასევე ძველი დოკუმენტები.

- არსებული ინფორმაცია მოძიებულ უნდა იქნას ეროვნულ და ადგილობრივ საჯარო არქივებში, პროფესიულ, ორგანიზაციებისა და კერძო არქივებში, ინვენტარიზაციის მასალებში და კოლექციებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში;
 - ინფორმაციის მოძიებისას საჭიროა კონსულტაციები ცალკეულ პირებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ფლობდნენ ან რომელთაც ეკუთვნოდათ მოცემული ძეგლი, შენობათა ჯგუფი ან ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელთაც განუხორციელებიათ მათზე კვლევითი, სააღრიცხვო, საკონსერვაციო ან სამშენებლო სამუშაოები, ანდა აქვთ ცოდნა მათ შესახებ.
2. ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ძეგლთა აღრიცხვის შესაბამისი მასშტაბის, დონისა და მეთოდების შერჩევა მოითხოვს, რომ:
- აღრიცხვის მეთოდები და შექმნილი დოკუმენტაციის ტიპი შეესაბამებოდეს მემკვიდრეობის ბუნებას, აღრიცხვის მიზანს, კულტურულ კონტექსტს, დაფინანსებას ან სხვა არსებულ რესურსებს. ასეთი რესურსების შეზღუდვის გამო შეიძლება საჭირო გახდეს აღრიცხვის ეტაპებად დაყოფა. ეს მეთოდები შესაძლებელია მოიცავდეს წერილობით აღწერას და ანალიზს, ფოტოფიქსაციას (აეროფოტოგრაფიას და სახმელეთო გადაღებას), რექტიფიცირებულ ფოტოგრაფიას, ფოტოგრამეტრიას, გეოდეზიურ აზომვას, რუკების, ანაზომების, ნახაზებისა და კროკების, მულაჟების შესრულებას ან სხვა ტრადიციულ თუ თანამედროვე ტექნოლოგიებს;
 - აღრიცხვის მეთოდოლოგია სასურველია იყენებდეს ტექნიკას, რომელიც არ მოითხოვს აღსარიცხ ობიექტში ჩარევას და არ გამოიწვევს მის დაზიანებას;
 - განზრახული მასშტაბის და აღრიცხვის მეთოდის საფუძველი ნათლად უნდა იქნას გამოთქმული;

- მასალები, რომლებიც გამოიყენება საბოლოო სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად არქივში შესანახად გამძლე უნდა იყოს.

სააღრიცხვო დოკუმენტის შემადგენლობა

1. ყოველი სააღრიცხვო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს საიდენტიფიკაციო ინფორმაციას:
 - შენობის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის სახელწოდებას;
 - უნიკალურ კოდს;
 - სააღრიცხვო დოკუმენტის შედგენის თარიღს;
 - აღმრიცხავი ორგანიზაციის სახელწოდებას;
 - მითითებებს მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო დოკუმენტების, ანგარიშების, ფოტო და გრაფიკული მასალის, ტექსტური და ბიბლიოგრაფიული დოკუმენტაციის, არქეოლოგიური და გარემოსდაცვითი სააღრიცხვო დოკუმენტების შესახებ;
2. ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის მდებარეობა და ტერიტორია ზუსტად უნდა იქნეს მითითებული; ეს შეიძლება მიღწეულ იქნას დეტალური აღწერით, რუკების, გეგმების ან აეროფოტოსურათების გამოყენებით. სასოფლო ტერიტორიების შემთხვევაში კარტოგრაფიული მითითება ან უკვე ცნობილ ნერტილებზე ტრიანგულაციის მეთოდით მიზნად ხშირად ტერიტორიის იდენტიფიკაციის ერთადერთი შესაძლო მეთოდია. ურბანული ტერიტორიების შემთხვევაში ხშირად საკმარისია მისამართისა და ქუჩის დასახელების გამოყენებაც.
3. ახალ სააღრიცხვო დოკუმენტებში მითითებულ უნდა იქნეს ყველა იმ ინფორმაციის წყარო, რომელიც არ იქნა მოპოვებული უშუალოდ ობიექტის შესწავლით;

4. საალრიცხვო დოკუმენტი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შენობის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ტიპს, ფორმასა და ზომებს;
- საჭიროებისამებრ, ძეგლის, შენობათა ჯგუფის ან ღირსშესანიშნავი ადგილის ინტერიერისა და ექსტერიერის მახასიათებლებს;
- ინფორმაციას მემკვიდრეობისა და მისი კომპონენტების რაობის, ხარისხის, კულტურული, მხატვრული და სამეცნიერო მნიშვნელოვნების შესახებ, ასევე შემდეგი კომპონენტების კულტურულ, მხატვრულ და სამეცნიერო მნიშვნელოვნების აღწერას:
 - მასალა, შემადგენელი ნაწილები და კონსტრუქცია, მორთულობა, ორნამენტები ან წარწერები;
 - მომსახურებები, მოწყობილობები და მექანიზმები;
 - დამხმარე ნაგებობები, ბალები, ლანდშაფტი და ღირსშესანიშნავი ადგილის კულტურული, ტოპოგრაფიული და ბუნებრივი მახასიათებლები;
- მშენებლობის ან მოვლისას გამოყენებულ ტრადიციულ და თანამედროვე ტექნოლოგიასა და ხერხებს;
- ავტორის, შექმნის თარიღის, საკუთრების, თავდაპირველი ჩანაფიქრის, მოცულობის, გამოყენებისა და მორთულობის დამადასტურებელი მონომობანი;
- შემდგომი გამოყენების ისტორიის, მასთან დაკავშირებული მოვლენების, კონსტრუქციის და დეკორის ცვლილებების, ხელოვნური და ბუნებრივი ძალების ზეგავლენის შედეგების დამადასტურებელი მონომობანი;
- მართვის, მოვლა-პატრონობისა და შეკეთებების ისტორია;
- შენობათა ან ღირსშესანიშნავი ადგილის მასალათა წარმომჩენი ნიმუშები ან ელემენტები;

- მემკვიდრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება;
 - მემკვიდრეობისა და მისი გარემოს ვიზუალური და ფუნქციური ურთიერთკავშირის შეფასება;
 - ხელოვნური და ბუნებრივი მიზეზებით, გარემოს დაბინძურებით და მომიჯნავე ტერიტორიების გამოყენებით გამოწვეული საფრთხისა და კონფლიქტების შეფასება.
5. აღრიცხვის სხვადასხვა მიზეზების გათვალისწინებით შეიძლება საჭირო გახდეს დეტალიზაციის სხვადასხვა დონე. ყველა ზემოჩამოთვლილი ინფორმაცია, თუნდაც მოკლედ მონოდებული, წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაცემებს ადგილობრივი დაგეგმვის, მშენებლობის კონტროლისა და მართვისათვის. უფრო დეტალური ინფორმაცია, ჩვეულებრივ, საჭიროა ღირსშესანიშნავი ადგილის ანდა შენობის მესაკუთრეების, მენეჯერებისა და მფლობელთათვის მათი გამოყენების, მოვლისა და კონსერვაციის განსახორციელებლად.

სააღრიცხვო დოკუმენტების მართვა, გავრცელება და საზოგადოებისთვის მიწოდება

1. სააღრიცხვო დოკუმენტების ორიგინალები შენახულ უნდა იქნეს საიმედო არქივში. ამასთან არქივის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის შეუღახავობასა და დაუზიანებლობას აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. სააღრიცხვო დოკუმენტების სრული ასლები შენახულ უნდა იქნეს ცალკე, უსაფრთხო ადგილას.
3. სააღრიცხვო დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფლებამოსილი დაწესებულებებისათვის, პროფესიონალებისა და საზოგადოებისათვის კვლევის, კონტროლისა და სხვა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი პროცესების წარმართვის მიზნით.

4. განახლებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია იოლად მისაწვდომი უნდა იყოს, შეძლებისამებრ, ადგილზევე, მემკვიდრეობის კვლევის, მართვის, მოვლისა და კატასტროფების შემსუბუქებისათვის.
5. სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმატი სტანდარტიზირებულ უნდა იქნეს. დოკუმენტებს, შეძლებისდაგვარად, უნდა მიენიჭოს სპეციალური ინდექსი ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლისა და მოძიების გამარტივებისათვის.
6. სააღრიცხვო ინფორმაციის ეფექტური მართვა და გავრცელება მოითხოვს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შეძლებისდასგვარად გამოყენებას.
7. სააღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
8. სააღრიცხვო სამუშაოების ძირითადი შედეგების ამსახველი ანგარიში სასურველია გავრცელდეს და, თუ საჭიროა, გამოქვეყნდეს.

1. შესავალი

- 1.1 27-28 თებერვალს, 1998 წელს ექსპერტები მთელი მსოფლიოდან შეხვდნენ ასიზში სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებულ იყო ICOMOS-ის არქიტექტურული მემკვიდრეობის შენობების ანალიზისა და რესტავრაციის სამეცნიერო კომიტეტის მიერ.
- 1.2 ექსპერტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ადგილობრივ მოსახლეობას და არსისის უმბრიის და მარჩის რეგიონის საზოგადოებრივ და რელიგიურ უწყებებს იმ შემართების გამო, რომლითაც ისინი შეუდგნენ 1997 წელს მომხდარი რამდენიმე მინისძვრის შედეგად დაზიანებული ნაგებობის შეკეთებას. მათ აგრეთვე გაიხსენეს მათი კოლეგები, რომლებიც დაიღუპნენ მინისძვრის დროს უსაფრთხოების ზომების მიღების მცდელობისას.
- 1.3 ექსპერტებმა აგრეთვე გამოსატეს მხარდაჭერა ასიზის წმინდა ფრანჩესკოს ბაზილიკის ზიანის შესარბილებლად მიღებული საგანგებო ზომების მიმართ.
- 1.4 ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ეს კატასტროფა გაკვეთილად გამოადგება სხვებს და კრიტიკულად იქნება შეფასებული ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ამან ხელი უნდა შეუწყოს რისკისთვის მზადყოფნის პოლიტიკის შესაბამის განვითარებას ყველა ქვეყანაში, რათა მოხდეს ბუნებრივი კატაკლიზმების ზემოქმედების შემცირება ან ლიმიტირება. ასეთი პოლიტიკის განხორციელების მიზნით შემუშავებული უნდა იქნას სასიკეთო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაბამისი დირექტივები.
- 1.5 წარმატებული მუშაობის გამო ადგილობრივი უწყებებისადმი მადლიერების გამოთქმისას მონაწილეებმა გამოხატეს მადლიერება ასიზის წმინდა ფრანჩესკოს დედათა ფრანცისკანელთა მონასტრის გულისხმიერი მიპატიჟებისთვის მომდევნო წლისთვისაც მსგავსი სამუშაო შეხვედრის მოსაწყობად.

2. რისკისთვის მზადყოფნის პოლიტიკის მნიშვნელობა

- 2.1** არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისას პრიორიტეტს კორდინებული მოვლა უნდა წარმოადგენდეს.
- 2.2** ბუნებრივი საშიშროებისას, ძეგლების, ღირსშესანიშნავი ადგილების ან კულტურული ლანდშაფტების მიმართ პრევენციული ზომები წარმოადგენს საუკეთესო პოლიტიკას კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.
- 2.3** რისკისთვის მზადყოფნა უზრუნველყოფს შეუცვლელ სტრატეგიას და ორგანიზაციას საგანგებო ვითარების მენეჯმენტის, ზიანის პრევენციისა და ლიმიტირებისთვის.
- 2.4** რისკისთვის მზადყოფნა კულტურული მემკვიდრეობასთან მიმართებაში, უნდა ითვალისწინებდეს ზოგად პოლიტიკას, რომელიც შემუშავებულია ხალხის ინფრასტრუქტურის და საკუთრების დაცვის მიზნით.
- 2.5** ასეთი ორგანიზება მოითხოვს ყველა შესაბამისი უწყების ადგილობრივი დონით დაწყებული მონაწილეობა მოხალისეთა ორგანიზაციებთან დიალოგსა და თანამშრომლობაში.
- 2.6** რესურსები საამისოდ უნდა იქნას მიმართული, რადგანაც პრევენციული ზომები უფრო ეკონომიურია ვიდრე აღდგენა.

3. სამი მომენტი რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული: კატასტროფამდე, მის დროს და მის შემდეგ

- 3.0.1** რისკის შეფასება უნდა მოხდეს საზოგადო პროგრამის ბაზაზე, რომელიც იწყება წინასწარი ძიებით, შეიცავს შესაბამის კვლევას, სისტემატურ და ამომწურავ დოკუმენტაციას და იძლევა შენობის კომპლექსურობის თანმიმდევარ ანალიზს.
- 3.0.2** რისკის შეფასება მოითხოვს ექსპერტობას, დროს და შესაბამის დაფინანსებას.
- 3.0.3** რისკის სხვადასხვა ტიპი და შესაბამისი რეაგირება უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გაანალიზებული, ადგილმდებარეობის სპეციფიკისა და მიხედვით, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი, მენყერი და სხვა.

- 3.0.4** რისკის შეფასება უნდა იყოს მიმართული უსაფრთხოების შესაბამის დონეთა და რეგიონის და ადგილმდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე პოტენციური რისკის იდენტიფიკაციისკენ. ეს ყოველივე სისტემატურად უნდა იყოს შეგროვებული და წარმოდგენილი „რისკის რუკის“ სახით.
- 3.0.5** პრიორიტეტების რიგი განსაზღვრული უნდა იყოს მემკვიდრეობის ობიექტების კულტურული ღირებულებების მათი არასაკმაო მდგრადობისა და პოტენციური რისკის მიხედვით.
- 3.0.6** კოორდინირებული მენეჯმენტის გეგმები, მათ შორის, პრაქტიკული სამოქმედო პრინციპები უნდა წარმოადგენდეს არსებით იარაღს დაცვისთვის, რისკის შემცირებისთვის და გაფრთხილებისთვის.
- 3.0.7** რისკის შეფასება შესაბამისი მზადყოფნის ზომების გადამწყვეტი ფაზაა, როდესაც უნდა გადანყდეს, როგორი იქნება საგანგებო რეაგირების სტრატეგია და მოხდება მისი დაწვრილებითი დამუშავება.

3.1 საგანგებო რეაგირება

- 3.1.1** რეაგირების გეგმა უნდა იყოს მისაწვდომი და დაუყოვნებლივ აღსრულებული ყველა პირის მიერ.
- 3.1.2** შემარბილებელი ზომები უნდა იყოს აწონილ-დაწონილი. ზომებს უნდა მიმართონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნათლად იქნება იდენტიფიცირებული რისკის დონე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოპერაციაში მონაწილე ადამიანთა დაცვას.
- 3.1.3** პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შეთავსებად და შექცევად ზომებს.

3.3 რესტავრაცია და რეკონსტრუქცია

- 3.3.1** სამუშაოები უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადად მიღებულ კონსერვაციის პრინციპებს.

3.3.2 საგანგებო ვითარების დროს და აღდგენის დროს მოსახლეობის დროებითი გადაადგილების შემთხვევაში დაკავებულ ტერიტორიებზე უნდა განხორციელდეს ფიზიკური დაგეგმვა და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კულტურული ლანდშაფტებისა და გარემოს მნიშვნელობებს.

4. წვრთნა და საზოგადოების გათვითცნობიერება

- ა) რისკის შეფასება და საგანგებო რეაგირება გულისხმობს ხალხის ადეკვატურ წვრთნას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
- ბ) ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯერები უნდა იყვნენ გათვითცნობიერებული და უნდა ჰქონდეთ გავლილი შესაბამისი წვრთნა, რათა ეფექტურად მოახდინონ რისკისთვის მზადყოფნის ზომების და სამოქმედო პრინციპების შესრულება.
- გ) მემკვიდრეობის ობიექტის მესაკუთრეს და საზოგადოებას უნდა გაცნობიერებული ჰქონდეთ ისტორიული ნაგებობების ხშირად მონახულების და პრევენციული მოვლის აუცილებლობა.
- დ) გადანყვებილების მიმღებებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ რისკისთვის მზადყოფნის მნიშვნელობა და უნდა განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა.

6. წყაროები

ეს დეკლარაცია დაფუძნებულია რამდენიმე არსებული დოკუმენტის რეკომენდაციებსა და დასკვნებზე, როგორებიცაა:

- 1993 წელს ევროპის საბჭოს რეკომენდაციები „არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა ბუნებრივი კატასტროფებისგან“ და, განსაკუთრებით სკოპიეს სამუშაო ჯგუფის 1988 წლის რეკომენდაციები.
- UNESCO-ს კონვენციები და რეკომენდაციები.
- ICCROM-ის წვრთნის პროგრამები.
- ევროკოდექსი ნომერი 8 „საპროექტო მითითებანი ნაგებობათა

გაძლიერების გამო მიწისძვრის დროს“.

- ICOMOS-ის მიერ 1993 წლიდან IATF-ისთვის ორგანიზებული მრგვალი მაგიდის ანგარიშები.
- „ბლუ შილდის საერთაშორისო კომიტეტის“ ინიციატივა შემუშავებული ICOM-თან (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო), ICOMOS-თან (ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო), ICA-თან (არქივების საერთაშორისო საბჭო), IFLA-ს (ბიბლიოთეკების ასოციაციების და ინსტიტუციების საერთაშორისო ფედერაცია) ერთად, UNESCO-სა და ICCROM-ის მხარდაჭერით.

ვრცელდება უფასოდ
Not for sale

www.mcs.gov.ge
E-mail: info@mcs.gov.ge